

მიწისძვრა ირანში

A8



დუელი "დელე ალპიზე" დასრულდება

B4



პირველი ჯაზური აუქციონი ნიუ იორკში

B8


# 24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 23 თებერვალი, 2005 წელი. №41 (901)

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### ბევრი შეკითხვა დაგროვდა მათ მიმართ, ვინც ჯარს აშენებს

**დღის შეკითხვა:** ერთი წლის წინ ხელისუფლებამ მთავარ პრიორიტეტად არმიის აღმშენებლობა გამოაცხადა. რა შედეგებზე შეიძლება ვისაუბროთ ერთი წლის შემდეგ?

A2

## სამართალი

### ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმე ხელახალ გამოძიებაში დაბრუნდა



ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის მკვლელობისთვის გასამართლებული ქართველი გვარდიელის ანზორ შარმაიძის საქმე, ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო, 12 წლის შემდეგ, ხელახალ გამოძიებაში დაბრუნდა.

A7

## ეკონომიკა

### საგადასახადო განმარტებები

პასუხები მკითხველის შეკითხვებზე

A4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 23/2 | 24/2 | 25/2 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 9 | 13 |
| ქუთაისი | 14 | 15 | 16 |
| ბათუმი | 17 | 18 | 17 |
| სოხუმი | 12 | 13 | 11 |
| ფოთი | 16 | 17 | 16 |
| თელავი | 8 | 6 | 12 |
| ზუგდიდი | 15 | 16 | 15 |
| გორი | 7 | 6 | 10 |
| ახმეტა | 8 | 7 | 12 |
| ჭიათურა | 9 | 9 | 12 |
| გაგრა | 11 | 12 | 10 |
| სამტრედია | 14 | 16 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8350 |
| ევრო | 2.3960 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4815 |
| რუბლი | 0.0657 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| უცხოეთი | A8 | სხვადასხვა | B8 |




უმრავლესობის საკომანდო პუნქტი.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# კონსტიტუციის "ქრა-კერვა" პარლამენტში

*გუშინ პარლამენტმა, 181 ხმით, ერთის წინააღმდეგ, მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც პარლამენტართა რაოდენობის 150-მდე შემცირებას ითვალისწინებს. საკონსტიტუციო ცვლილებების კომისიის თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის განმარტებით, მომავალ საკანონმდებლო ორგანოში 50 დეპუტატი არჩეული იქნება მაჟორიტარული წესით, 100 კი - პროპორციული სისტემით. ამასთან, ახალ პარლამენტში ფრაქციის შექმნას მხოლოდ შვიდი დეპუტატის "შეხმატკბილება" დასჭირდება.*

გიორგი ასანიშვილი

საკონსტიტუციო ცვლილებებს საბოლოოდ (მესამე მოსმენით) პარლამენტი დღევანდელ პლენარულ სხდომაზე დაამტკიცებს, მაგრამ ძალაში მოგვიანებით შევა, როდესაც საარჩევნო კოდექსში შეტანილი იქნება ცვლილებები მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის წესის შესახებ.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი გუშინდელი კენჭისყრის წინ შიშობდა,

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნატო-ს სამიტი ბრიუსელში - დიდი იმედები და პოზიციათა ჰარმონიზაცია

ხათუნა გაბიევი

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ევროპული ტურნეს დასავლური მედიის მიერ "ხიდების გამრთელების მცდელობად" შეფასება უადგილო სულაც არ ყოფილა. ბრიუსელში "კონსერ ნობლის" დარბაზში ბუშის გამოსვლა ევროპისათვის ქათინაურების მიძღვნა და იმავდროულად, ახალი ამოცანების დასახვაც იყო. უმთავრესი თემები ახლო აღმოსავლეთში ისრაელი, პალესტინა და ერაყი იყო, ხოლო ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე - უკრაინა და რუსეთი. გარდა ამისა, აშშ-ს პრეზიდენტმა ისაუბრა კლიმატის გლობალური ცვლილების პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზეც. თუმცა, იმაზე, თუ როგორ აპირებს ეკონომიკურად მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყანა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას, მას არაფერი უთქვამს.

გაგრძელება A8 გვერდზე








იხილეთ B3 გვერდზე

## საპროტესტო აქციები ჩაბნელებულ კახეთში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*თითქმის მეორე კვირაა, რაც კახეთის რეგიონი საპროტესტო აქციებმა მოიცვა. უშუქობით შეწუხებულმა მოსახლეობამ ზედიზედ უკვე მესამედ გადაკეტა თბილისთან დამაკავშირებელი ავტოსაგზაო მაგისტრალი. გუშინ კი აქცია უკვე ქიზიყელებმაც გამართეს. რეგიონის ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელობა მდგომარეობის გამოსწორების იმედს ვერ იძლევა. უწყებაში იმასაც ამბობენ, რომ ამ ორ დღეში ენგურჰესი გაითიშება და კახეთი სრულად ჩაბნელდება. ქიზიყში პიკეტებმა შედეგი გამოიღო. აქციის დასრულებამდე მოპიკეტე სოფლების მოსახლეობას დენით მომარაგება აღუდგა.*

მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობაში "ხადორჰესის" ჰიდროელექტროსადგური ნაწილობრივ უკვე ამოქმედდა და მოსახლეობას იმედი მიეცა, "ხადორის" დენმა, როგორც კახელები ხუმრობენ, "ჩაილურის წყალი დალია". აღნიშნული ჰესიდან პანკისი და თელავის რაიონი მარაგდებოდა, მაგრამ ამ დროისთვის ელექტროენერგიის მიწოდება შეჩერებულია. რეგიონის ხელმძღვანელობა ამას იმით ხსნის, რომ მოსახლეობას დავალიანება აქვს.

კახეთის ენერგოდისტრიბუციაში აცხადებენ, რომ ამჯერად დავალიანება 200 ათას ლარს შეადგენს. მოსახლეობა კი აცხადებს, რომ ისინი დახარჯული კილოვატების საფასურს იხდიან, მაგრამ ფული დანიშნულების ადგილამდე არ მიდის. "**თითო- ოროლას რომ გადასახდელი აქვს, რა ჩვენი ბრალია?!**

გაგრძელება A2 გვერდზე

## რუსეთის "ბირთვული ისტერია"

ნინო გომართელი

*რამდენიმე დღის წინ რუსულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ისრაელმა, რუსეთის მოთხოვნით, საქართველოს საბრძოლო იარაღისა და სამხედრო დანიშნულების სხვა ტექნიკის მიწოდება შეუწყვიტა. მოგვიანებით, აღნიშნული ინფორმაცია როგორც ქართულმა, ისე ისრაელის მხარემ უარყო. "საქართველოსთვის ისრაელის სამხედრო ტექნიკის მიყიდვის მიზანშეწონილობაზე რუსეთსა და ისრაელს არასდროს უმსჯელიათ. რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება," – განაცხადა საქართველოში ისრაელის ელჩმა შაბთაი ცურმა. რისთვის დასჭირდა კრემლს მსგავსი ტყუილის გავრცელება და რა საფუძველი შეიძლება ვეძიოთ აღნიშნულ "პიარკამპანიაში"?*

**"რუსეთის ბირთვული იარაღის ნახევარი გაქრა და ის შესაძლოა, ტერორისტთა ხელში იყოს,** – განაცხადა ამერიკელმა სენატორმა ჯონ როკფელერმა, - **ჯერ კიდევ გასარკვევია, ორი ქვეყნიდან რომელი უფრო ემუქრება მსოფლიოს – ჩრდილოეთ კორეა, რომელმაც განაცხადა, რომ ფლობს ბირთვულ იარაღს, თუ რუსეთი, რომელმაც საკუთარი ბირთვული არსენალის დიდ ნაწილზე კონტროლი დაკარგა. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთში იმ ხალხის მოსყიდვა, რომლებიც ბირთვულ იარაღს იცავენ, ძალზე მარტივია. ვფიქრობ, პრეზიდენტმა პუტინმა ამაზე უნდა იზრუნოს. იარაღი მისსავე სახელმწიფოში იკარგება."**

გაგრძელება A8 გვერდზე

## ბევრი შეკითხვა დაგროვდა მათ მიმართ, ვინც ჯარს აშენებს

*დღის შეკითხვა: ერთი წლის წინ ხელისუფლებამ მთავარ პრიორიტეტად არმიის აღმშენებლობა გამოაცხადა. რა შედეგებზე შეიძლება ვისაუბროთ ერთი წლის შემდეგ?*

ვერიკო თევზაძე

**კობა ლიკლიკაძე**
**სამხედრო ექსპერტი:**

მთლიანობაში, მიდგომების თვალსაზრისით, ბიუჯეტის ზრდის დინამიკით, იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ ე.წ. ელიტარული, ზეპური საზოგადოების წარმომადგენლები სარეზერვო სამსახურში მიდიან, მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია, აამაღლოს არმიის პრესტიჟი. ყოველივე ეს ერთი შეხედვით ჩანს, მაგრამ რეალობაში გატარებული საქმეები სხვა რამეზე მეტყველებს.

სამხედრო უწყება საკადრო რევოლუციების და პოლიტიკური დაპირისპირების არენად იქცა, რაც პოსტრევოლუციურ საქართველოში არ უნდა მომხდარიყო. ბევრი ადამიანი ფიქრობდა, რომ ამგვარი სიმპტომი ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებდა. მხედველობაში მაქვს დაუსრულებელი საკადრო გადაადგილება, საშტატო რეორგანიზაცია, უმაღლესი ხელმძღვანელების ცვლილებები. ყველა სარდალი შეიცვალა, გენერალური შტაბის უფროსიც ორჯერ შეიცვალა. ჯერ იყო და, სამხედრო-საზღვაო ძალების ფლოტის შტაბი გადაიტანეს ფოთიდან თბილისში, შემდეგ თბილისიდან ისევ ფოთში დააბრუნეს. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ იგი ერთიან სანაპირო დაცვას უნდა შეერწყას.

ისიც ფაქტია, რომ უამრავი ადამიანი, ყოველგვარი საკონკურსო პირობების გარეშე, ტოვებს გენერალურ შტაბს, თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სტრუქტურებს. სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებს ინსტიტუციონალური მახსოვრობა არ აქვთ და ისინი წინამორბედების საქმეებს ერთბაშად უსვამენ ხაზს.

უარყოფით ჩამონათვალში ასევე შეგვიძლია დავასახელოთ რანგირებული სახელფასო პოლიტიკა. გაუგებარია, რატომ შეუმცირდათ სახელფასო ანაზღაურება ერაყში მყოფ ჯარისკაცებს (ერთი მშობელი მელაპარაკა, რომ მის შვილს იანვრის ხელფასიდან 250 დოლარი დააკლეს). როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ცხინვალში დისლოცირებული სამშვიდობო მისიის ბატალიონი კადრების განკარგულებაში გადაეყვანათ?

ეს ყველაფერი არის შედეგი თავდაცვის სამინისტროს გაუმჭვირვალობისა. მე ვერ ვიხსენებ პერიოდს, როცა თავდაცვის სამინისტრო ასეთი ჩაკეტილი იყო. დღეს, საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებისას, ეს უწყება სამოქალაქო საზოგადოების რჩევებსა და განწყობას არ ითვალისწინებს.

ხსენებული პრეცედენტები მაფიქრებინებს, რომ ძალიან კარგი დევიზები საქართველოს ხელისუფლებისა ჰაერში ჰკიდია და ფარფატებს. იმედია, საკადრო რევოლუცია, ადრე თუ გვიან, დასრულდება და გაზრდილი ბიუჯეტი და გაზრდილი ვალდებულებები, საბოლოო ჯამში, ფრთებს შეისხამს.

**ირაკლი სესიაშვილი**
**ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება":**

არმიის პრიორიტეტულობა აისახა ბიუჯეტში, ამ მიმართულებით მუშაობს გარკვეული პიარკამპანია და სამხედროები ხედავენ, რომ მათ სამსახურს აფასებენ, ყოველ შემთხვევაში, სიტყვიერად მაინც. რაც შეეხება პრაქტიკულ დონეს, პრაქტიკაში პრობლემები გაცილებით მეტია, ბიუჯეტის გაზრდას ადეკვატური შედეგები არ მოჰყოლია. ჩემი აზრით, ამ ბიუჯეტის ფარგლებში უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

უარყოფით ფაქტორებზე საუბრისას უპირველესად უნდა დავასახელოთ რეფორმის გეგმის არარსებობა და, ასე ვთქვათ, ქაოტური რეფორმის განხორციელება. სერიოზული პრობლემებია საკადრო პოლიტიკაში. თავდაცვის სამინისტროში მოვიდნენ არაკომპეტენტური კადრები. მათმა ხშირმა ცვლამ სერიოზული შეფერხებები გამოიწვია. ბევრი თანამშრომელი არაკანონიერად გაათავისუფლეს. ახლები - არაკომპეტენტური კადრები - ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით დანიშნეს.

ჯერ კიდევ მოუგვარებელია თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების სისტემა. ფაქტობრივად, აღუწერელია სამინისტროს ქონება, რის გამოც სწორად დალაგებული არ არის ლოჯისტიკის სამსახური. უკვე მერამდენედ ვიმეორებ, რომ გენშტაბსა და სამოქალაქო მმართველობას შორის ფუნქციები არ გაიმიჯნა.

მოლოდინს რაც შეეხება, 2005 წლის ბიუჯეტით და სხვადასხვა დახმარების ფარგლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა შეიძლება. ამ პირობებში, ერთი წლის თავზე, უნდა გვყავდეს ძლიერი არმია, სტრუქტურულად ჩამოყალიბებული, ყოველმხრივ აღჭურვილი და მომზადებული.

კარგი იქნება, თუ საკადრო ცვლილებები ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება და გვეტყვიან: ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც რეფორმა უნდა განახორციელონ.

**გივი თარგამაძე**
**თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:**

გაკეთდა ძალიან ბევრი. ხშირად მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: პრაქტიკულად, ჩვენ დაგვხვდა არმია, რომელსაც არანაირი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა. მთელ არმიას ჰქონდა ტყვია-წამალი მხოლოდ და მხოლოდ სამი საათის ინტენსიური ვარჯიშისთვის. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ არმია მომარაგებულია საკმაოდ სერიოზულად. რა თქმა უნდა, სრულყოფილებამდე იგი შორს არის, მაგრამ კიდევ ერთი წლის შემდეგ, შეიარაღების თვალსაზრისით, ქართული საჯარისო ფორმირებები საბოლოოდ იქნება დაკომპლექტებული. მაქსიმუმ, სამი წლის განმავლობაში, ჩემი აზრით, ჯარი მთლიანად გადავა საკონტრაქტო სისტემაზე და ჩვენ მთლიანად პროფესიონალი არმია გვეყოლება.

რა თქმა უნდა, არის გარკვეული ხარვეზები იგივე შესყიდვების, იგივე საფინანსო სისტემაში. მე ვფიქრობ, ყველაფერი ეს შემდგომი ერთი წლის მანძილზე დაძლევადია.

**დავით დარჩიაშვილი**
**ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველოს" დირექტორი:**

ზოგადად, ჩანს სურვილი და ენთუზიაზმი, რომ ქვეყანას ჯარი ჰყავდეს. დაფინანსება იზრდება, მიმდინარეობს სარეკლამო კამპანია. ზოგიერთი მოხელე მიდის რეზერვში, ზოგ პარლამენტარს ფორმა აცვია... მაგრამ დაკვირვება საშუალებას მაძლევს, ვთქვა: ამ ყველაფრის უკან არ ჩანს სტაბილურობა, არ ჩანს სისტემა. არ ჩანს, არის თუ არა პასუხი მთელ რიგ ტექნიკურ კითხვებზე: რა მოხდება ხვალ ამ რეზერვთან დაკავშირებით? როგორი იქნება მომარაგება? როდის და როგორ დაიწერება ის კონცეპტუალური და ტექნიკური დოკუმენტები, რომლებსაც ნატო-სთან შემდგომი პარტნიორობა მოითხოვს?

ბოლო დროს გამოითქმის კრიტიკული შენიშვნები და ცალსახად ნამდვილად ვერ ვიტყვით: ყველა, ვინც კრიტიკით გამოდის, ჯარში მომხდარი საკადრო ცვლილებებით პიროვნულად განაწყენებულია.

საკითხავია, იგივე საკადრო ცვლილებები რას ისახავს მიზნად? რამდენად პროფესიონალურად არის აწონ-დაწონილი საკადრო გადაწყვეტილებები?

ნაკლებად ჩანს საპარლამენტო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე. საინტერესოა, არსებობს თუ არა ის ჩვენს ქვეყანაში, და თუ არსებობს, რა ფორმით? შემცირდა საზოგადოებასთან ურთიერთობა. ერთ-ერთი მოთხოვნა დასავლეთთან ინტეგრაციისა არის ის, რომ თავდაცვაზე სამოქალაქო კონტროლი ძლიერი იყოს. სამოქალაქო კონტროლში გულისხმობენ დემოკრატიულ კონტროლსაც, რაც თავისთავად საზოგადოებრივ კონტროლსაც ითვალისწინებს. ამ მხრივ, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი წესრიგშია.

ვერც იმას ვიტყვი, ამ კითხვებზე აქვთ თუ არა პასუხი იმათ, ვინც დღეს ჯარს აშენებს. ფაქტია, რომ ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა.

შთაბეჭდილება მრჩება, რომ დღეს საუბრები, მსჯელობები დროის ფუჭ დაკარგვად ითვლება... და იქ, სადაც არ არის დისკუსია, მცდარი გადაწყვეტილებების მიღების ძალიან დიდი შანსი ჩნდება.




### მოკლედ

## ზუგდიდის გამგებელს დეპუტატი დაუპირისპირდა

პარლამენტის დეპუტატი ბეჟან გუნავა ზუგდიდის გამგებელ კახა არდიას კორუმპირებულობაში ადანაშაულებს და მის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნავას აზრით, უნდა გადადგეს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გიგი უგულავა.

აღნიშნული განცხადება ბეჟან გუნავამ გუშინ პარლამენტში ზუგდიდის გამგებლის მოადგილესთან რომან გაბისონიასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

როგორც გუნავამ აღნიშნა, კახა არდია რომან გაბისონიას აშანტაჟებს და მის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვს. გუნავას შეფასებით, ზუგდიდის გამგებელი კახა არდია კორუმპირებული ადამიანია, რომლის სახელს (მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელობის პერიოდში) 400 ათასი ლარის გაფლანგვა უკავშირდება.

თავად რომან გაბისონია თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს და ბრძოლის ბოლომდე გაგრძელებას გეგმავს.

*ინტერ-პრესი*

## საპროტესტო აქციები ჩაბნელებულ კახეთში

პირველი გვერდიდან

**ეს ხალხი დამნაშავე არ არის, რადგან თვით ამ სისტემაშია კორუფცია, ჯოხი კი სოფლის მოსახლეობაზე ტყდება,"** - ასეთი მწვავე რეპლიკები ისმოდა ენერგეტიკის სამინისტროს მისამართით გუშინ, სიღნაღის რაიონის სოფლებში გამართულ საპროტესტო აქციაზე. როგორც ქიზიყელები ამბობენ, მათ შუქი ძირითადად შუაღამეს მიეწოდებათ და ისიც რამდენიმე წუთით. **"ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ თუ ჯუნგლებში? დენი იმ დროს მოდის, როცა ხალხი ღრმა ძილშია. სანამ ლოგინიდან წამოვდგებით, შუქი ქრება. ხან მგონია, რომ ჰალუცინაციები მაქვს,"** - ამბობს ქვემო ბოდბელი თემურ ჭაბაშვილი.


სამსაათიანი აქციის შემდეგ მოსახლეობა უიმედოდ დაიშალა.

ენერგომამებთან ერთად, მაღაროსა და ქვემო ბოდბის მოსახლეობა შექმნილ ელექტროდეფიციტში მათი სოფლების საკრებულოს თავმჯდომარეებსაც ადანაშაულებს. **"მაგათი ბრალია, მარტო დროშებ რო იქნევდნენ მთავრობის სახლის წინ. მარტო ეს ხომ არ არის საქმე?! მარტო ფულების აკრეფის დროს რო მოგვადგებიან, თუ კაცები არიან, ამ დროს ამოგვიდგნენ გვერდში, მაგრამ ყველა თვის ჯიბეზეა გადასული,"** - ამბობდა მაღაროელი 80 წლის თინა ბაბო, რომელიც აქციაზე ყველაზე მეტად აქტიურობდა.

კახეთის ენერგოდისტრიბუციის დირექტორის თამაზ ბიბილურის განცხადებით, შესაძლოა, ორ დღეში რეგიონი უარესმა წყვდიადმა მოიცვას. ამის მიზეზად ბიბილური ენგურჰესის გათიშვას ასახელებს. **"ეს მარტო კახეთის პრობლემა არ არის. მთლიანად საქართველოშია ენერგოდეფიციტი შექმნილი და ამიტომაცაა, რეგიონს ელექტრენერგია შეზღუდვებით რომ მიეწოდება. რაც შეეხება დენის ექსპორტს, ამ საკითხის გამოც გვაქვს პრობლემა, რადგან მოსახლეობისგან ვერ ვიძლევით გარანტიას, რომ თანხები სრულად იქნება ამოღებული,"** - ამბობს თამაზ ბიბილური.

გუშინვე საპროტესტო აქცია ღამის ცხრა საათზე გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარის მოსახლეობამაც გამართა. ხალხი ელექტროენერგიით მომარაგებას საღამოს 6-დან 12 საათამდე მოითხოვდა. აქციის მონაწილეებს რაიონის ხელმძღვანელობაც შეხვდა, მაგრამ დამაიმედებელი პასუხი ვერც ჭანდარელებმა მიიღეს. თბილისი-გურჯაანის პარალიზებული ავტომაგისტრალის გახსნა, აქციიდან სამი საათის შემდეგ მოხერხდა.




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი შეიარაღებული ძალების ნატო-ს სტანდარტებით დაფინანსებას მოითხოვს.

საპარლამენტო კომიტეტმა გუშინ განიხილა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმად, სამხედრო უწყების ბიუჯეტი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 2 პროცენტით უნდა განისაზღვროს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, კოდორის ხეობას საქართველოს და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ყურადღება არ მოაკლდება.

ირაკლი ალასანიას ინფორმაციით, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გადაწყვეტილებით, უახლოეს დღეებში კოდორის ხეობაში მედიკოსთა ჯგუფი გაემგზავრება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების პროგრამას განახორციელებს. პრეზიდენტმა უკვე გამოყო 3,5 მილიონი ლარი საკენ-ჭუბერის ახალი გზის მშენებლობისათვის და აფხაზეთის მთავრობამ ამ ხეობაში ვერტმფრენის რეგულარული რეისების შესრულების საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვიტა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტია" უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსგან კატეგორიულად მოითხოვს პარტიის ახალი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვას, რომელშიც მეანაბრეებისთვის თანხების დაბრუნების მექანიზმი "დეტალურად არის გაწერილი". აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში "ლეიბორისტული პარტიის" წევრმა, დეპუტატმა თემურ დოლიშვილმა წარადგინა. "ლეიბორისტები" მეანაბრეებისთვის "ნინო ბურჯანაძის ოჯახის მიერ თურქული კრედიტიდან მითვისებული 28 მილიონი დოლარის" დაბრუნებასაც ითხოვენ. "ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკური კომიტეტის მიერ შემუშავებული ახალი კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფომ "შიდა ვალად" უნდა აღიაროს მეანაბრეთა დავალიანება, თანხის დაანგარიშება უნდა მოხდეს სამართლიანი კურსით და დავალიანების გასტუმრება, თავდაპირველად, უფროსი ასაკის მეანაბრეებიდან უნდა დაიწყონ. ამ მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად 100 მილიონი ლარი უნდა ჩაიდოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კონსერვატიული პარტია" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. როგორც პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, "ვიდრე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ამ პოსტზე იმუშავებს, ყველაფერს გააკეთებს რუსეთისთვის საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გადასაცემად." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვის მცდელობას საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური კურსის ცვლილებად აფასებს. როგორც გუშინ "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრმა კოკა გუნცაძემ განაცხადა, მათთვის კატეგორიულად მიუღებელია სტრატეგიული ობიექტების, მათ შორის, მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვა. გუნცაძის თქმით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ამ რუსული კომპანიისთვის მიყიდვა დაუშვებელია, რადგან "გაზპრომი" არა კერძო, არამედ სახელმწიფო კომპანიაა, რომელსაც კრემლი აკონტროლებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისში გუშინ სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევის პირველი ეტაპი დაიწყო. ადგილობრივმა მთავრობამ 32 წვევამდელი ქალაქის მერიიდან საზეიმო ვითარებაში გააცილა.

ქუთათელ-გაენათის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე კალისტრატემ წვევამდელები აკურთხა, ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელმა გია გიორგაძემ კი მათ ფასიანი საჩუქრები გადასცა. საგაზაფხულო გაწვევაზე ქუთაისიდან სულ 230 ახალგაზრდა უნდა გაიწვიონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** ენგურჰესის სამთვიანი გაჩერების პერიოდში აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას ელექტროენერგიას რუსული კომპანია "რაო ე-ესი" მიაწვდის.

დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად ენგურჰესი 15 მარტიდან 15 ივლისამდე გაჩერდება. აფხაზეთის სახელმწიფო კომპანია "ჩერნომორენერგოს" გენერალური დირექტორის ხუტა ჯინჯოლიას განცხადებით, ენგურჰესის სადერივაციო გვირაბში გადაუდებელ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს "საქგვირაბმშენის" სპეციალისტები ჩაატარებენ, სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში კი აფხაზეთს ელექტროენერგიას რუსული "რაო ე-ესი" მიაწვდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორს მერაბ ბერიძეს პარლამენტარები თავდებად დაუდგებიან. ბერიძის დაკავების საკითხი 22 თებერვალს პარლამენტის პლენარული სხდომის განხილვის საგანი გახდა. თავდებობის საკითხი დეპუტატმა ელენე თევდორაძემ დასვა. მან მოუწოდა სტუდენტებს, დაუბრუნდნენ აუდიტორიებს და სწავლა განაგრძონ.

დეპუტატმა ზვიად ძიძიგურმა კი აღნიშნა, რომ მათ უკვე მოამზადეს შესაბამისი ფორმა, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიას მიმართავენ და მოუწოდა დეპუტატებს, ხელმოწერებით გამოხატონ საკუთარი პოზიცია და "თავდებად დაუდგნენ კაცს, რომელიც ეროვნულ საქმეს აკეთებდა."

"მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ კი მოითხოვა, დაისაჯოს ის თანამდებობის პირი, რომლის მითითებითაც მოხდა ბერიძის დაკავება და ის მოსამართლე, რომელმაც ასეთი უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. ფიქრია ჩიხრაძეს ეს თანამდებობის პირი არ დაუსახელებია. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის აზრით, სამთვიანი აღმკვეთი ღონისძიება სასამართლოებმა "მინიმალურ შემთხვევაში" უნდა გამოიყენონ. მან იმედი გამოთქვა, რომ ახალციხის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოები პარლამენტს ინფორმაციას მიაწვდიან. **მედიანიუსი**

# კონსტიტუციის "ჭრა-კერვა" პარლამენტში

პირველი გვერდიდან

რომ ქვეყნის კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი შეიძლებოდა შეუსაბამობაში მოსულიყო. ამიტომ, მისი მოთხოვნით, საკონსტიტუციო ცვლილებების გარდამავალ დებულებებში შევიდა მუხლი, რომლის თანახმადაც, 2004 წელს არჩეული პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრება იმ დროს არსებული საარჩევნო კოდექსის მიხედვით.

ამრიგად, თუ საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტს დაითხოვს და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს, ახალი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში უკვე 150 დეპუტატი იქნება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ამოწურვამდე იმუშავებს, მაშინ საკონსტიტუციო ცვლილებები 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამოქმედდება.

გუშინ, 164 ხმით 8-ის წინააღმდეგ, პარლამენტმა, პირველი მოსმენით, კიდევ ერთ საკონსტიტუციო ცვლილებას დაუჭირა მხარი. ზურაბ ადეიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანების შემდეგ ჩამოყალიბებული სტრუქტურა იწოდება... "შინაგან საქმეთა სამინისტროდ".

შსს-ს + უშიშროება = შსს-ს, - ამ "მოდელის" წინააღმდეგ გამოვიდა რესპუბლიკელი ივლიანე ხაინდრავა, რომელმაც საკონსტიტუციო ცვლილებებზე კენჭისყრის გადადება იმ დრომდე მოითხოვა, ვიდრე უწყების ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი დეპუტატებს სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტებს გააცნობდა.

**"ორი სამინისტროს ამ ფორმით შერწყმა ამ ეტაპზე არსწორია, რადგან ის "სუკიზაციამდე" ან "კაგებეზაციამდე" მიგვიყვანს,"** - ამტკიცებდა ივლიანე ხაინდრავა, თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციონერი კოლეგის გაფრთხილება ყურად არ ილო და როგორც აღვნიშნეთ, ორი სამინისტროს შერწყმასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებები მოიწონა.

გუშინვე პარლამენტი, პირველი მოსმენით, შეუდგა კანონპროექტის განხილვას, რომელიც უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების (ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი) ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიებს ითვალისწინებს. კანონპროექტის ავტორისა და ინიციატორის, საპროცესო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის, ხათუნა გოგორიშვილის თქმით, კანონი ამოქმედდება აღნიშნულ პირთა მხოლოდ გარდაცვალების (და არა გადადგომის, იმპიჩმენტის და ა.შ) შემთხვევაში და მათი ოჯახის სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მოხდება. ანუ, კანონის ამოქმედების მომენტისთვის, ის მხოლოდ ზვიად გამსახურდიას და ზურაბ ჟვანიას ოჯახებზე გავრცელდება.

"საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახების წევრთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონპროექტის მიხედვით, გარდაცვლილის ოჯახს უნარჩუნდება სახელმწიფო აგარაკითა და სატრანსპორტო მომსახურებით, აგრეთვე სახელმწიფო დაცვით სარგებლობის უფლება.

კანონპროექტი, აგრეთვე, ითვალისწინებს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის გარდაცვლილ პირთა ოჯახისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნას, რომელიც განაწილდება ოჯახის თითოეულ წევრზე (მშობლები, მეუღლე, შვილები) თანაბარი პროპორციით, სიცოცხლის ბოლომდე.

გუშინდელი პლენარული სხდომის დასრულების შემდეგ კი საპარლამენტო უმრავლესობამ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე, დახურულ კარს მიღმა, კოტე კუბლაშვილის კანდიდატურა განიხილა.

**"კუბლაშვილს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ჩემზე განსაკუთრებით წესიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და ამასთან, მის შესახებ არაერთი დადებითი რეკომენდაცია მომისმენია. მის მიმართ მთელ ფრაქციაში პოზიტიური განწყობაა,"** - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე.











# კანცელარიაში ენერგეტიკის საკითხებზე შეხვედრა დახურულ კარს მიღმა შედგა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს და კომპანია "თელასის" გენერალურ დირექტორს დანგირას მიკალაიუნასს დახურულ კარს მიღმა შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ნიკა გილაურმა აღნიშნა, შეხვედრაზე საუბარი ენერგეტიკის საკითხებში საქართველო-რუსეთის მომავალ თანამშრომლობასა და უახლოეს მომავალში თბილისში სს "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემების" (რაოეესი) სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანდრეი რაპოპორტის ვიზიტს შეეხო.

მინისტრის თქმით, შეხვედრაზე საუბარი ასევე თბილისის ელექტრომომარაგებასაც შეეხო. 1 მარტს ჩაირთვება "თბილსრესის" მესამე ენერგობლოკი, გაიზრდება იმპორტი, ფუნქციონირებას გააგრძელებს ასევე მე-9 ენერგობლოკი.

გილაურმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ მარტის დასაწყისისთვის დროებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად გაჩერდება "ენგურჰესი". ამ პერიოდში აფხაზეთს დენს რუსული "რაო ეეს როსიი" მიაწვდის.

"ენგურჰესის გაჩერების პერიოდში, ენერგოპრობლემები საქართველოს მოსახლეობას კიდევ ექნება, თუმცა დაახლოებით 2006 წლის ბოლოსთვის ქვეყნის ყველაფერი მოგვარდება," - აღნიშნა მინისტრმა.

გილაურისვე ინფორმაციით, უკვე დასასრულს უახლოვდება სამინისტროს მიერ ქვეყნის ენერგეტიკული პროგრამის შემუშავების პროცესი, რომელიც მომავალი 3-5 წლის გეგმებს მოიცავს. პროგრამა ქვეყანაში ახალი საბაზისო სიმძლავრეების დამონტაჟებას ითვალისწინებს. მათ შორის, ნავარაუდევია გაზოტურბინების მონტაჟიც, რის შესახებაც მოლაპარაკებები ამჟამად რამდენიმე კომპანიასთან უკვე მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი მათგანია შვეიცარული კომპანია "იგომაჰი", რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და სათბობ-ენერგეტიკის მინსიტრი ნიკა გილაური უკვე შეხვდნენ.

*24 საათი*

## მოკლედ

# პარლამენტს წამების წინააღმდეგ ოქმის რატიფიცირებას სთხოვენ

გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში მანფრედ ნოვაკი საქართველოს პარლამენტისგან ადამიანის წამებისა და ღირსების შელახვის შესახებ გაერო-ს მეორე ოქმის რატიფიკაციას მოითხოვს.

საქართველოში შვიდდღიანი სამუშაო ვიზიტით მყოფი მანფრედ ნოვაკი გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და კომიტეტების ხელმძღვანელებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, გაერო-ს აღნიშნული ოქმის საფუძველზე, საქართველოში ხუთი წლის ვადით შეიქმნება მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც წამების ფაქტებზე მონიტორინგს განახორციელებს. თევდორაძის განცხადებით, აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლები იმუნიტეტით ისარგებლებენ, რათა საკუთარი საქმიანობა წარმატებით განახორციელონ. შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დაავალა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს, მიმართოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, პარლამენტში სარატიფიკაციოდ შეიტანოს ადამიანის წამებისა და ღირსების შელახვის შესახებ გაერო-ს მეორე ოქმი.

*ინტერ-პრესი*

# ფინანსთა მინისტრს ელჩის უფლებამოსილება მოეხსნა

164 ხმით ერთის წინააღმდეგ პარლამენტმა უფლებამოსილება შეუწყვიტა რუსეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვალერი ჩეჩელაშვილს. ამის მიზეზი ჩეჩელაშვილის საქართველოს ფინანსთა მინისტრის პოსტზე დანიშვნა გახდა.

პარლამენტმა 168 ხმით ერთის წინააღმდეგ კვიპროსში ელჩად ლაშა ჟვანია დაამტკიცა. ლაშა ჟვანია პარალელურად ელჩის ფუნქციებს ისრაელშიც შეასრულებს. იგი ელჩად დანიშვნამდე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო.

*მედიანიუსი*




## სგსე კომუნალურ გამრიცხველიანებას იწყებს

როგორც "24 საათს" "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან" (სგსე) შეატყობინეს, სგსე-ს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, კომპანიის ექვსივე რეგიონულ ფილიალში, მათ შორის - ქვემო ქართლში, 1 მარტიდან ინკასატორის ინსტიტუტი უქმდება.

სგსე-ს ქვემო ქართლის ფილიალის ხელმძღვანელთა განცხადებით, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მოხმარებული ელექტროენერგიის ზუსტი აღრიცხვისა და დარიცხვის სისტემის განმტკიცებას. კერძოდ, ე. წ "ინკასატორის" ნაცვლად, იმუშავებს მრიცხველის წამკითხველი, რომლის საქმიანობაც დახარჯული ელექტროენერგიის მაჩვენებლებისა და საფასურის დაფიქსირება, ასევე, შესაბამისი ქვითრების დარიგება იქნება. კატეგორიულად აიკრძალება ხელზე ფულის აკრეფა, ხოლო ასეთი პრეცედენტის გამოვლენის შემთხვევაში, ქვემო ქართლის ფილიალის ადმინისტრაცია უმკაცრეს ზომებს მიმართავს. გარდა ამისა, ქვემო ქართლის რეგიონში მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის გასაუმჯობესებლად, მალე რეგიონის კომუნალური გამრიცხველიანება დაიწყება. საწყის ორ ეტაპზე სულ 326 – 326, ხოლო მესამეზე - 295 კომუნალური მრიცხველის დამონტაჟება იგეგმება.

დმანისსა და გარდაბანში ამ პროცესის დასრულება, შესაბამისად, 45 და 86 დღეშია ნავარაუდევი, მანგლისი-თეთრი წყაროს მომსახურების ცენტრს 220 დღე ესაჭიროება, წალკა-კუშჩს – 89, მარნეულს – 87 და ა. შ.

ამჟამად, ქვემო ქართლის ფილიალში მიღებულია 900 კომუნალური მრიცხველი, სულ კი, დაახლოებით 1200-ია ნავარაუდევი.

სახელმწიფოს დაფინანსებით სგსე-მ 3 მილიონი ლარის ღირებულების, უკრაინული წარმოების 12 000 მრიცხველი მიიღო, რაც შესაბამის მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს. მრიცხველების განთავსების ტექნიკურ უზრუნველყოფას სგსე საკუთარი სახსრებით ახორციელებს. ბოლო პერიოდში, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მასშტაბით, უკვე დამონტაჟდა დაახლოებით 400 კომუნალური მრიცხველი, საიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი სამეგრელოს რეგიონზე მოდის.

*24 საათი*

## აეროპორტის ტენდერი გადაიდო

*თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერის შედეგების გაჟღერება გადაიდო.*

გუშინ პარლამენტის სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კობა ბექაურმა ტენდერის შეჩერება მოითხოვა. კობა ბექაურის განცხადებით, ტენდერი უკანონოდ ტარდება და მასში აეროპორტის ხელმძღვანელების ნათესავები არიან ჩართული.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბექაურის პოზიციას დაეთანხმა და აღნიშნა, რომ დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს მიმართა და პრემიერის გადაწყვეტილებით ტენდერი გადადებულია.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა საკუთარი აღშფოთება ტენდერის მიმდინარეობის პროცესის გამო ასე ახსნა: **"ეს არ არის უბრალო ობიექტი, რომლის მშენებლობაც შეიძლება არ იყოს შეთანხმებული ქალაქის ხელმძღვანელობასთან. ის ინფორმაცია, რაც ჩვენ მივიღეთ, არ გვაკმაყოფილებს. მე ძალიან მაშფოთებს ის განწყობა, თითქოს წინასწარ არის განსაზღვრული, ვინ უნდა განახორციელოს ეს პროექტი. ასეთი ტენდერები უნდა ცხადდებოდეს საერთაშორისო მასშტაბით,"** - აცხადებს ნიკო ლეკიშვილი.

სატენდერო კომისიამ 16 თებერვალს სატენდერო პაკეტები ოფიციალურად გახსნა და მონაწილეთა ვინაობა დაასახელა. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად სურვილი რამდენიმე კომპანიამ - გერმანული "ტაკომის" შვილობილმა ფირმა "გლორ იედ პივდენმა," ქართულმა "პალადი ჯგუფმა" და არქიტექტორმა გიორგი თუხარელმა გამოთქვეს და შესაბამისი პროექტები წარმოადგინეს. ტენდერის შედეგები 23 თებერვალს უნდა გამხდარიყო ცნობილი.

პროექტის მაქსიმალური ღირებულება 35 მლნ დოლარს შეადგენს და ამ თანხას თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ათწლიანი კრედიტის სახით აიღებს.

როგორც ეკონომიკის განვითარების სამინისტროში აცხადებენ, მისი გასტუმრება მგზავრთა ტარიფებზე დამატებული მოსაკრებლის ხარჯზე მოხდება.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტს შესაბამისი ინფრასტრუქტურა ექნება, რომელიც საათში 2000 მგზავრზეა გათვლილი.

*24 საათი*

# შედგება თუ არა "გაზპრომის" ალიანსი საქართველოსთან

### რუსულ ენერგოგიგანტთან მოლაპარაკებები, თურმე, გრძელდება

*გუშინ იტალიურმა გაზეთმა "ლა სტამპამ" გამოაქვეყნა ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, სადაც ქვეყნის პირველი პირი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს რუსულ კომპანია "გაზპრომთან" აწარმოებს. "ჩვენ ამ საკითხზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, ბოლოს და ბოლოს, ეს გაზი რუსეთიდან მოდის," – ასე ჟღერდა პრეზიდენტის ფრაზა, რომელმაც ქართველი ექსპერტებისა და ოპოზიციური პოლიტიკური ძალების შეშფოთება გამოიწვია.*

მაია ურუშაძე

"ლა სტამპაში" დაბეჭდილი ინტერვიუ მასმედიის ყურადღების ცენტრში დაუყოვნებლივ მოექცა. დაუყოვნებელი იყო ოპოზიციური პარტიების რეაქციაც: "გაზპრომთან" მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით თითქმის ყველა მათგანმა საკუთარი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა.

კერძოდ, საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვის მცდელობას საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური კურსის ცვლილებად აფასებს. როგორც საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, გაზსადენების რუსული ენერგოგიგანტისთვის გადაცემის შემთხვევაში, უხეშად დაირღვევა არა მარტო საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ," არამედ სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება საქართველოს, როგორც გრძელვადიანი, კეთილსაიმედო პარტნიორის იმიჯი ისეთი სტრატეგიული მოკავშირეების თვალში, როგორიცაა აზერბაიჯანი, თურქეთი და აშშ.

"მაგისტრალური გაზსადენის რუსეთისთვის გადაცემა საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას დაასამარებს, რომლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, დაახლოებით, წელიწადნახევარში სამხრეთ კავკასიის მილსადენი უნდა გახდეს," – მიიჩნევს "მემარჯვენეების" ლიდერი.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვას კატეგორიულად ეწინააღმდეგება "საქართველოს კონსერვატიული პარტიაც." მეტიც: პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლობის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძე იქნება, "რომელიც საქართველოში რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს ახორციელებს, ის ყველაფერს გააკეთებს რუსეთისთვის საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გადასაცემად." მისივე განცხადებით, დღეს საქართველოში იგივე სურათი იქმნება - რაც შევარდნაძის მმართველობის დროს, როცა დეკლარირებულად საქართველო დასავლური კურსის მიმდევარი იყო, ხოლო რეალურად - რუსულ ინტერესებს ახორციელებდა.

ამ რამდენიმე თვის წინ, როდესაც საქართველოს "გაზპრომის" წარმომადგენლები ეწვივნენ და ჟურნალისტები მაგისტრალურ გაზსადენებთან დაკავშირებული სახელისუფლებო გეგმებით დაინტერესდნენ, ამ თემაზე რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების არსებობა საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ კატეგორიულად უარყო. "ამ საკითხზე ჩამოყალიბებულები არ ვართ. ეს არის სტრატეგიული ობიექტი, რომელთან მიმართებაშიც ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი," – აცხადებდა მაშინ ზურაბ ჟვანია.

"საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის" რუსული "გაზპრომისთვის" მიყიდვის შესაძლებლობას, ამ ეტაპზე, უარყოფს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია. მისი განმარტებით, ამ გაზსადენის პრივატიზება კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების შეტანის გარეშე ვერ განხორციელდება. "ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კი კანონში ცვლილების შეტანის შესახებ პარლამენტისათვის, ჯერჯერობით, არ მიუმართავს," – დააკონკრეტა დამენიამ. მისი თქმით, ეს საკითხი დღის წესრიგში, ალბათ, მალე დადგება და, სავარაუდოდ, გაზსადენის 51 პროცენტი გაიყიდება.

თუმცა, საქართველოს მაგისტრალური მილსადენის რუსული "გაზპრომისათვის" მიყიდვის შესაძლებლობას არ უარყოფს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე. იგი ადასტურებს, რომ რუსულ სახელმწიფო კომპანია "გაზპრომს" ამ გაზსადენების მიმართ დაინტერესება გააჩნია, მაგრამ, მისი განცხადებით, "მოლაპარაკებები "გაზპრომთან" ამჟამად არ მიმდინარეობს, რადგან მას არა აქვს ჩამოყალიბებული ხედვა, თუ როგორ შეიძლება ეს პროცესი წარიმართოს." მისივე შეფასებით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციის შემთხვევაში, საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას პრობლემები არ შეექმნება.

თუმცა, საპირისპიროს ამბობენ ექსპერტები. როგორც ექსპერტი კასპიისპირეთის ენერგორესურსების საკითხებში ლიანა ჯერვალიძე აცხადებს, "გაზპრომისთვის" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების გადაცემა, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, აბსოლუტურად გაუმართლებელია. "ეს ქვეყნის კურსის რადიკალურ ცვლილებას ნიშნავს, რადგან ამ მილსადენებს, საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევის შემდეგ, რუსული ენერგოგიგანტი დასავლური ინტერესების წინააღმდეგ გამოიყენებს," – შიშობს ექსპერტი. მისი თქმით, ახლა საქართველომ მაგისტრალური გაზსადენების გასხვისებაზე კი არა, მომწოდებლის დივერსიფიცირებაზე უნდა იზრუნოს.

სხვათა შორის, მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო პრივატიზაცია არაერთხელ გააპროტესტა ამერიკულმა მხარემ. ამერიკელი ექსპერტები კი საქართველოს ურჩევდნენ, რომ გაზის მომწოდებლის დივერსიფიცირების შესახებ ფიქრისთვის მეტი დრო დაეთმოთ.

ცნობისათვის: გაზის მომწოდებლის დივერსიფიცირების მიზნით, ენერგეტიკის სამინისტრომ ირანი-აზერბაიჯანი-საქართველოს დამაკავშირებელ გაზსადენზე სარეაბილიტაციო სამუშაოებიც ჩაატარა. შედეგად, "გაზპრომისგან" მოწოდებაში პრობლემების გაჩენის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს სარეზერვო გაზსადენი გაზის მოწოდების ალტერნატიულ წყაროდ იქცეს. მით უმეტეს, რომ ირანთან წინასწარი მოლაპარაკებები უკვე არსებობს. უბრალოდ, ირანიდან გაზის იმპორტი ორჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე რუსეთიდან.

# პრივატიზაციის პროცესი პრეზენტაციების თანხლებით

*ამ წლის მორიგ აუქციონს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 1 მარტს ჩაატარებს. აუქციონამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე კი, სამინისტრომ აუქციონზე გასატანი ხუთი ობიექტის პრეზენტაცია მოაწყო. აუქციონიდან შემოსული თანხის 35 პროცენტი ადგილობრივ, 65 პროცენტი კი - ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხება.*

მარიამ ჭაჭვაძე

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გასაყიდად გამოტანილი ხუთი ობიექტიდან ორი აჭარაში, სამი კი დედაქალაქის ცენტრალურ რაიონებში მდებარეობს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული შპს "ალფას" საწესდებო კაპიტალში არშესული დაუმთავრებელი მშენებლობა და მასზე დამაგრებული 10.527 კვადრატული მეტრის მიწის ფართობია, რომლის საწყისი ღირებულება 160 ათასი აშშ. დოლარია. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია ვარაუდობს, ობიექტის სიდიდისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუქციონზე საწყისი ფასი ბევრად გაიზრდება.

ამ ხუთეულში მეორე მსხვილი ობიექტი ქობულეთში მდებარე რესტორანი "თეთრი გედია", რომლის საწყისი ფასი ასევე 160.000 აშშ დოლარია. ამ ერთსართულიანი ობიექტის საერთო ფართი 192.7 კვადრატული მეტრია, რომელზედაც 8162 კვ.მეტრის მიწის ფართობია დამაგრებული. იქიდან გამომდინარე, რომ "თეთრი გედი" ზედ ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ობიექტზე დიდი დაინტერესება იქნება და გამოცხადებულ ფასზე ბევრად მეტად გაიყიდება.

აჭარაში მდებარე კიდევ ერთი ობიექტი, რომელიც 1 მარტისთვის გამოცხადებულ აუქციონზე გაიყიდება, ბავშვთა სანატორიუმი "ოქროს ნაპირია", რომლის საწყისი ფასი სამინისტრომ 130 ათასი აშშ დოლარით განსაზღვრა. სამინისტროში ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაშიც გაყიდვიდან შემოსული თანხა საწყის ფასზე ბევრად მეტი იქნება. თუმცა, თუკი გასული წლის მიწურულს აჭარაში საკურორტო ობიექტებზე ჩატარებულ აუქციონებს გავითვალისწინებთ, ეკონომიკის სამინისტროს მოლოდინი საეჭვო ხდება. შარშან ოქტომბერ-ნოემბერში აჭარაში სამი სასტუმრო "ინტურისტი", "თანამგზავრი" და "ივერია" გაიყიდა. მათზე გამოცხადებული აუქციონის დროს, დაინტერესებულ კომპანიებს შორის სერიოზულ კონკურენციას ადგილი არ ჰქონია. ამას, აუქციონში მონაწილე კომპანიებისა და ფიზიკური პირების რაოდენობის გარდა, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სამივე ობიექტი საწყის ფასთან შედარებით, 20 ათას აშშ დოლარზე მეტად არ გაყიდულა. მეტიც, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დღეს აღიარებენ, ბევრ უცხოურ ბიზნესჯგუფს აჭარაში გასაყიდი ობიექტის საწყისი ფასი ხშირად ეძვირებოდა.

1 მარტის აუქციონზე ასევე გამოტანილია თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შპს "ხელოვნების", სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100-პროცენტიანი წილი, რომლის საწყისი ფასი, ფართის სიმცირიდან (126 კვ.მ.) გამომდინარე, მხოლოდ 50 ათასი დოლარია.

მეხუთე ობიექტი კი რუსთაველის გამზირზე მდებარე შპს "ვაკას" საწესდებო კაპიტალში არშესული მცირე ავტოსადგომებია, რომლის საწყისი ფასი 62 ათასი აშშ დოლარია.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტროს მიერ გამოცხადებული საპრივატიზაციო აუქციონებისა და კონკურსების გამართვამდე ერთი კვირით ადრე გასაყიდი ობიექტების პრეზენტაცია ტრადიციულ ხასიათს მიიღებს. **"მსგავსი პრეზენტაციების გამართვით სამინისტრო დამატებით მექანიზმებს ქმნის, იმისთვის, რომ საზოგადოებას მუდმივად ჰქონდეს საშუალება, აკონტროლოს პრივატიზაციის მიმდინარეობა. პროცესი იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და საჯარო, რაც თავისთავად გულისხმობს პოტენციური მყიდველების რაოდენობის ზრდას და, შესაბამისად, მაღალ კონკურენციას,"** - ეს განცხადება გუშინ, მინისტრის ნაცვლად, მისმა მოადგილემ კახა დამენიამ გააკეთა. სამინისტროში იმასაც ირწმუნებიან, რომ მსგავსი პრეზენტაციები მსხვილი ობიექტების გაყიდვის შემთხვევაშიც მოეწყობა.

აუქციონი 1 მარტს საღამოს 4 საათზე ჩატარდება, ხოლო აუქციონში მონაწილეობის თაობაზე განცხადებების მიღება სამინისტროში 28 თებერვალს დასრულდება.

## საგადასახადო განმარტებები

**კითხვა: ვარ ფიზიკური პირი (ინდ. მეწარმე). მაქვს ფართი, რომელიც გაქირავებული მაქვს იურიდიულ პირზე. მიღებული შემოსავალი არის მიზერული. ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით რა გადასახადით დავიბეგრები?**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ფართის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, იგი შეიტანება ინდ. მეწარმის ერთობლივ შემოსავალში და სხვა შემოსავლებთან ერთად, კოდექსით დადგენილი წესით ხარჯების გამოქვითვის შემდეგ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით 12%-ის ოდენობით. ამასთან, ფართის დამქირავებელი იურიდიული პირი ვალდებულია, გადაიხადოს სოციალური გადასახადი 20%-ის ოდენობით.

გარდა ამისა, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ქონება, კოდექსით დადგენილი პირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა, დაექვემდებაროს ქონების გადასახადით დაბეგვრასაც (ღირებულების 0,1-დან 1%-მდე ოდენობით).

**კითხვა: ვარ ფიზიკური პირი (ინდ. მეწარმე). მაქვს პურის საცხობი. მის ასამუშავებლად ვიყენებ შეშას. მას ვყიდულობ ფიზიკური პირისაგან, რომელიც გადამხდელად არ არის რეგისტრირებული საგადასახადო ორგანოში. ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, უნდა დავუკავო თუ არა მას საშემოსავლო და სოციალური გადასახადები?**

**პასუხი:** კოდექსის შესაბამისად, თქვენ ვალდებული ხართ, გაწეული მომსახურების ანაზღაურებისას დაუკავოთ საგადასახადო ორგანოში არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს საშემოსავლო გადასახადი 12%-ის ოდენობით და დაარიცხოთ ანაზღაურების თანხას სოციალური გადასახადი 20%-ის ოდენობით.

**კითხვა: აქვს თუ არა უფლება საგადასახადო ორგანოს, მოსამართლის ბრძანების გარეშე შეამოწმოს უკვე შემოწმებული საწარმო? საწარმოში განმეორებით ჩაატაროს რევიზია უკვე შემოწმებულ საკითხებზე?**

**პასუხი:** საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოები გადასახადის გადამხდელთა საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. მოსამართლის ბრძანების გარეშე ხორციელდება გეგმიური საგადასახადო შემოწმება (ერთხელ სამეურნეო წლის განმავლობაში) და ისეთი საგადასახადო შემოწმება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან.

ამავე დროს, მოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია გადასახადის გადამხდელის უკვე შემოწმებული პერიოდის ხელახლა შემოწმება.

სხვა შემთხვევებში საგადასახადო შემოწმება, როგორც წესი ხორციელდება მოსამართლის ბრძანებით.

**კითხვა: რა განსხვავებაა გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო აგენტს შორის?**

**პასუხი:** გადასახადის გადამხდელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად უშუალოდ ეკისრება გადასახადის გადახდის ვალდებულება. ხოლო საგადასახადო აგენტი არის ის პირი, რომელსაც საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში ეკისრება ვალდებულება, შეასრულოს სხვა პირის საგადასახადო ვალდებულება - დაუკავოს გადასახადი სხვა პირს (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 38).

მაგალითად, ორგანიზაცია, რომელიც გასცემს ხელფასს დაქირავებულ თანამშრომელზე, ვალდებულია დაუკავოს მას საშემოსავლო გადასახადი 12 %-ის ოდენობით და ჩარიცხოს იგი ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია ასრულებს საგადასახადო აგენტის მოვალეობას.

იმავე ხელფასის გაცემისას, ორგანიზაცია ვალდებულია, გადაიხადოს სოციალური გადასახადი 20%-ის ოდენობით. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია მოქმედებს, როგორც უშუალოდ გადასახადის გადამხდელი.

## საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
## პროექტი "ბიუჯეტის მონიტორინგი"

პროექტი ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam - ის საქართველოს წარმომადგენლობასთან პარტნიორობით

**საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი "ათასწლეულის განვითარების მიზნებს" სრულად არ შეესაბამება**

საქართველოს მთავრობამ 2005-2007 წლებში სოციალური დაცვა, თავდაცვა და ენერგოუსაფრთხოება პრიორიტეტულ მიმართულებებად მიიჩნია. პრიორიტეტებში არ ფიგურირებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელსაც "გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია" ითვალისწინებს (აღნიშულ დეკლარაციას საქართველომ ხელი 2000 წელს გაეროს მერვე პლენარულ სხდომაზე მოაწერა). ამ უკანასკნელის შესაბამისად, ათასწლეულის განვითარების 8 მიზანს 2015 წლამდე უნდა მივაღწიოთ:

- უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა;
- განათლების ხარისხისა და ინსტიტუციონალური მოწყობის გაუმჯობესების გზით საქართველოს განათლების სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში;
- გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა;
- ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
- დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
- აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა;
- ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა;
- განვითარებისთვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

მათ შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მიზნები, რომლებიც უშუალოდ ეხება ჯანმრთელობის დაცვას. საქართველოში არსებული სიტუაციის შეფასება ცხადყოფს, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა და ახალშობილთა სიკვდილიანობა მატების ტენდენციით ხასიათდება. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. საგანგაშოა დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელიც, რომლის პოსტსაბჭოური ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებსაც აღემატება. ჯანდაცვის მომსახურების მიუწვდომლობის გამო ხშირია დედათა სიკვდილიანობის შემთხვევები. მაღალია დედათა გარდაცვალება უშუალოდ მშობიარობის დროს, რაც სხვა მიზეზებთან ერთად კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობით და სამშობიარო სახლების მწირი აღჭურვილობითაა განპირობებული. **აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების თანამედროვე დონეზე დახვეწა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამეანო და ორსულთა მეთვალყურეობის სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების გაფართოება და სრულად დაფინანსება.**

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, ეს ზრდა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსებაზე სიმბოლურად აისახა (2004 წელთან შედარებით დაფინანსება მხოლოდ ერთი პროცენტით გაიზარდა). საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად მიმდინარე წელს 85 მილიონი ლარია გამოყოფილი. შარშანდელთან შედარებით აღნიშნული თანხები 8 პროცენტით არის შემცირებული. 2004 წელს დაიფარა დაგროვილი დავალიანება 16 მილიონი ლარის ოდენობით, 2005 წელს დავალიანება აღარ არსებობს, რამაც ძირითადი თანხის შემცირება გამოიწვია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები წარმოდგენილია სამ ძირითად პროგრამად: მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა, მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამა და მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა. თითოეული შედგება ცალკეული კომპონენტებისგან.

ამ პროგრამების კომპონენტებიდან აღსანიშნავია "სამეანო დახმარების კომპონენტი," რომელიც 9 მილიონი ლარით დაფინანსდება (წინა წლის მაჩვენებელს 600 ათასი ლარით აღემატება). "ბავშვთა (0-3) წლამდე სამედიცინო დახმარების კომპონენტის" ფარგლებში კი დაგეგმილია 6 მილიონი ლარის დახარჯვა, რაც 2004 წელთან შედარებით 8 პროცენტით მეტია. აღნიშნული პროგრამების დაფინანსების ასეთი უმნიშვნელო ზრდა, სიტუაციის გასაუმჯობესებლად საკმარისი არ იქნება.

**საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ექსპერტების შეფასებით, მიმდინარე წელს სიტუაციის გასაუმჯობესებლად საჭიროა დაიხვეწოს პროგრამების დაფინანსების მექანიზმები და ძირითადი აქცენტები თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე გაკეთდეს. მომავალ წელს, კი უმჯობესი იქნება სახელმწიფომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა გამოაცხადოს პრიორიტეტად და სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ის ამოცანები და ინდიკატორები, რომლებიც უშუალოდ ეხება ათასწლეულის განვითარების მიზნებს. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფორმირებასა და მონიტორინგში მონაწილეობა მიიღონ არამარტო სამთავრობო სტრუქტურებმა, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა.**

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ახალი საგადასახადო კოდექსის დანერგვა
პროექტი
უფასო სატელეფონო კონსულტაციები ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით
საგადასახადოს ცხელი ხაზი 93 64 75
ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.
პროექტის ფარგლებში გამოიცემა "კომენტარები ახალ საგადასახადო კოდექსზე"
საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ქრ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; e-mail: office@economists.ge
IRIS პროექტი ხორციელდება „აირის საქართველოს" მხარდაჭერით

„პროქტერ ენდ გემბლი", მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანია სამომხმარებლო მოხმარების პროდუქციის წარმოების დარგში, აცხადებს ვაკანსიას ახალგაზრდა და დინამიური პირებისათვის
P&G
სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.
აღწერა:
[illegible]
კვალიფიკაცია:
[illegible]
რეზიუმეს გამოგზავნა:
ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე www.pg-ca.com ან www.go2pg.com და განათავსეთ თქვენი პროფილი - CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager, ან გამოგზავნეთ პირადი CV ელექტრონულ ფოსტაზე: muradova.n@pg.com ფაქსი - 995 32 94 18 94.
შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ნომერზე - +994 50 350 5855

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# MUL-T-LOCK-ი საქართველოში, ანუ რას გვთავაზობს კომპანია ISS

ზაზა ფარუაშვილი

*სულ ორიოდე დღის წინ თბილისელები კიდევ ერთი სიახლის მომსწრენი გავხდით, გაიხსნა მაღაზია-სალონი ISS (ისრაელ სექურიტი სისტემს). კომპანია ISS - პირველი ამიერკავკასიაში გვთავაზობს ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად ყველაზე მოწინავე კომპანიის MUL-T-LOCK Security Products Ltd-ს პროდუქციას. კომპანია MUL-T-LOCK Security Products Ltd უკვე 25 წელია, წარმატებით მოღვაწეობს შენობა-ნაგებობების უზრუნველსაყოფი საშუალებების მსოფლიო ბაზარზე, პროდუქციის მაღალტექნოლოგიურობა, ფასების ოპტიმალური თანაფარდობა ხარისხთან, ის ძირითადი მახასიათებლებია, რამაც განაპირობა, რომ ბევრ მოწინავე ქვეყნებში (აშშ, კანადა, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, რუსეთი და სხვა) საცხოვრებელი ფართის 25% და სახელმწიფო დაწესებულებების (ბანკები, საელჩოები, საერთაშორისო ორგანიზაციები...) 60%, სწორედ ამ კომპანიის პროდუქციითაა აღჭურვილი.*
*ISS-დაცვითი სისტემები ისრაელიდან - რა მოიაზრება ამ სახელწოდების უკან, რა პროდუქციას წარმოგვიდგენს ეს კომპანია საქართველოში, საკუთარი უსაფრთხოების დაცვის დროს რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ამის შესახებ გვესაუბრება კომპანიის გენერალური დირექტორი ზაზა ბახსოლიანი:*

**- ბატონო ზაზა, რა პროდუქციას სთავაზობს თქვენი კომპანია ქართველ მომხმარებელს?**

- კომპანია ISS წარმოგიდგენთ პროდუქციის ფართო სპექტრს: შესასვლელი კარები, საკეტები, ცილინდრები, სეიფები, სახლისა და ავტომანქანის დამცავი სისტემები. ჩვენი პროდუქციის ჩამონათვალშია აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო და ტყვიაგაუმტარი დამცავი ფოლადის კარი, აფეთქების საწინააღმდეგო და ტყვიაგაუმტარი ფანჯრები და ჟალუზები.

**- თქვენი აზრით, შენობების უსაფრთხოების დაცვისას რას უნდა მიექცეს ძირითადი ყურადღება?**

- ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია – შესასვლელ კარებს, ნებისმიერი შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იწყება შესასვლელი კარებიდან, ამიტომ ძირითადი ყურადღება ექცევა კარებს და მერე სხვა დანარჩენს (საკეტი, ცილინდრი, ფანჯრები). საერთო ჯამში კი ეს ყველაფერი ერთად უნდა წარმოადგენდეს თქვენი მაქსიმალური უსაფრთხოების გარანტს.



*ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური და ზაზა ბახსოლიანი.*

ზაზა ფარუაშვილის ფოტო

**- თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად გვიამბოთ თქვენ მიერ შემოთავაზებული პროდუქციის შესახებ.**

- შევეცდები მოკლედ გადმოგცეთ ის ძირითადი მახასიათებლები, რაც MUL-T-LOCK-ის პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე გამოარჩევს.

შესასვლელი კარები – კარის უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა მოითხოვს მისი ყველა შემადგენელი ნაწილის (პანელი, ჩარჩო, საკეტი, ფურნიტურა და ცილინდრი) სათუთად შეხამებას. კარის პანელი უნდა დამზადდეს კოროზიამედეგი ფოლადისგან და უზრუნველყოფდეს მაღალი დონის აუდიო და თბოიზოლაციას; კარის ჩარჩო კარგად უნდა მიესადაგოს კარის ღიობს; საკეტმა უნდა უზრუნველყოს კარის ოთხი მიმართულებით ჩაკეტვა; დამცავმა ფურნიტურამ მაქსიმალურად უნდა დაიცვას საკეტი და ცილინდრი; ხოლო თავად ცილინდრმა - რაც შეიძლება მეტად გაართულოს უცხო გამღებით ან იდენტური გასაღებით გაღება, კარის ბურღვა თუ გატეხვა. სწორედ ეს თვისებები ახასიათებს Mul-T-Lock-ის კარებს.

Mul-T-Lock-ის საკეტები, ცილინდრები და ფურნიტურა, მათი განსაკუთრებული თვისებების წყალობით, მაქსიმალურად იცავს თქვენს კარებს გატეხვისაგან. საკეტის ცილინდრი დაკომპლექტებულია ხუთი გასაღებით და პლასტიკური კოდური ბარათით, რომელიც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის გასაღების დუბლირებას.

აღსანიშნავია, რომ Mul-T-Lock-ის კარებები, ზემოთ აღნიშნული ყველა ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნებით, შეიძლება დამზადდეს 2000 მმ სიგანისა და 2500 მმ სიმაღლის. Mul-T-Lock-ის კარები შეიძლება დამონტაჟდეს ნებისმიერი დანიშნულების ტერიტორიაზე, რომლებიც სხვადასხვა დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფას საჭიროებენ; შეგვიძლია შემოგთავაზოთ ჩაკეტვის ოთხი სისტემა: ერთარხიანი, ოთხარხიანი, ექვსარხიანი სისტემა და სისტემა "გლადიატორი". უნდა ითქვას, რომ ამ ფირმის ყველა საკეტი, მოდელის მიუხედავად, უზრუნველყოფს კარის მაღალ უსაფრთხოებას.

Mul-T-Lock-ის საკეტებს აქვს ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა:

ორმხრივად ნაჭდევი გასაღები, ერთი გასაღების სისტემა (ყველა საკეტის ცილინდრზე ერთი კოდის დაყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ყველა კარის ერთი გასაღებით გაღება). ცენტრალური გასაღების სისტემა აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით. მაგალითად, სახლის ყოველი მცხოვრების პირადი გასაღები აღებს სახლის შესასვლელ კარს და საერთო სარგებლობის სათავსოებს (მაგ.: სპორტული დარბაზი, მიწისქვეშა ავტოფარეხი და ა.შ.). იმავდროულად, ამა თუ იმ მცხოვრების ბინის კარი მხოლოდ მისი პირადი გასაღებით იღება.

ძირითადი გასაღების სისტემა ცენტრალური გასაღების სისტემის ანალოგია. მასში მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა: სისტემის შემადგენლობაში შესულია ე.წ. ძირითადი გასაღები, რომელიც მომხმარებელს ყველა კარის გაღების საშუალებას აძლევს.

ასე, მაგალითად, განყოფილების უფროსს შეუძლია, თავისი გასაღებით გააღოს როგორც საკუთარი კაბინეტი, ისე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების სხვა ოთახები. იგივე სისტემა არ მისცემს საშუალებას ფირმის რიგით მუშაკებს, გააღონ ის სათავსოები, რომლებშიც შესვლა მათთვის აკრძალულია. გენერალური გასაღების სისტემა და სხვა.

შეგვიძლია, შემოგთავაზოთ აგრეთვე Mul-T-Lock-ის ცილინდრები, რომელთა კორპუსის კონსტრუქცია და ტელესკოპური წყობის სისტემა უზრუნველყოფს საკეტის დაცვას ბურღვისაგან, შეუძლებელს ხდის უცხო გამღებით, იდენტური გასაღებით ან ელექტრონული საშუალებებით საკეტის გაღებას.

**- და მაინც, რამდენად საიმედოა თქვენ მიერ შემოთავაზებული საკეტები?**

- საერთოდ, ყველაფრის გაღება არის შესაძლებელი, მაგრამ გააჩნია როგორ და რამდენ ხანში. ჩვენ მიერ შემოთავაზებული პროდუქციის გაღება ძალიან ძნელია და ამიტომაა საიმედო. საკეტების მწარმოებელ ყველა სერიოზულ ფირმას ჰყავს თანამშრომელი, რომელიც მუშაობს იმ საკითხზე, თუ როგორ შეიძლება გატეხო ესა თუ ის საკეტი. გამოფენა-კონკურსზე, რომელიც შარშან იაპონიაში ჩატარდა, ჩვენი ფირმის საკეტების გახსნას ყველაზე დიდი ხანი დასჭირდა.

გაგონილს ნანახი სჯობიაო და მობრძანდით მაღაზია-სალონში "დაცვითი სისტემები ისრაელიდან" (გამსახურდიას 41, ტელ.: 38-28-38) და ჩვენი გამოცდილი მენეჯერები სრულყოფილი აღჭურვილობის მეშვეობით შეძლებენ თქვენი მოთხოვნების სრულყოფილ დაკმაყოფილებას.


## აკადემიური წელი აშშ-ში უფროსკლასელებისთვის

**სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაცია "მსოფლიო ლაბორატორიამ"" განაახლა საერთაშორისო სასწავლო პროგრამები მოზარდებისთვის.**

**ინგლისური ენის მცოდნე უფროსკლასელებს (დაბადებულთ 3.03.1987-დან 1.08.1990-მდე) ვთავაზობთ**
**ა.წ. 9 აგვისტოდან ისწავლონ აშშ-ს სკოლებში და იცხოვრონ ოჯახებში.**

**ათთვიანი სასწავლო პროგრამის ღირებულებაა 6000 აშშ დოლარი (J-1 ვიზა, მგზავრობა, ცხოვრება, კვება, სწავლება, სამედიცინო დაზღვევა ამერიკულ კომპანიაში, საორიენტაციო კურსი ნიუ-იორკში).**

**კონკურსი ჩატარდება ა/წლის 26-27 მარტს:**
*1.ტესტირება ინგლისურ ენაში,*
*2. უნარ-ჩვევების შემფასებელი ტესტი.*

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ა/წ. 15 მარტამდე უნდა წარმოადგინონ** *მშობლების განცხადება (ფინანსური გარანტიებით), ცნობა სასწავლო დაწესებულებიდან, ჯანმრთელობის ცნობა, ორი ფოტოსურათი 3X4,* **"მსოფლიო ლაბორატორიის" ოფისში, დ.უზნაძის ქ. N 2, 11-დან 16 საათამდე. ტელ: 95-63-36. ელ-ფოსტა: wolabge@yahoo.com**



სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ჭიათურის რაიონის სოფელ გეზრულის საშ. სკოლის შენობის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ გეზრულის სათემო კავშირთან "გეზრული"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"გეზრული"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჭიათურის რაიონი,**
**სოფელ გეზრული, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი კობა შეყილაძე, სათემო კავშირი "გეზრული"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 23 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 300** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჭიათურის რაიონი**
**სოფელ გეზრული, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი კობა შეყილაძე, სათემო კავშირი "გეზრული"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 25 მარტს 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ტყიბულის რაიონის სოფ. მუხურა-მუჯირეთის დამაკავშირებელი გზის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ მუხურას სათემო კავშირთან "ძუსა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ძუსა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ტყიბულის რაიონი,**
**სოფელ მუხურა, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი იუზა გაბრიჭიძე, სათემო კავშირი "ძუსა"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 28 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ტყიბულის რაიონი,**
**სოფელ მუხურა, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი იუზა გაბრიჭიძე, სათემო კავშირი "ძუსა"-ს თავმჯდომარე**

**2004 წლის 31 მარტი 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



## BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად. აღმასრულებელი ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობას შეადგენს BP-ს გენერალური მენეჯერის საქართველოს ოფისის ადმინისტრირება და კომპანიის შიდა და საგარეო კავშირების მართვის უზრუნველყოფა.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობები მოიცავს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- უზრუნველყოფს გენერალური მენეჯერის შეხვედრების, საქმიანი მიღებების და სხვა საქმიანობის, მათ შორის, მივლინებების დაგეგმვას, ორგანიზებას და კოორდინირებას;
- ამზადებს გენერალური მენეჯერის სამუშაო პროცესში საჭირო წერილებს, დოკუმენტებს, პრეზენტაციებს;
- ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს გენერალურ მენეჯერს და უზრუნველყოფს ყველა საოფისე ფუნქციის - მათ შორის როგორიცაა სატელეფონო ზარების მიღება, კორესპონდენციის და დოკუმენტაციის მომზადება, აღრიცხვის სისტემის წარმოება - ეფექტურად წარმართვას;
- ასრულებს გენერალური მენეჯერის თარჯიმნის მოვალეობას საქართველოს სამთავრობო უწყებებთან და სამინისტროებთან, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან და სხვა მხარეებთან გამართულ შეხვედრებზე, აგრეთვე პრეს-კონფერენციებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებზე.
- საჭიროებისამებრ ასრულებს სხვა მოვალეობებს.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- უფროს სამდივნო ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- ქართულის, როგორც მშობლიური ენის ფლობა, ინგლისური და რუსული ენების ფლობა თავისუფლად;
- კომპიუტერულ პროგრამებთან (MS Word, Excel, PowerPoint) მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 9 მარტი, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტი
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38



სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ჭიათურის რაიონის სოფელ მელუშეეთი-ღვითორი-ვაჭევის გზის რემონტი,

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ვაჭევის სათემო კავშირთან "ვაჭევი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ვაჭევი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჭიათურის რაიონი,**
**სოფელ ვაჭევი, სკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი დავით აბესაძე, სათემო კავშირი "ვაჭევი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 23 თებერვლიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ჭიათურის რაიონი,**
**სოფელ ვაჭევი, სკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი დავით აბესაძე, სათემო კავშირი "ვაჭევი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 24 მარტის 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედის გზის რემონტი,

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ხელედის სათემო კავშირთან "ხელედი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ხელედი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ლენტეხის რაიონი,**
**სოფელ ხელედი, სკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რობერტ ჩაქსელიანი, სათემო კავშირი "ხელედის"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 1 მარტიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ლენტეხის რაიონი,**
**სოფელ ხელედი, სკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რობერტ ჩაქსელიანი, სათემო კავშირი "ხელედის"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 1 აპრილის 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

## ორი სიტყვით

**ვანი.** ვანის რაიონში გუშინ მკვლელობა მოხდა. სოფელ ზეიდარში, ნათელსავის ოჯახში მყოფმა, 26 წლის ქუთაისელმა მიხეილ ღვიტიძემ დანით გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა იმავე რაიონში მცხოვრებ 27 წლის გელა კაფაძეს, რომელიც მოგვიანებით ვანის რაიონულ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მიხეილ ღვიტიძე, რომლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით აღიძრა, ამჟამად მიმალვაშია.

როგორც ვანის პოლიციაში აცხადებენ, მკვლელობა შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ოზურგეთში მცხოვრები, 23 წლის კახა რუსიძე, რომელმაც ორ პირთან ერთად, ოზურგეთის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორს, პოლიციის ლეიტენანტს, სოფელ მთისპირში მცხოვრებ, 30 წლის შამშე მჟავანაძეს, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა , გულ-მკერდის არეში ჭრილობა მიაყენა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის სამეგრელოს ოპერატიულმა სამმართველომ დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანა აღკვეთა. წინასწარი ოპერატიული ინფორმაციის შედეგად, სამართალდამცავებმა რევაზ ცხადაია სწორედ მაშინ დააკავეს, როდესაც იგი სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე 10 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტის გადმოტანას ცდილობდა.

ფინანსურ პოლიციაში მიცემულ ახსნა-განმარტებაში ცხადაია აღნიშნავს, რომ კონტრაბანდის გადმოტანა აფხაზეთიდან უშუალოდ რუსი სამშვიდობო ძალების ხელშეწყობით მოახერხა. კონტრაბანდული საქონელი ჩამორთმეულია და ექსპერტიზა უტარდება, რაც დამნაშავის მიმართ სისხლის სამართლებრივი სასჯელის სიმძიმეს განსაზღვრავს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მრავალჯერ ნასამართლევი, 43 წლის რამაზ მგალობლიშვილი, რომელმაც თბილისში, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო ჯიხურიდან, ლილი ხატიაშვილს სხვადასხვა დასახელების პროდუქტი გასტაცა.

საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის სამსახური იძიებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძებნის სამმართველოს მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, 18 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის პერმის ოლქში ადგილობრივმა შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს განზრახ მკვლელობისთვის მარნეულის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 21 წლის ემინ საბირ-ოღლი ნოვრუზოვი, რომელმაც 2003 წლის 8 ოქტომბერს მარნეულში დანით მოკლა ბაირამოვი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევში მცხოვრები, 19 წლის გიორგი კახნიაშვილი, რომელმაც ზესტაფონში, ჭიათურის რაიონის სოფელ მერევში მცხოვრებ, 34 წლის მურმან კაპანაძეს გასტაცა მობილური ტელეფონი.

საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ზესტაფონის განყოფილება. სამართალდამცავებმა დააკავეს, აგრეთვე, აფხაზეთიდან დევნილი, დროებით წყალტუბოში მცხოვრები, 27 წლის რამინ ჩიკვაიძე, რომელმაც ნინო ჭითანავას გასტაცა მობილური ტელეფონი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, დადიანისა და ღრმაღელის ქუჩების გადაკვეთაზე, დაუდგენელმა პირმა, ურთიერთშელაპარაკებისას, გადაჭრილი სანადირო თოფიდან გასროლით მუცელში დაჭრა 46 წლის შალვა გოგიჩაიშვილი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

თბილისის შს მთავარი სამმართველოს, გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს, იმავე სამმართველოს მე-8 და მე-9 განყოფილების თანამშრომლების მიერ ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგენილი იქნა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი, ნასამართლევი, 24 წლის ბადრი სვანიშვილი.

საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედიანიუსი**

# ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმე ხელახალ გამოძიებაში დაბრუნდა

*წლების წინ, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გამოძიებული საქმე - აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის მკვლელობისთვის გასამართლებული ქართველი გვარდიელის ანზორ შარმაიძის საქმე, ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო, 12 წლის შემდეგ, ხელახალ გამოძიებაში დაბრუნდა.*



საუბარია 12 წლის წინათ, 1993 წლის 8 აგვისტოს, ნატახტარი-თბილისის ავტომაგისტრალზე მომხდარ მკვლელობაზე. ნატახტრის საგუშაგოსთან გასროლილმა ტყვიამ, რომელსაც ქართველმა სამართალდამცველებმა "ბრმა" უწოდეს, 45 წლის ამერიკელი იმსხვერპლა. მოკლული ფრედ რასელ ვუდროფი, ოფიციალურად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონულ ურთიერთობათა სექტორის თანამშრომლის სტატუსს ატარებდა, სინამდვილეში კი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ სტრატეგიული ინტერესის ობიექტ ქვეყანაში – საქართველოში შემოგზავნილი ერთ-ერთი პირველი აგენტი გახლდათ.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჩინოსნის მკვლელობა ქართველმა სამართალდამცველებმა მკვლელობის ღამესვე გახსნეს და მკვლელობაში ეჭვმიტანილი – რიგითი გვარდიელი ანზორ შარმაიძეც ადვილად დაიჭირეს. ერთი შეხედვით, მათ ვალი მოიხადეს, გამოძიება სარეკორდო დროში დაასრულეს, მკვლელობაში ბრალდებულიც გაასამართლეს და ანზორ შარმაიძეს 15-წლიანი პატიმრობაც არგუნეს. სამაგიეროდ, ამერიკული სპეცსამსახურები მკვლელობის გარემოებებს რამდენიმე წლის მანძილზე იძიებდნენ და ამ გამოძიებაზე რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარიც დაიხარჯა.

ვუდროფის მკვლელობის თაობაზე ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (FBI) მიერ ჩატარებული გამოძიების მასალები და ასევე, დამოუკიდებლად ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად მოპოვებული ვრცელი მასალა "24 საათმა" უკვე შესთავაზა მკითხველს. თუმცა, "24 საათში" გამოქვეყნებული მასალებით მაშინ არავინ დაინტერესებულა. სამართალდამცველებს "24 საათში" გამოქვეყნებული, "ვუდროფის საქმის" საგამოძიებო სერიალების შემდეგ საქართველოში ჩამოსული, ვუდროფის ოჯახის ადვოკატის მაიკლ ფულარას არაერთი დაჟინებული მოთხოვნისთვისაც არ მიუქცევიათ ყურადღება. მეტიც, 2004 წლის ივნისის თვეში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შევიდა ვუდროფის მკვლელობისთვის მსჯავრდებულ ანზორ შარმაიძის ადვოკატის თამაზ ინაშვილის სარჩელი, რომელსაც "ამაგრებდა" ამერიკელი ადვოკატის (რომელიც ამჟამად შარმაიძის ინტერესებსაც იცავს) მაიკლ ფულარას მიერ წლების მანძილზე შეგროვილი მტკიცებულებები. ქართველი და ამერიკელი ადვოკატების მიზანი ერთი იყო – ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ხელახლა გამოძიებულიყო ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობის საქმე და უდანაშაულო ადამიანი – ანზორ შარმაიძე - უმძიმესი ბრალდებისგან და, შესაბამისად, პატიმრობისგან გაეთავისუფლებინათ.

თუმცა, გენერალურმა პროკურატურამ ჩატარებული მოკვლევა უარყოფითი პასუხით დაასრულა – წარმოდგენილ სარჩელში მოყვანილი ფაქტები საქმის ხელახალი გამოძიების საფუძველს არ იძლევა – ასეთი იყო ქართველი სამართალდამცველების დასკვნა. მოგვიანებით, იგივე პასუხი გასცა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომაც, სადაც პროკურატურის გადაწყვეტილება გასაჩივრდა.

ერთი სიტყვით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის, ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობის საქმე ქართველ სამართალდამცველებს კარგა ხნის დავიწყებული ჰქონდათ და არც არასდროს გაიხსენებდნენ, რომ არა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გენერალური პროკურორის მისამართით გაკეთებული მითითება, რასაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მოჰყვა და, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა მოტივით, გენერალურ პროკურატურას საქმის ხელახალი გამოძიება დაევალა. გენერალური პროკურორის დადგენილებით, ვუდროფის საქმეზე ამჟამად მოკვლევა მიმდინარეობს. პროკურატურა ახლად აღმოჩენილ გარემოებებს, რის საფუძველზეც მოკვლევა დაიწყო, რატომღაც ასაიდუმლოებს. ამ ახალი გარემოებების შესახებ "24 საათი" არაერთხელ წერდა, ის საკმაოდ ვრცელია და ნათლად აჩვენებს, რომ წლების წინ საქართველოში ჩატარებული გამოძიების მასალები სერიოზულ რევიზიას მართლაც საჭიროებს.

გენერალურ პროკურატურაში გუშინ მოწმის სტატუსით დაიბარეს და დაკითხეს უშიშროების სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი ირაკლი ბათიაშვილი. "თუ გამოძიებას სიმართლე მართლაც აინტერესებს, მე ძიებას დავეხმარები," – განაცხადა პროკურატურაში დაკითხვაზე მისულმა ირაკლი ბათიაშვილმა, რომელიც წლების წინ ჩატარებული გამოძიების დასკვნას არ ეთანხმებოდა და თვლიდა, რომ ვუდროფი პოლიტიკური მკვლელობის მსხვერპლი გახდა და რომ მკვლელობისთვის გასამართლებული ანზორ შარმაიძე უდანაშაულო იყო.

*24 საათი*

## პოლიციასთან შეტაკება მსხვერპლით დასრულდა

გუშინწინ, გვიან ღამით, პოლიციასა და ყაჩაღებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. საეჭვო პიროვნებების დაკავების მცდელობას გლდანი-ნაძალადევის N1 განყოფილების პოლიციელის, 27 წლის ნიკოლოზ კბილაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა.

"ოპერატიული თანამშრომლები სამოქმედო ტერიტორიაზე შემოვლას აწარმოებდნენ, რა დროსაც მათ ორი შეიარაღებული საეჭვო პირი შენიშნეს. პოლიციელების დანახვაზე შეიარაღებულმა უცნობებმა ცეცხლი გახსნეს. მიყენებული მძიმე ჭრილობის გამო, პოლიციის ლეიტენანტი ნიკოლოზ კბილაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა," - აცხადებს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი მერაბ ბაღათურია.

მისივე თქმით, გახსნილი საპასუხო სროლისას ადგილზე მოხდა ერთ-ერთი თავდამსხმელის ლიკვიდირება, რომლის ვინაობაც, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. მეორე თავდამსხმელმა კი შემთხვევის ადგილიდან გაქცევა და მიმალვა მოახერხა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში ირწმუნებიან, პოლიციამ ყაჩაღური ჯგუფის მოკლული წევრისგან ცეცხლსასროლი იარაღი "მაკაროვი", ნიღაბი და ხელთათმანები ამოიღო.

*24 საათი*

## კრიმინალური ავტორიტეტი მოსამართლეს უჩივის

იარაღის უკანონო შენახვაში ბრალდებული, რუსთაველი კრიმინალური ავტორიტეტის კობა შუშანაშვილის ახლობლებმა რუსთაველ მოსამართლეს ლალი მურვანიძეს იუსტიციის საბჭოში უჩივლეს.

კობა შუშანაშვილის მეუღლის ინგა თოდაძის განცხადებით, იგი ლალი მურვანიძის დისციპლინარულ დევნას მოითხოვს, რადგან მოსამართლეს სასამართლო პროცესი ბრალდების მხარის სასარგებლოდ, სერიოზული დარღვევებით მიჰყავს. ამასთან, არ აკმაყოფილებს ადვოკატების შუამდგომლობას, რომლითაც განსასჯელის საპყრობილეში პატიმრობის, შინაპატიმრობით შეცვლას ითხოვენ.

ინგა თოდაძის განცხადებით, მისი მეუღლე ადრე ნასამართლევი არ ყოფილა და გულის მძიმე დაავადება აქვს - დაპატიმრების შემდეგ, საპყრობილეში მან მწვავე ინფარქტი გადაიტანა.

კობა შუშანაშვილი სამართალდამცველებმა 2004 წლის 16 ივლისს დააპატიმრეს, მას შემდეგ, რაც მის ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი იპოვეს.

შუშანაშვილის ადვოკატების ინფორმაციით, ბრალდებას მოწმეებად პოლიციის "შტატიანი აგენტები" მოჰყავს და იარაღიც, რომელიც შუშანაშვილის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს, პოლიციას ეკუთვნის. **"ერთი მოწმე, ზაზა ფოდიაშვილი, მსგავსი სახის 11 საქმეში ფიგურირებს მოწმედ, ხოლო მეორე მოწმე, გიორგი თამაზაშვილი - 7 საქმეში,"** - აცხადებენ შუშანაშვილის ადვოკატები. ამ განცხადების გასამყარებლად მათ ცოტა ხნის წინ გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოწმედ კვლავ თამაზაშვილი გახლდათ, გამოტანილი განჩინება მოჰყავთ, რომლის მიხედვითაც, პროკურატურა გიორგი თამაზაშვილის პიროვნების შესწავლას მოითხოვს, რადგან გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგი პოლიციასთან დაახლოებული პირია.

ადვოკატების განცხადებით, მოსამართლე ლალი მურვანიძეს მათ ეს დოკუმენტი წარუდგინეს, თუმცა მოსამართლემ უარი თქვა მასალის შუშანაშვილის საქმეში დართვაზე. ადვოკატების თქმით, შუშანაშვილის სასამართლო პროცესზე, რომელიც 7 თვეა გრძელდება, მოწმეები არ ცხადდებიან და ამ მიზეზით საქმის გაჭიანურების გამო, მოსამართლეს განაჩენი ვერ გამოაქვს.

ადვოკატებმა მოსამართლის მიერ დაშვებულ შეცდომებზე საჩივრით, მართალია, იუსტიციის საბჭოს მიმართეს, მაგრამ როგორც აცხადებენ, აღნიშნულ საჩივარზე პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

მოსამართლე ლალი მურვანიძემ კომენტარის გაკეთებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

იუსტიციის მინისტრის, იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარის კოტე კემულარიას ინფორმაციით, მოსამართლეებზე ბევრი საჩივარი შედის, რომელთა განხილვა გარკვეულ დროს მოითხოვს. მისივე განცხადებით, ზოგიერთი მოსამართლის არაკომპეტენტურობა მთელი სასამართლო სისტემის პრობლემაა, რისი მოგვარებაც აუცილებელია.

*პრაიმ-ნიუსი*

## 157 ათასი ლარის მითვისება

ფინანსურმა პოლიციამ დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე, შპს "საზღვაო ტექსერვისის" დირექტორის ელგუჯა გოგავას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

შპს "საზღვაო ტექსერვისი" ფოთშია რეგისტრირებული და მისი ქონების 100 პროცენტი ქონების მართვის სამინისტროს ეკუთვნის. ფირმის ძირითად საქმიანობას გემების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება წარმოადგენს.

"პოლიციის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გოგავას ფირმის ბუღალტერიიდან სხვადასხვა სარემონტო თუ ტექნიკური სამუშაოებისათვის 157 000 ლარი აქვს ჩამოწერილი.

გოგავამ ბუღალტერიაში თანხის გასწორება მოახერხა იმ ფირმებისა და ინდმეწარმეების მიერ გამოწერილი ქვითრებით, რომელთაც ვითომდა შეასრულეს აღნიშნული სამუშაოები. თუმცა, მოკვლევამ დაადგინა, რომ აღნიშნულ ფირმებს არავითარი სამუშაო არ ჩაუტარებიათ და, შესაბამისად, არც ქვითარი მიუციათ გოგავასთვის, ხოლო ზოგიერთი ფირმა საერთოდ არ არსებობს," - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

*ინტერ-პრესი*






## განცხადება

საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს საავტომობილო გზების გასწვრივ მოსაწყობი მგზავრთა მოსაცდელი პავილიონის არქიტექტურულ პროექტზე. პროექტი უნდა შეიცავდეს ეროვნულ ნიშნებს, შერწყმული იყოს ლანდშაფტთან და ფართით არ უნდა იყოს თხუთმეტ კვადრატულ მეტრზე მეტი. წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 21 მარტი. გამარჯვებული ავტორები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრემიებით:

I ადგილი 500 ლარი
II ადგილი 300 ლარი
III ადგილი 200 ლარი

პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (თბილისი, გაგარინის ქ. №29ა) საავტომობილო გზების განვითარებისა და ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოში (სართული 13, ოთახი 13)

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

---

საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს საავტომობილო გზების გასწვრივ მოსაწყობი სავაჭრო ჯიხურების არქიტექტურულ პროექტზე. პროექტი უნდა შეიცავდეს ეროვნულ ნიშნებს, შერწყმული იყოს ლანდშაფტთან და ფართით არ უნდა იყოს ექვს კვადრატულ მეტრზე მეტი. წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 21 მარტი. გამარჯვებული ავტორები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრემიებით:

I ადგილი 500 ლარი
II ადგილი 300 ლარი
III ადგილი 200 ლარი

პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (თბილისი, გაგარინის ქ. №29ა) საავტომობილო გზების განვითარებისა და ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოში (სართული 13, ოთახი 13)

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

---

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

ანკეტა

სახელი, გვარი..........................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....................................

საკონტაქტო ტელეფონი..................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

**ქვითარი გავრცელდება ქალაქ თბილისის მეტროს შემდეგ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:**

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ნატო-ს სამიტი ბრიუსელში - დიდი იმედები და პოზიციათა ჰარმონიზაცია

პირველი გვერდიდან

განსაკუთრებით საინტერესო ნატო-ს მომავალი როლის შესახებ ბუშის მიერ გაკეთებული განცხადება იყო. როგორც ბრიუსელში შეხვედრაზე აღინიშნა, ამიერიდან განსაკუთრებული ყურადღება პოლიტიკური კოორდინაციისა და კონსულტაციების სფეროში ნატო-ს როლს დაეთმობა. "ჩვენ დიალოგისათვის სივრცე გვჭირდება," - აღნიშნა აშშ-ს პრეზიდენტმა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ალიანსი ახალი იდეოლოგიისა და საკუთარი რესურსების ახალი მიმართულებით განთავსების ძიებაშია. ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ნატო-ს რეალური რეფორმები ესაჭიროება, ოღონდ მნიშვნელოვანია ის, თუ რა კუთხით იქნება იგი გატარებული. ბუშის თქმით, დღევანდელ ვითარებაში მომგებიანი იქნება გენერალური მდივნის იაპ დე ჰუპ სხეფერის გეგმის – ალიანსს მიენიჭოს გაფართოებული პოლიტიკური როლი – რეალიზება როგორც ევროპისათვის, ასევე აშშ-სთვის.

## ახლო აღმოსავლეთი

სამიტზე სიტყვით გამოსვლის 30 წუთი ჯორჯ ბუშმა მთლიანად ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე საუბარს დაუთმო. "დღეს აშშ-სა და ევროპის წინაშე დიდი შესაძლებლობები იხსნება. ჩვენი ყველაზე დიდი შესაძლებლობა და მიზანი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებაა," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა და ახლო აღმოსავლეთის შუაგულში დემოკრატიული ფასეულობების დანერგვისათვის დიდი ახლო აღმოსავლეთის ჩამოყალიბების იდეა წარადგინა. საამისოდ, აშშ-ს პრეზიდენტის მოსაზრებით, საუკეთესო ევროკავშირის მოდელი იქნებოდა, რომელმაც "დიქტატურისა და სტაგნაციის ყალბი სტაბილურობის" დაძლევა შეძლო. ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც აქცენტი გაკეთდა, ერაყი იყო, საკითხი, რომელმაც თავის დროზე აშშ-სა და რიგი ევროპული სახელმწიფოების პოზიციების გაუცხოება გამოიწვია, ურთიერთობებში გაჩენილი ბზარის გამრთელების მიზეზად იქცა. "მოვიდა დრო, როცა ზრდასრულმა დემოკრატიებმა მსოფლიოს ახალ დემოკრატიას აუცილებელი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო დახმარება უნდა აღმოუჩინოს," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

ირანთან დაკავშირებით კი ჯორჯ ბუშმა არ გამორიცხა სამხედრო დარტყმის ალბათობაც, იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალური თეირანი ბირთვულ ამბიციებს არ მოთოკავს. თუმცა, იქვე მიუთითა, რომ ჯერჯერობით იგი სამხედრო ძალის გამოყენებას დიპლომატიის ენაზე საუბარს არჩევს.

## უკრაინა

ნატო-ს სამიტზე ვიქტორ იუშენკო მიწვეული ერთადერთი ლიდერი იყო, რომელიც ნატო-ს ფარგლებს გარეთ მყოფ ქვეყანას წარმოადგენდა. ვიქტორ იუშენკო გუშინ უკრაინა-ნატო-ს კომისიის სხდომამდე ჯორჯ ბუშს შეხვდა, სადაც აშშ-ს პრეზიდენტმა უკრაინაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისადმი თავისი მხარდაჭერა გამოხატა. ჯორჯ ბუშის მხრიდან უდიდესი პატივისცემის გამომხატველი იყო ფრაზა, რომლითაც ვიქტორ იუშენკო ჯორჯ ვაშინგტონს შეადარა იმ ამოცანათა და როლის მასშტაბების გათვალისწინებით, რისი შესრულებაც უკრაინის ახალ ლიდერს მოუწევს. თავის მხრივ, იუშენკომ მადლობა გადაუხადა ამერიკელ ხალხს უკრაინაში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ ახალი ხელისუფლება არ უღალატებს არჩეულ დემოკრატიულ კურსს. შეხვედრას ესწრებოდნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაის და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ტარასიუკი.



"დღეს აშშ-სა და ევროპის წინაშე დიდი შესაძლებლობები იხსნება. ჩვენი ყველაზე დიდი შესაძლებლობა და მიზანი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებაა".

მოგვიანებით ნატო-ს გენერალურ მდივანთან იაპ დე ჰუპ სხეფერთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზადაა, შეუერთდეს ნატო-ს წევრობისათვის მოსამზადებელ სამოქმედო გეგმას. "ნატო-უკრაინის ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას ჩვენ შევთანხმდით ამ ურთიერთობების ახალ სიბრტყეზე გადაყვანის აუცილებლობაზე," - განაცხადა იუშენკომ. "უკრაინას სურს გაწევრიანება როგორც ევროკავშირში, ასევე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში," - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. ნატო-ს გენერალური მდივნის თქმით კი, ნატო-ს წევრი-ქვეყნები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინონ უკრაინის პრეზიდენტს დემოკრატიული რეფორმების გატარებაში. მისი თქმით, უკრაინა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბალკანეთის უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სხეფერმა უკრაინას თავისუფალი და ერთიანი ევროპის შემადგენელი ნაწილი უწოდა. "მე მსურს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და უკრაინის პოლიტიკა ნატო-ში ინტეგრაციის თვალსაზრისით, არავითარ შემთხვევაში არაა მიმართული სხვა ქვეყნების ინტერესების საწინააღმდეგოდ, მით უფრო რუსეთის," - განაცხადა ვიქტორ იუშენკომ.

## რუსეთი

ვლადიმირ პუტინისა და ჯორჯ ბუშის შეხვედრა ხვალაა დაგეგმილი, ოღონდ უკვე სლოვაკეთში, ბრატისლავაში. მანამდე კი აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში რუსეთის მიმართ მკვეთრ განცხადებებს არ ერიდება. რუსეთში დემოკრატიული პრინციპების სულ უფრო მზარდი ტენდენციით შეშფოთებული დასავლეთი ვალდებულია, მეტი ყურადღებითა და სიმკაცრით მოეკიდოს რუსეთთან დემოკრატიული რეფორმების შესახებ დიალოგის წარმოებას, მიიჩნევს აშშ-ს პრეზიდენტი. ვინაიდან ბრატისლავას შეხვედრაზე ერთ-ერთი უმთავრესი თემა ირანის ბირთვული პროგრამაც იქნება, საინტერესოა, რამდენად მყარი არგუმენტები ექნება რუსეთის პრეზიდენტს ირანის ბირთვული პროგრამის პაციფისტური მიზნების დასასაბუთებლად. მანამდე კი, რუსეთის პრეზიდენტი საკმაოდ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებს. "აშშ-ს პრეზიდენტმა არაერთხელ მიწოდა მეგობარი, მას მეც ჩემს მეგობრად მივიჩნევ, თუმცა ჩვენ შევხვდებით იმისთვის, რომ ვიმუშაოთ. ცხადია, დიალოგისას სხვადასხვა საკითხს შევეხებით, არ გამოვრიცხავ კამათსაც. რაც შეეხება რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებს, მე სავსებით ვეთანხმები ამერიკელი კოლეგების შეფასებებს: ჩვენი ურთიერთობები არასოდეს აღწევდა იმ სიმაღლეს, როგორიც დღეს გვაქვს. ასევე მაღალია ნდობის ხარისხიც, რომ აღარაფერი ვთქვათ თანამედროვე მსოფლიოს საკვანძო პრობლემების ერთნაირ ხედვაზე, რაც თანამშრომლობის გაღრმავებისათვის საუკეთესო ნიადაგია. ჩვენ ალბათ ვისაუბრებთ ერაყის პრობლემებზე, ზოგადად ახლო აღმოსავლეთზე. გვერდს ვერ ავუვლით ასევე ირანის ბირთვულ პროგრამასა და ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების განცხადებებს. ეს ჩამონათვალი საერთაშორისო დღის წესრიგის უმთავრესი საკითხებია," - აცხადებს ვლადიმირ პუტინი.

## დასავლეთი ევროპა

დაბოლოს, "დღეს აშშ და ევროპა გადაწყვეტილებებისა და შესაძლებლობების წინაშე დგანან. ერთად ჩვენ კიდევ ერთხელ შეგვიძლია ისტორიას საიმედო კურსის მიმართულება მივცეთ. უკან მოვიტოვოთ სიღარიბე და იმედგაცრუება და მხოლოდ განვითარების პროგრამას მივყვეთ; უკუვაგდოთ წყენა და ძალმომრეობა სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებისათვის. ტრანსტალანტიკური ალიანსისათვის ახალი ერა დგება," - აღნიშნა აშშ-ს პრეზიდენტმა ნატო-ს შტაბ-ბინაში სიტყვით გამოსვლისას. როგორც აღმოჩნდა, ერაყის განვითარების ხედვაში ამჯერად უკვე აშშ-სა და ევროპის პოზიციები თითქმის დაემთხვა. "26 ქვეყანა, რომელიც ამ მაგიდის გარშემოა წარმოდგენილი, მიიჩნევს, რომ ერაყის საკითხებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია. ეს ძალიან საყურადღებოა," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა. ერაყის თავდაცვის ძალების წვრთნაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ნატო, მხოლოდ საფრანგეთი და გერმანია ამჯობინებენ, ერაყში ინსპექტორების გაგზავნისაგან თავი შეიკავონ და ერაყის არმიის წვრთნის დაფინანსებით შემოიფარგლონ. თუმცა, ჟაკ შირაკის მხრიდან გაისმა წინადადება, სხვა პროგრამის ფარგლებში მოამზადოს საფრანგეთმა ერაყის საპოლიციო ძალები. გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ირანის ბირთვული პროგრამისადმი ევროპის მიდგომაზე ისაუბრა. ჰოლანდიის პრემიერმა იან ბალკენენდემ კი ყურადღება ტერორიზმის პრობლემაზე გაამახვილა.

გაცილებით კონკრეტული განცხადებები გაკეთდა ჩინეთისათვის იარაღის მიყიდვის თაობაზე. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის საფრანგეთი და იტალია, უკანასკნელი თვეების განმავლობაში არაერთხელ მოითხოვდა იარაღის ექსპორტზე არსებული მორატორიუმის გაუქმებას. ვაშინგტონს ასეთი პერსპექტივა საკმაოდ აშინებს, რადგან ასეთ შემთხვევაში დიდია ალბათობა იმისა, რომ ჩინეთი ეკონომიკური მეტოქედან მნიშვნელოვან სამხედრო და დიპლომატიურ საპირწონედ გადაიქცეს. "ვშიშობთ, იარაღის მიწოდება რეალურად ჩინეთისათვის ტექნოლოგიების მიწოდება იქნება. ეს შეცვლის ჩინეთსა და ტაივანს შორის არსებულ ბალანსს," - აღნიშნა ჯორჯ ბუშმა პრეს-კონფერენციაზე.

# რუსეთის "ბირთვული ისტერია"

პირველი გვერდიდან

ეჭვგარეშეა, რომ 24 თებერვალს, ბრატისლავაში, ნატო-ს წევრი ქვეყნების მეთაურების სამიტის დასასრულს, როდესაც ერთმანეთს ამერიკის შეერთებული შტატების და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტები შეხვდებიან, საუბრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა სწორედ რუსეთის ბირთვული იარაღი იქნება.

თვით ამერიკელი სენატორი როკფელერიც მიიჩნევს, რომ დაგეგმილ შეხვედრაზე პრეზიდენტმა ბუშმა საკმაოდ მკაცრად უნდა ისაუბროს რუსეთსა და ირანს შორის ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ თანამშრომლობაზე.

თავად რუსეთის მხარე არ გამორიცხავს, რომ 24 თებერვალს ჯორჯ ბუში ვლადიმირ პუტინისაგან რუსული ატომური იარაღის საერთაშორისო კონტროლქვეშ გადაყვანის თაობაზე დოკუმენტის ხელმოწერას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით, მოსკოვის ცენტრში მართლმადიდებელ მორწმუნეთა საზოგადოების საპროტესტო მიტინგიც კი გაიმართა. შეკრებილ მომიტინგეთა მთავარი ლოზუნგი იყო: **"არ დავუშვათ შეერთებული შტატების კონტროლი რუსეთის ბირთვულ იარაღზე."**

მიტინგზე გამომსვლელები რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, არანაირ დათმობაზე არ წასულიყო. **"რუსეთის ბირთვული სუვერენიტეტი ვაჭრობის საგანი არ არის,"** – აცხადებდნენ ისინი.

"ბირთვული ისტერია" კი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ვაშინგტონში ვიზიტით დაიწყო. სწორედ მაშინ, საჯაროდ გაცხადდა ვერსია, რომ შეერთებული შტატები აპირებს, რუსეთს ბირთვულ იარაღზე საერთაშორისო კონტროლის განხორციელება შესთავაზოს. სერგეი ივანოვმა მოულოდნელად გადაწყვიტა, რუსეთის შესაძლებლობები დაემტკიცებინა და შედეგმაც არ დააყოვნა.

11 სექტემბერს დამყარებული რუსეთ-ამერიკის ალიანსის თანმიმდევრული ნგრევა კი, ზოგადად, ბოლო წერტილს გასულ კვირას მიუახლოვდა, როდესაც მოსკოვმა ვაშინგტონის ორ მტერთან თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ განცხადება გააკეთა.

პირველი, რამაც ვაშინგტონი აღაშფოთა, იმის დადასტურება იყო, რომ რუსეთი აპირებს, სირიას ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მოდერნიზებაში დაეხმაროს.

ამის შემდეგ კი მოსკოვმა განაცხადა, რომ აპირებს ირანისთვის ბირთვული საწვავის გადაცემას, ადრე მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, რაც ბუშერში ატომური ელექტროსადგურის აშენების ხელშეწყობას გულისხმობდა. ვაშინგტონმა მოსკოვს სთხოვა, მსგავსი ნაბიჯისგან თავი შეეკავებინა, რადგან საწვავი, შესაძლოა, ირანის მიერ სხვა მიზნით იქნას გამოყენებული.

რუსეთმა სირიასა და ირანს მხარი მაშინ დაუჭირა, როდესაც ბუშმა მიანიშნა, რომ ორივე ქვეყანა, ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, ვაშინგტონის ყურადღების ცენტრშია.

ზოგადად, შეერთებული შტატების ინიციატივის - კონტროლი დაამყაროს რუსეთის ბირთვულ იარაღზე - საფუძველი შესაძლოა იმ ფაქტში ვეძიოთ, რომ ორივე მათგანი მსოფლიოში უძლიერესი ბირთვული სახელმწიფოა. ცივი ომის დასრულების მიუხედავად, ორივე მათგანს გააჩნია პოტენციალი, რომ, ბირთვული კონფლიქტის შემთხვევაში, ერთმანეთი გაანადგურონ. სწორედ ეს ფაქტი ურთიერთკონტროლს აუცილებელს ხდის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსოფლიოში მსგავსი ურთიერთკონტროლის მაგალითები არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ შეერთებული შტატები, ნატო-ს მექანიზმებით, აკონტროლებს დიდი ბრიტანეთის ბირთვულ არსენალს. ამავე დროს, აბსოლუტურად დამოუკიდებელია საფრანგეთის ბირთვული ძალები. საუბარიც კი არ არის ჩინეთის რესპუბლიკის ბირთვულ ძალებზე კონტროლის დამყარებაზე. მეტიც, მათი რაოდენობა და დისლოკაციის ადგილი წლების განმავლობაში საიდუმლო იყო დასავლეთისთვის.

ამჟამად რუსეთის ბირთვულ სფეროში ისეთი ვითარებაა, რომ "როსატომი" (ბირთვული პროდუქციის მწარმოებელი საწარმო) არ უარყოფს დასავლეთის მხრიდან ფინანსური და ტექნიკური დახმარების აუცილებლობას. შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ დაახლოებით 13 მილიონი დოლარი დახარჯა დაცვის სისტემების მოდერნიზაციის პროგრამასა და სნეჟინსკში კონტროლის განხორციელებაზე, სადაც განლაგებულია რუსული ფედერალური ბირთვული ცენტრი.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ რუსეთს დასავლეთის დახმარების გარეშე გაუჭირდება, არის ატომური წყალქვეშა გემების უტილიზაცია. 2003 წლის 1 იანვრისთვის რუსეთში 192 ატომური წყალქვეშა გემი იყო ექსპლუატაციიდან გამოყვანილი, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებზე დაახლოებით სამჯერ მეტია. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში, რუსეთის წყალქვეშა ნავებზე იყო 441 ბირთვული ენერგეტიკული დანადგარი, სამხედრო ხომალდებზე – 8, ხოლო ატომურ ყინულმჭრელზე - 15. ამ სფეროში საწყისი სამუშაოების ღირებულება 4 მილიარდ აშშ დოლარად ფასდება.

იმ პრობლემების გათვალისწინებით, რაც რუსეთს იარაღთან დაკავშირებით გაუჩნდა, რთული მისახვედრი არ არის, თუ რატომ აამოქმედა კრემლმა მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი მექანიზმი – მედია და ინფორმაციული ომით სცადა ყურადღების საქართველოზე გადატანა.

**"მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ზეწოლით, ბოლო პერიოდში ისრაელის სახელმწიფომ საქართველოს სამხედრო ტექნიკის, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის მიწოდება შეუწყვიტა. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ შესაძლოა ისრაელის მიერ საქართველოსთვის გადაცემული სამხედრო ტექნიკა ჩეჩენ ტერორისტებს ჩაუვარდეთ ხელში.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან საქართველოსათვის სამხედრო ტექნიკის მოწოდების შეწყვეტის საკითხი არასოდეს ყოფილა როგორც საქართველო-რუსეთის, ისე რუსეთ-ისრაელის მოლაპარაკებების საგანი,"** – ასე უარყო რუსული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ.

# მიწისძვრა ირანში

*ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ ზარანდის მიმდებარე ტერიტორიაზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა. სტიქიის შედეგად 20 სოფელი მთლიანად განადგურდა. წინასწარი მონაცემებით, დაღუპულია 500, ხოლო კრიტიკულ მდგომარეობაშია 1000 ადამიანი. ირანს საერთაშორისო დახმარებისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავს.*

ნანა ნასყიდაშვილი

ტრაგედია ირანის პროვინცია ქერმანში ადგილობრივი დროით დილის 6 საათზე დატრიალდა. რიხტერის სკალით, 6,4 ბალიანი მიწისძვრის ეპიცენტრი 42 კილომეტრის სიღრმეზე ქალაქ ზარანდთან მდებარეობდა, რომლის მოსახლეობაც 135 000 კაცს შეადგენს. 11 წამიანი მიწისქვეშა ბიძგების შედეგად 20 სოფელი მთლიანად დაინგრა. ქვეყნის ხელისუფლების მიერ გავრცელებული წინასწარი ინფორმაციით, დაღუპულია 500 ადამიანი. ექსპერტთა პროგნოზით, სტიქიური უბედურების მსხვერპლთა რაოდენობა კიდევ გაიზრდება. ქალაქ ზარანდის ჰოსპიტლის მთავარი ექიმის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაშავებულია 5000-ზე მეტი ადამიანი. თუმცა, ირანის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამ რიცხვს ის მოქალაქეებიც მიეკუთვნებიან, რომლებიც მსუბუქი დაზიანებების გამო პირველადი სახის დახმარებას საჭიროებენ. შემთხვევის ადგილზე მაშველები და კინოლოგები მუშაობენ. მათი მონაცემებით, მხოლოდ ერთი სოფლის ნანგრევებიდან დაღუპულთა 200 ცხედარი იქნა ამოღებული. დაწყებულია მიცვალებულთა ამოცნობის პროცედურა. ტრაგედიის ადგილისკენ მიმავალი სამანქანო გზა წვიმისგან ჩამორეცხილია და მასზე მოძრაობა სახიფათოა. ამიტომ ქერმანში სურსათი, მედიკამენტები და სხვა სახის პირველადი დახმარების საგნები ვერტმფრენების საშუალებით ჩააქვთ. სინოპტიკოსთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, წვიმა აღნიშნულ რაიონში მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდება. სტიქიამ ზარანდში სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობები დაანგრია. "მიწისძვრის ეპიცენტრში საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები თითქმის მთლიანად დანგრეულია, თუმცა ზარალის სიდიდისა და მსხვერპლის რაოდენობის საბოლოო მონაცემების შესახებ საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია," - განაცხადა საგანგებო შემთხვევების შტაბის წარმომადგენელმა. ამ ტრაგედიის შედეგად დასახლებული პუნქტებიდან ყველაზე მეტად ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე სოფელი ხანუკი დაშავდა. ირანის საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ცნობით კი ერთ-ერთ სოფელში, სადაც 1 500 ადამიანი ცხოვრობს, მიწისძვრის მომენტისთვის რელიგიური ცერემონია მიმდინარეობდა. დიდია ალბათობა იმისა, რომ ცერემონიაში მონაწილეთა უმრავლესობა მეჩეთის ნანგრევების ქვეშ მოყვა. ხელისუფლებამ, უსაფრთხოების მიზნით, ქერმანისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება დროებით შეწყვიტა. ასევე შეფერხებულია მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება, პარალიზებულია საგზაო მოძრაობა და გაწყვეტილია სატელეფონო კავშირი ტრაგედიის ადგილთან. სტიქიის ზოგიერთ რაიონში მაშველების ჩაყვანა უამინდობის გამო ვერ ხერხდება, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი ძალებით ცდილობს ახლობელთა ნანგრევებიდან ამოყვანას.



ირანს საერთაშორისო დახმარებისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავს, რადგანაც ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, მათ ჯერ შესწევთ ვითარების გაკონტროლების უნარი. ოთხშაბათი ირანში გლოვის დღედ გამოცხადდა.

14 თვის წინ ამავე პროვინციაში მსგავსი ტრაგედია უკვე მოხდა. 2003 წლის 26 დეკემბერს 6,3 ბალიანმა მიწისძვრამ 90 პროცენტით დაანგრია ქალაქები: ბამი და ბარავათი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ ბამში 50 ათასი საცხოვრებელი სახლი და ადმინისტრაციული შენობა მთლიანად განადგურდა. არაოფიციალური ინფორმაციით, მაშინ დაიღუპა 40 ათასი და დაიჭრა 30 ათასი ადამიანი. გაეროს ექსპერტთა განცხადებით, სეისმოლოგიური თვალსაზრისით ირანი მსოფლიოს ყველაზე საშიში ქვეყანაა, რადგანაც ის დედამიწის სამი ფილის შესაყარზე მდებარეობს და მათი გავლენის გამო მუდმივ რყევას განიცდის.

ნუ დავაშორებთ ეროვნულ ძირებს



B2

დუელი "დელე ალპიზე" დასრულდება



B4

პრემიერ-მინისტრი მელომანების სამსახურში



B8

# ლადო გურგენიძე: "ლონდონი ჩემი იქ არყოფნით არ დაინგრევა. თბილისში კი ბევრის გაკეთებას შევძლებ"

ნინო ნარჩემაშვილი

*საქართველოში ბანკების გამსხვილების პროცესი "საქართველოს ბანკმა" დაიწყო. მის აქტივებში არსებულ სადაზღვევო კომპანია BCI-ს, კომპანია "ჯორჯიან ქარდ"-ს, საბროკერო კომპანია "Galt & Taggart"-ს ცოტა ხნის წინათ "თბილუნივერსალბანკი" და მისი სალიზინგო კომპანია "საქართველოს სალიზინგო კომპანია" მიემატა. ანუ პირველად ქართული საბანკო სექტორის არსებობის ისტორიაში ორი წარმატებული ბანკის გაერთიანება მოხდა. ოთხი თვის უკან კი ლადო გურგენიძე ლონდონიდან თბილისში ჩამოვიდა და "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ბანკის გენერალური დირექტორის სავარძელი დაიკავა.*

ლადო გურგენიძე - 33 წლის, საინვესტიციო-საბანკო საქმიანობაში საკმაოდ სოლიდური- ათწლიანი გამოცდილება აქვს. მისი "ავტორობით" ევროპაში, აშშ-სა და აღმოსავლეთ ევროპის განვითარებად ბაზრებზე წარმატებით განხორციელებულია 25-ზე მეტი ტრანზაქცია. "საქართველოს ბანკის" გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე საფინანსო სექტორის მომსახურებაზე სპეციალიზირებულ წამყვან საინვესტიციო საბანკო ფირმა Putnam Lovell-ში მმართველ დირექტორად და ევროპის რეგიონალურ მენეჯერად მუშაობდა. იყო ერთ-ერთი უდიდესი ევროპული ბანკის ABN Amro-ს მმართველი დირექტორი. მსოფლიო მასშტაბის მრავალი გლობალური კომპანიის (მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის, საფინანსო ინფორმაციისა და საფინანსო კომუნიკაციების ისეთი წამყვანი ფირმების, როგორიცაა SWIFT, Radianz, Reuters და Telerate) კონსულტანტი. 1997-1998 წლებში ხელმძღვანელობს ABN Amro-ს კორპორატიული ფინანსების დეპარტამენტს რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში, ხოლო 1998-2000 წლებში, ლონდონში გადასვლის შემდეგ, ABN Amro-ს შერწყმებისა და გაერთიანებების დეპარტამენტს მთელს, აღმოსავლეთ ევროპაში. ამ პერიოდში ლადო გურგენიძის ხელმძღვანელობით ABN Amro-მ განახორციელა მრავალი გარიგება ისეთ კლიენტებთან როგორიცაა: Marconi, Global One, Golden Telecom, UPC, Wirtualna Polska, Merloni Elettrodomestici, SNAM, News Corp და Andrew Corporation. 2000 წლისთვის ლადო გურგენიძის და მისი გუნდის საქმიანობის შედეგად ABN Amro-მ ლიდერის პოზიცია მოიპოვა რუსეთის ბაზარზე.

რა მიზნებისა და იდეების განხორციელებას გეგმავს "საქართველოს ბანკის" ახალი გენერალური დირექტორი. გახდება თუ არა "საქართველოს ბანკი" ქართული საბანკო სექტორის ლიდერი და რა სახის დახმარებისათვის შეუძლია რიგით მოქალაქეს მიმართოს "საქართველოს ბანკის" მომსახურებას. "24 საათის" შეკითხვებს ლადო გურგენიძე პასუხობს.

- ახალი მენეჯმენტის ძირითადი მიზანი გახლავთ ჩვენი გუნდის სწორი მუშაობით, ბანკის რეფორმირებით, მისი ზრდით, ბანკისადმი ინტერესის გაღვივებით, პირველ რიგში, უცხოელი ინვესტორების მხრიდან, უზრუნველვყოთ ის, რომ 2007 წელს, ან შესაძლებელია უფრო ადრე, ბანკის აქციონერებმა თავიანთი აქციების ლიკვიდურობის მაქსიმალურად რეალიზება მოახერხონ, თანაც, რაც შეიძლება მაღალ ფასად. ეს ძალიან ზოგადი რამ არის - ნებისმიერი სააქციო საზოგადოების მენეჯმენტის ერთადერთი და მთავარი ამოცანაა აქციის ფასზე ზრუნვა. ეს არის აქსიომა - აქციის ფასი უნდა იყოს მაღალი და იგი უნდა გახდეს რაც შეიძლება ლიკვიდური, რომ ხალხს თავისუფლად შეეძლოს აქციის ყიდვა და გაყიდვა.

**- "ჩვენი გუნდი". რომელ გუნდს გულისხმობთ - რომელიც დაგხვდათ, თუ რომელიც თქვენ მოიყვანეთ?**

- ვგულისხმობ გუნდს, რომელიც არის ამალგამა "საქართველოს ბანკის" ძალიან დიდი და ნიჭიერი კოლექტივისა, აგრეთვე "თბილუნივერსალბანკის" თანამშრომლების ბირთვი და ის რამოდენიმე ადამიანი, რომლის "იმპორტირება" მართლაც მოვახდინეთ.

**- რაც შეეხება " თბილუნივერსალბანკს" - პირველად ქართული საბანკო სექტორის არსებობის ისტორიაში მოხდა ორი წარმატებული ბანკის გაერთიანება -"თბილუნივერსალბანკი", რომელიც გავრცელებული შეფასებით საუკეთესო კადრებით იყო დაკომპლექტებული, "საქართველოს ბანკს" შეუერთდა. რა საჭირო იყო ეს და რა მოხდება შემდეგ?**

- ნებისმიერი გაერთიანება ძალიან მნიშვნელოვანია და "საქართველოს ბანკი" ამ პროცესს გააგრძელებს. შესაძლებელია მე ასეთი გარიგებების წარმოების გამოცდილება მქონდეს, მაგრამ ქართულ ბაზარზე ამ შემთხვევაში ისე არ იყო, როგორც მაგალითად ევროპულზე. "თბილუნივერსალბანკიდან" საქართველოში ბანკების გაერთიანების პროცესის დაწყება საუკეთესო იყო, რადგან თანხმდება ჩვენი კომპიუტერული სისტემები, თანაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი პატარა ბანკებში ნამდვილად მოისაზრება როგორც გამჭვირვალე, სუფთა, პროგრესულ და კარგი კადრებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია.

**- რის შეცვლას აპირებს "საქართველოს ბანკის" ახალი მმართველობა?**

- ბანკის სტრატეგია არის ცხადი და ჩვენ ამაზე ღიად ვსაუბრობთ. ბანკში მიმდინარეობს რეფორმები, მაქსიმალურად სწრაფად და აგრესიულად ვიზრდებით, როგორც ორგანულად, ისე სექტორის კონსოლიდაციაში მონაწილეობის მიღების ხარჯზე. ვადგენთ და ვაყალიბებთ ჩვენი პროდუქტების მაქსიმალურად დივერსიფიცირებულ სპექტრს, რაც უკვე ამ ეტაპზე და ისევ სხვა კომპანიების ყიდვის ხარჯზე, მოიცავს სადაზღვევო მომსახურების სრულყოფილ სერვისს, სალიზინგო მომსახურებას, საბროკერო და საინვესტიციო მომსახურებას, აქტივების მართვას და ა.შ. ასე რომ ჩვენს ინტერსებშია ნებისმიერი ფინანსური სერვისი.



„საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი ლადო გურგენიძე

**- სადაზღვევო კომპანია BCI, სალიზინგო კომპანია "საქართველოს სალიზინგო კომპანია", "თბილუნივერსალბანკი", კომპანია "ჯორჯიან ქარდი", საბროკერო კომპანია "Galt & Taggart" - ეს "საქართველოს ბანკის" სტრუქტურული ერთეულების ჯერჯერობით სრული ნუსხაა. კიდევ რითი შეივსება ბანკის შემადგენლობა და რისთვის კეთდება ეს ყველაფერი?**

- ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ ბანკი 2007 წლისათვის, ან შესაძლებელია უფრო ადრე, გახდეს გაყიდვადი. გაყიდვადობა ცალსახად გაყიდვას არ ნიშნავს, მაგრამ ნებისმიერ სააქციო საზოგადოებაში მართებულია საკითხის დაყენება - ადრე თუ გვიან შეიძლება მოხდეს ძირითადი მფლობელების გამოცვლა. მით უმეტეს, "საქართველოს ბანკის" შემთხვევაში, რადგან "საქართველოს ბანკი" ლისტინგში მოხვედრილი ერთადერთი კომპანიაა, აქვს ლიკვიდური აქცია, რითიც ძალიან ვამაყობთ. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო თვეების მანძილზე ლიკვიდურობის ძალიან მკვეთრი ზრდა მოხდა, რადგან კაპიტალიზაციის ის ზრდა, რომელსაც 2004 წლის ბოლოს მივაღწიეთ და რომელიც ახლაც გრძელდება, ეს არ არის მარტო ქაღალდზე დაფიქსირებული წარმატება. ეს ნიშნავს, რომ "საქართველოს ბანკის" აქციონერს შეუძლია აქციის როგორც ყიდვა, ისე თავისუფლად გაყიდვა. გასულ წელს ბანკმა 21 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების აქციებით ივაჭრა, რაც ფენომენალური შედეგი გახლავთ, მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი აქციის კურსის ზრდის ფონზე მოხდა - გასული წლის დასაწყისში ბანკის აქციის ფასი 2 ლარი იყო, წლის ბოლოსათვის კი 5,60 ლარს მიაღწია. გავიმეორებ, რომ ყოველივე ეს არ მოხდა მხოლოდ ქაღალდზე, აქციები ხალხმა რეალურად გაყიდა და იყიდა. ეს არის ჩვენი მთავარი მონაპოვარი.

ბანკში გრძელდება რეფორმები და მსგავსი პროცესებიც ბუნებრივად გაგრძელდება. ბანკი უნდა იყოს გაყიდვადი ანუ სუფთა, გამჭვირვალე თანამედროვე სისტემებზე აწყობილი და საკმარისად დიდი ზომის, რომ რიგ ევროპულ ან თუნდაც თურქულ, რუსულ, უკრაინულ თუ სხვა ქვეყნების ბანკებს ჰქონდეთ ამ ბანკის შეძენის ინტერესი და საშუალება. რის შედეგადაც (თუ ეს ასე მოხდა) საქართველოს საბანკო სექტორი ერთი მხრივ მიიღებს ახალ, სტაბილურ, "უცხოურ მოთამაშეს" ამ ბაზარზე, რომელიც თავისი მასშტაბებიდან და სტაბილურობიდან გამომდინარე მკვეთრად გააუმჯობესებს მოსახლეობის მომსახურებას და აქედან გამომდინარე მოიგებენ აქციონერები, მოიგებენ კლიენტები და მოიგებს პერსონალი, რადგან ისინი გააგრძელებენ თავის მოღვაწეობას დიდი, სტაბილური, ტრანსნაციონალური ორგანიზაციის, ამ შემთხვევაში, ერთ-ერთ ქართულ ქვედანაყოფში. ყოველივე ეს შესაძლებელია ჩვენ მიერ განსაზღვრულ სამწლიან პერიოდზე უფრო ადრე მოხდეს.

**- რა სახის დახმარებისათვის შეუძლია რიგით მოქალაქეს მიმართოს "საქართველოს ბანკს"?**

- ზოგადად ბანკი და ამ შემთხვევაში "საქართველოს ბანკი", უნდა იყოს და არის კიდეც რიგითი მოქალაქის, რიგითი მაცხოვრებლის ყოველდღიური ცხოვრების ორგანული ნაწილი. ეს რამდენიმე ფაქტორს მოიცავს:

1. შემოთავაზებული უნდა გვქონდეს ისეთი პროდუქტები და ისეთი მომსახურება, რომელიც რეალურად საჭიროა მოსახლეობისათვის დღევანდელი არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.

2. უნდა შევძლოთ სერვისის ისეთი დონის მიღწევა, რომ ბანკთან, თუნდაც სადაზღვევო კომპანიასთან ან სალიზინგო კომპანიასთან ურთიერთობა არ უნდა აღიქმებოდეს მოსახლეობის მიერ როგორც რაღაც ექსტრაორდინარული, დისკომფორტული და ასე შემდეგ. ეს გულისხმობს სერვისის მოქნილ ფორმებს. მთავარი ინსტრუმენტია მოხდეს საჭირო ბანკომატების ქსელის ეფექტური მოხმარება. "საქართველოს ბანკის" ბანკომატების ქსელი ამჟამად ერთ-ერთი უდიდესია - გვაქვს 17 ბანკომატი, საიდანაც 15 თბილისშია განთავსებული. მაისის თვისთვის იგეგმება ყველა არსებული ბანკომატის გამოცვლა ბოლო გენერაციის თანამედროვე აპარატურით, ხოლო წლის ბოლომდე დაგეგმილია ქსელში 40 ბანკომატის ამუშავება, ანუ არსებული ქსელი, ფაქტობრივად, გაორმაგდება.

**- კიდევ რით შეუძლია "იტრაბახოს" "საქართველოს ბანკმა"?**

- ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი საუკეთესო და კონკურენტული ინტერნეტ-ბანკინგის პროდუქტი, რომელიც კიდევ უფრო გაუმჯობესდება. გვაქვს საკმაოდ საინტერესო მობილური ტელეფონით ბანკთან ურთიერთობის სერვისი - ეს არის მომსახურება რეალურ დროში და მოსახლეობასთან ურთიერთობის ერთ-ერთი ეფექტური ფორმა. განვითარების სტადიაშია ჩვენი რიგი პროდუქტების სპექტრი, რომელიც სულ უფრო იხვეწება და ფართოვდება. ერთი სიტყვით, მივდივართ იმ საერთო ნიშნულამდე, როდესაც ბანკი და მისი საფინანსო სერვისი რეალურად ყოველდღიური მოხმარების საგანი თუ ობიექტი ხდება. სხვათა შორის, როცა ბანკომატიდან ანაღდებთ თანხას, ესეც ბანკთან კონტაქტია. მოსახლეობასთან კონტაქტი ჩვენთვის ღირებულია, რადგან თუნდაც ბანკომატის ეკრანზე დაწერილი მესიჯის საშუალებით შეგვიძლია რაღაც ახალი გითხრათ, რაღაც ახალი გიკარნახოთ. მაგრამ... არის ერთი მაგრამ - იმისათვის, რომ ეს კონტაქტი ხშირი და რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი იყოს, საჭიროა, ჩვენმა სერვისმა კონკურენტულობა შეინარჩუროს, ანუ ბანკომატი იყოს რაც შეიძლება ბევრი, არ იჭედებოდეს ბარათი და ა.შ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეალობა - საქართველოში ყველა კომერციული ბანკი, მათ შორის "საქართველოს ბანკიც", ჩვენი ძირითადი კონკურენტიც, ვართ ძალიან მცირე ზომის და აქედან გამომდინარე, ობიექტურად, უბრალოდ, საჭირო და აუცილებელია თანხების ინვესტირება.

მიმდინარე წელს "საქართველოს ბანკს" დაგეგმილი აქვს 14 მილიონ ლარამდე ინვესტიციის განხორციელება ჩვენი ქსელის მოდერნიზაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების პლატფორმის მიდერნიზაციის მიზნით. 14 მილიონი ლარი საქართველოში ბევრი ბანკის მთლიანად კაპიტალს აღემატება. მე ვთვლი, რომ ეს თანხაც არ არის საკმარისი, მაგრამ ეს არის ის მაქსიმუმი, რაც მენეჯმენტმა და სამეთვალყურეო საბჭომ ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე შეგვიძლია გამოვყოთ. ეს აბსოლუტურად სწორი მიმართულებაა და ამას ალტერნატივა არა აქვს, სხვანაირად ჩვენ ვერ განვვითარდებით და ვერ მივცემთ კლიენტურას იმ პროდუქტებს, რომლებსაც ისინი 21-ე საუკუნეში იმსახურებენ.

**- როგორ შეაფასებდით საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკას?**

- უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა ძალიან სწორი, დინჯი, აუჩქარებელია მდგრადი განვითარების და სექტორის გაჯანსაღების კუთხით. ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ბანკის პოლიტიკის ავ კარგიანობა უნდა განისაზღვროს ძირითადი პარამეტრების - ვალუტის კურსის, ინფლაციის ქვეყანაში დონის, საბანკო სექტორის სტაბილურობისა და მდგრადობის შესაბამისად. მე ვთვლი, რომ ამ სამივე პარამეტრით საქართველოში ხუთიანზეა შესრულებული ამოცანა. ახლა უკვე დგება ის ეტაპი, უფრო ზუსტად კი დადგა ის ეტაპი, როდესაც სექტორის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია, თანაც საკმაოდ ხანმოკლე, შემჭიდროებულ ვადებში, ბანკების მკვეთრი კონსოლიდაცია. ზოგადად, ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, როგორც წესი, სამ-ოთხ ბანკზე მეტი არ არის ხოლმე. შედეგად კონკურენცია არის და არის ცხოველი, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ბანკები არის იმ ზომის, როდესაც მათ საშუალება აქვთ მართლაც თანამედროვე დონის სერვისი მისცენ მოსახლეობას. ეროვნული ბანკის პოლიტიკა ამ მხრივაც ძალიან ჯანსაღი და ლიბერალურია. ანუ ამ მხრივ პირადად ჩემი ხედვა სექტორის კონსოლიდაციის შესახებ ცალსახად თანხმდება საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგიას. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს ხედვა გაგრძელდება მარტის შემდეგაც. მიუხედავად იმისა, თუ ვინ მოვა ეროვნული ბანკის სათავეში.

**- ესე იგი, "საქართველოს ბანკის" ხელმძღვანელობისათვის პროგრამა მაქსიმუმია ბანკის გასაყიდად მომზადება. ან უფრო გასაგებად რომ ითქვას, ბანკი უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს ინვესტორებისათვის. "საქართველოს ბანკი" უნივერსალური ბანკი გახდება?**

- უნივერსალური ბანკი უნდა იყოს ზუსტად ისეთი, როგორსაც ჩვენ ვცდილობთ, ავაშენოთ. ასეთი ბანკი ემსახურება კორპორატიული კლიენტების მთელ სპექტრს - უმსხვილეს, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს, კორპორაციებს, უცხოურ ორგანიზაციებს და რიგით მოქალაქეებს.

დღეისათვის "საქართველოს ბანკი" ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ბანკად რჩება საცალო გაყიდვების სფეროში, ინვესტიციების მიმართულების, სადაზღვევო კუთხით, გააჩნია საზოგადოების ყველა სფეროსთვის შესაბამისი სერვისი, რაც უკვე უნივერსალური ბანკის დამახასიათებელი ნიშნებია.

**P.S.** ლადო გურგენიძე უცხოეთში ათწლიანი წარმატებული კარიერის შემდეგ საქართველოში ჯერჯერობით სამი წლით დაბრუნდა (ასეთი ვადაა დაფიქსირებული "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოსთან გაფორმებულ კონტრაქტში). საქართველოში ჩამოსვლის მიზანს კი თვითონ ლადო გურგენიძე ასე განმარტავს **"ლონდონი ჩემი იქ არყოფნით არ დაინგრევა და თბილისში კი ბევრის გაკეთებას შევძლებ".**



„ნებისმიერი სააქციო საზოგადოების მენეჯმენტის ერთადერთი და მთავარი ამოცანაა აქციის ფასზე ზრუნვა. ეს არის აქსიომა - აქციის ფასი უნდა იყოს მაღალი და იგი უნდა გახდეს რაც შეიძლება ლიკვიდური, რომ ხალხს თავისუფლად შეეძლოს აქციის ყიდვა და გაყიდვა".



„მიმდინარე წელს "საქართ-ველოს ბანკს" დაგეგმილი აქვს 14 მილიონ ლარამდე ინვესტიციის განხორციელ-ება ჩვენი ქსელის მოდერნიზა-ციის და ინფორმა-ციული ტექნოლოგი-ების პლატფორმის მოდერნი-ზაციის მიზნით".



"ჩვენს გუნდში" ვგულისხმობ გუნდს, რომელიც არის ამალგამა "საქართვე-ლოს ბანკის" ძალიან დიდი და ნიჭიერი კოლექტივისა, აგრეთვე "თბილუნივერს ალბანკის" თანამშრომ-ლების ბირთვი და ის რამოდენიმე ადამიანი, რომლის "იმპორტი-რება" მართლაც მოვახდინეთ".

## ნოველები



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

### ქიმიკოსი

ცოტა მერიდება კიდეც, მაგრამ სანამ სხვა დაწერს ან იტყვის, ჯობს ისევ მე ვთქვა - აბა ჩემზე უკეთ ვინ იცის, რატომ და როგორ იყო ეს ყველაფერი.

მოკლედ, ახლახან რომანი, მცირე რომანი დავამთავრე და პრეზენტაციაც მინდა მოვუწყო. ამაზე კარგ ადგილს სად ვიშოვი!

ცხადია, თვითონ რომანს თავისთავად აქვს ფასი, მაგრამ მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს მისი შექმნის ისტორია.

ყველა მწერალმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, გამოცდილმა მკითხველმაც იცის, რომ ჯერ ჟანრი უნდა შეარჩიო. ეგრეთ წოდებულმა ტრადიციულმა რომანმა კარგა ხანია ჩვენი ჭირი წაიღო და თავისი გმირებიც - ყველა ეს ჟულიენები, ფაბრიციოები და რომეოებიც თან გაიყოლა. სათავგადასავლოზეც მაშინვე ვთქვი უარი - მუშკეტერებისა და რობინზონ კრუზოების დროც წარსულს ჩაბარდა. ახლა ფანტასტიკას სულ უფრო ხშირად მიმართავენ ჩემი კოლეგები, მაგრამ, დამეთანხმებით, საამისოდ რაღაც განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. კაცმა პარიზიდან გაუსვლელად - ჟიულ ვერნზე მოგახსენებთ - "საიდუმლო კუნძული" გამოაცხო. ამ თავის ხალხს იქ იმდენი და ისეთები აკეთებინა... მე ამდენი ჩალიჩის თავი ნამდვილად არა მაქვს. ისე, ალალად თუ ვიტყვი, ვერც ბრედბერისა და შეკლის შეჯეთამაშები. ფენტეზიც კი განზე გადავდე - ამდენი და ამდენნაირი ცოცხალი, თანაც, მოაზროვნე არსების გამომგონებელი მე არ ვარ. ასე რომ, ვერც "ბეჭდების მბრძანებლისა" და ვერც "ჭეშმარიტების მახვილის" კვალს ვერ გავყვებოდი - დრაკონებთან და ციცინათელებთან დიალოგი კიდეც დაანახო და კიდეც მოასმენინო კაცს, ესე იგი, ნამდვილად მოაჩვენო მკითხველს, იოლი საქმე არ არის. რაღა დამრჩა? დეტექტივი. არა, ძმაო, ამას ლოგიკა უნდა, რაღაცები უნდა დახლართო, მერე გახსნა, თანაც, ისეთებმა გამოიყენეს... მარტო "დანაშაული და სასჯელი" ან "მეფის მთელი მხედრიონი" რად ღირს!

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მისტიკას მივადექი. არ ვიცი, ითვლება თუ არა ჟანრად, მაგრამ პლანეტის უჭკვიანეს ქალად შერაცხული მწერლის - რატომღაც "ჟორჟს" რომ ეძახდა საკუთარ თავს - საკმაოდ უნიჭო რომანი წავიკითხე და მაშინვე მივხვდი, რომ ეს ნიშა ცარიელი იყო.

დედამიწაზე მცხოვრები ექვსი მილიარდი ადამიანისთვის ოქროზე უფრო სასურველი რამ არ არსებობს. წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც ამას უბრალო ოპერაციის წყალობით გააკეთებს. მაგალითად, სპილენძისგან ან ტყვიისგან მიიღებს ამ ძვირფას ლითონს. ეს მხოლოდ ქიმიკოსს ხელეწიფება. ასე გაჩნდა მცირე რომანის სათაური. გმირი, ცხადია, ახალგაზრდა და წიგნის დასაწყისში მაინც ღარიბი უნდა ყოფილიყო. რატომღაც მეცხვარე ბიჭი ამეკვიატა.

ყველაფერ ამას რომ მოვრჩი, ესე იგი, ჟანრიც შევარჩიე და გმირის ასაკი და პროფესიაც, საუჟეტურ ხაზზე დავიწყე ფიქრი.

[illegible]

# ნუ დააშორებთ ეროვნულ ძირებს

## ხალხური ცეკვა და დღევანდელობა

სოფო კილასონია

პირველი, რასაც მაშინ ვასახელებთ, როცა პატრიოტული ემოცია-ამბიციები შემოგვიტევს, რითიც თავს ვიწონებთ უცხოელების წინაშე, რასაც ყველაზე მეტად აფასებენ ჩვენში - ფოლკლორი, ქართული ხალხური ცეკვა და სიმღერაა. დღეს მათგან მხოლოდ პირველზე შევჩერდებით, თუმცა ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ ისტორიის მთხრობელის მანტია ავირჩიე, ანდა რომელიმე ხალხური ცეკვის ანსამბლის კრიტიკა, რეცენზირება გადავწყვიტე. არა, მსგავსი, ყველასათვის ცნობილი და უკვე ხშირად დაწერილი საკითხებით მკითხველს თავს არ მოვაბეზრებ, თუმცა ქართული ქორეოგრაფიის რამდენიმე პრობლემაზე მაინც შევჩერდები. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ თემაზე დაწერა გადავწყვიტე. ეს სურვილი არა რომელიმე ანსამბლის კოცერტზე დასწრების, არა რომელიმე ახალი დადგმისა თუ მოცეკვავე-შემსრულებლის ხილვის შემდგომ გამიჩნდა, არამედ ერთმა, "საბჭოთა ხელოვნებაში", 1967 წელს დაწერილმა წერილმა შთამაგონა. წერილმა, რომელშიც ავტორი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და ხელოვნების სხვადასხვა საკითხების მკვლევარი გრიგოლ ხერხეულიძე, ქართული ხალხური ცეკვის არა მხოლოდ ისტორიასა და ღირებულებაზე, არამედ მის ძირითად ნიშან-თვისებებზე, მის ბუნება-ხასიათზე წერს. თუმცა, ეს როდია მთავარი, ავტორს საკმაოდ კრიტიკული და მნიშვნელოვანი შენიშვნები მოჰყავს და კიდეც რიგიანად ასაბუთებს მაშინდელ ქორეოგრაფიაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში, და რაც ყველაზე მთავარია, თითოეული სტატიაში განხილული თითოეულ დეტალი, ავტორის ყოველი შენიშვნა, პირდაპირ ეხმიანება დღევანდელობას და ვფიქრობ, დღეისთვისაც მეტად აქტუალურია. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ფოლკლორული ხელოვნება ხომ ის ფენომენია, რომლის "წესები", ხასიათი, უნიკალურობა უხსოვარი დროიდან მოდის და ფესვები მყარად აქვს გადგმული. სათანადოდ მისი შეფასების კრიტერიუმებიც ხანგრძლივ დროსა და სიცოცხლეზეა გათვლილი.

მაშ, რა გვაქვს სადარდებელი - ის რაც საუკუნეებს მოუტანია, მის წაშლას ვერავინ შეძლებს; ის, რითიც ვამაყობთ, სათუთად გვაქვს შენახული, კარგად ვიცით და ვაფასებთ, მაგრამ ვაფასებთ კი? ზუსტად ვიცით, რაშია მისი უნიკალურობა, თუ ჩვენი ტრაბახი სიტყვებად რჩება და მისი ისტორია წარსულად? თუ ასეა, მაინც რაში გამოიხატება ეს? მიპასუხებენ: ქართული ცეკვის პოპულარობაში, მას ხომ ახალგაზრდებიც სიამოვნებით ცეკვავენ, ამ ბოლო დროს დისკო საღამოებზეც კი, ამდენი ანსამბლი არსებობს, ამდენი მასწავლებელი, წრე, მათი სახელი მთელმა ევროპამ გაიცნო, მისით ვეგებებით ახალ წელს (თუ წლევანდელ წელს არ ჩავთვლით), მისით ვზეიმობთ, და ეს ყველაფერი მართალი იქნება, თუმცა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. საუბარი ქართულ ფოლკლორულ ცეკვაზე, ხალხური ტრადიციების წარმოჩენაზე გვაქვს და არა ქართული ცეკვის სტილიზირებულ დადგმებზე, ზედაპირულ ხალხურობაზე, ეფექტებსა და ტრიუკებზე. ამაშია განსხვავება. დიდი ხანია, ერთმანეთში აგვერია ის, რაც გამოჩენილმა ქორეოგრაფებმა შექმნეს, ის, რაც სტანდარტად იქცა და ის, რასაც ქართული ხალხური ცეკვა სინამდვილეში წარმოადგენს. ვერსია, შეფუთვა, რაც თავის დროზე სუხიშვილების ანსამბლმა შესთავაზა და რითიც მოხიბლა ქართველი თუ უცხოელი მაყურებელი, მართალია, არაჩვეულებრივია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათი დადგმები არა მათი ანსამბლისთვის დამახასიათებელ სახედ, არამედ ზოგადად ქართული ხალხური ცეკვის სახედ, ერთადერთ გზად და სტერეოტიპულ ქორეოგრაფიულ ფორმად იქცა. სხვა ანსამბლებისა და კოლექტივების დადგმებისა თუ მონახაზების ერთგვარი გადათამაშება საერთო ამინდს ვერ ცვლის. თუმცა შორს რომ არ წავიდე, უმჯობესია გროგოლ ხერხეულიძის სტატიას მივენდოთ, იგი ჩემზე უკეთ ჩამოაყალიბებს იმ ძირითად პრობლემებსა და საკითხებს, რომელთა გაუთვალისწინებლობითაც, შესაძლოა, ქართულმა ქორეოგრაფიულმა ხელოვნებამ ის დაკარგოს, რაც ყველაზე ძვირფასი გააჩნია: ინდივიდუალობა და მხოლოდ ეფექტურ, სანახაობრივ, ეგზოტიკურ, მაგრამ სხვათა მსგავს, არაფრით გამორჩეულ "ბალეტს" (ფართო გაგებით) დაემსგავსოს.

**"ქართული ხალხური ცეკვა ეროვნული კულტურის ისეთივე მშვენება და მონაპოვარია, როგორც სიმღერა, მხატვრული სიტყვა, ხუროთმოძღვრება და ფერწერა. ცეკვა ჩვენი სულიერი ცხოვრების ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორიც მუსიკა და პოეზია. ამის მეტყველი დადასტურებაა დღემდე მოღწეული საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მრავალფეროვანი სარიტუალო ცეკვა-თამაშობანი, ციხე-ტაძრების ფრესკული მოხატულობა თუ ორნამენტული გამოსახულება."** ამ სიტყვებით იწყება სტატია, რომელიც გახდა ჩვენი წერილის მიზეზი. იგი თითქოს ჩვენთვის კარგად ცნობილი, უკვე ბანალურად ქცეული აზრით იწყება. ჩვენ ხომ ყოველ წამს ვიმეორებთ რა უნიკალურია ჩვენი ფოლკლორი, ჩვენი ხალხური ცეკვა, რისი მომცემია ამის შესახებ კიდევ წერა და საუბარი? თუმცა, ერთია, თქვა და დაიტრაბახო და სულ სხვაა, ამას სინამდვილეში იაზრებდე, მის შენარჩუნებაზე ზრუნავდე, სწორედ მისგან გამომდინარე სიახლეებით ამდიდრებდე თანამედროვე დადგმებსა და ცეკვებს. სწორედ ფოლკლორზე გვაქვს საუბარი, ხალხურ ცეკვაზე, რომელიც უკვე დიდიხანია, დაშორდა იმას, რასაც ქართულ ცეკვას ვეძახით, იმას რაც სცენაზე გამოგვაქვს.

პირველი, რასაც, მეცნიერი ჯერ კიდევ 1967 წლის რეცენზიაში შეეხო ისაა, რომ ცეკვა ერის ნიშან-თვისებებს უნდა ატარებდეს, მისი ხასიათიბუნება ხალხის სულიერებიდან უნდა მოდიოდეს და არა მასთან წინააღმდეგობიდან: **"უნდა გვახსოვდეს, რომ ამა თუ იმ ცეკვაში თვალნათლივ ვლინდება ხალხის ყოფა ცხოვრების ნიშან-თვისებები, შინაგანი ბუნება, სულიერი და ფიზიკური სილამაზე, ტემპერამენტი. ეს საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. მართლაც ქართველი ადამიანის კეთილშობილება, რაინდული სულისკვეთება და მშვენიერების შეგრძნება დიდი ემოციური ძალით მჟღავნდება ისეთ ქორეოგრაფიულ ქმნილებებში, როგორიცაა "ქართული", "ხორუმი", "დავლური", "სამაია", "ცერული", მრავალგვარი "ფერხული", "მთიულური" და სხვა. ყველა აქ ჩამოთვლილი ცეკვა ქართული ხალხის პლასტიკურ გამომსახველობითი გენიის მკაფიო გამოხატულებაა."**

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში დადებითადაა შეფასებული მაშინდელი, ორი ქორეოგრაფიული კოლექტივის - ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და ჯანო ბაგრატიონის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ავტორი საკმაოდ მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორზე აკეთებს შენიშვნას. ჯერ კიდევ ამ ანსამბლების მოღვაწეობის დასაწყისშივე ყოფილა შესამჩნევი უცხო ტენდენციების მომრავლება, რასაც უცხოელი მაყურებლის ფაქტორის გათვალისწინებით ხსნიდნენ და რაც ყველაზე პრობლემატურად მეჩვენება, ჩვენი სხვადასხვა კუთხის ცეკვების გაერთფეროვნება, მათი აღრევაა: **"პირველყოვლისა უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანს შეიმჩნევა ჩვენს ცეკვებში უცხო ტენდენციების, მათთვის შეუფერებელი ელემენტების, ილეთებისა თუ მოძრაობების მოძალება და შემოჭრა, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. მხედველობაში მაქვს გაუთავებელი წრეგადასული ცერი, მუხლი, ტემპი და ყიჟინი, რაც სცენაზე ორომტრიალს იწვევს და რაც არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი ჩვენი ცეკვებისთვის...ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ საზღვარგარეთის სცენებზე თუ ცოტაოდენი გამონაკლისი არ დავუშვით და სხვადასხვაგვარ ეფექტურ ხერხებს არ მივმართეთ, ჩვენი ანსამბლის კონცერტებს ისეთი დიდი რეზონანსი არ ექნებაო. ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებთ. ქართული ცეკვა იმდენად ნატიფი, ლამაზი, ვაჟკაცური და მდიდარია მოძრაობებით, რომ მას არ ესაჭიროება სხვა ელემენტებით "გამაგრება", იგი ისედაც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს უცხოელ მაყურებელზე.**



**გარდა ამისა, საკითხავია, თუ ჩვენს ცეკვას მისთვის შეუფერებელ და უცხო ილეთებს შევურევთ, მაშინ საზღვარგარეთელმა ხელოვნებათმცოდნემ, თუ რიგითმა მაყურებელმა როგორღა აღიქვას და დაადგინოს მისი ესოდენ ორიგინალური ბუნება, როგორღა გამოარჩიოს იგი სხვა ხალხთა ცეკვებში? ეს მომენტი დიდ ყურადღებასა და ანგარიშის გაწევას, სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს",** - დიახ სერიოზულ დაფიქრებას, მით უფრო მაშინ როცა არათუ ცეკვას, ჩვენს არქიტექტურულ ნიმუშებსა და მონუმენტურ ფერწერულ ნაწარმოებებსაც კი გვედავებიან, - **"რაც დრო გადის, უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება ტენდენცია ჩვენი ცეკვების გაერთგვაროვნებისკენ. იმდენად ჭარბად გამოიყენება ერთი ცეკვის მოძრობები მეორეში, რომ ისინი ძნელი გასარჩევი ხდება ერთმანეთისგან. ეს უპირატესად მთიანეთის ცეკვებზე ითქმის. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ თითქმის ვეღარ ვანსხვავებთ, მაგალითად, ხევსურულს თუშურისგან, მოხევურს ოსურისგან, აფხაზურს მთიულურისგან...საჭიროა, მტკიცედ დავიცვათ ყოველი კუთხის ცეკვის ორიგინალობა, მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ველარ ვილაპარაკებთ ჩვენი საცეკვაო ხელოვნების სიმდიდრესა და მრავალსახეობაზე."**

გრიგოლ ხერხეულიძე კიდევ მრავალ საკითხს ეხება, მაგალითად, სოლისტებსა და მათ მნიშვნელობას საერთო საქმეში. ამ მხრივ ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ იმ პერიოდისაგან განსხვავებით, როცა სტატია დაიწერა, დღეს ანსამბლებს გამოკვეთილი ინდივიდები, მოცეკვავეთა სახით, არ ჰყავთ, რაც შეიძლება ითქვას, აუფერულებს და ერთფეროვნებას ანიჭებს ანსამბლების საერთო საშემსრულებლო სახეობრიობას. ყველა ცეკვაში ერთნაირი ხასიათი და შესრულების მანერა მეტად თვალშისაცემია. სწორედ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: **"სხვადასხვა ცეკვას რომ სხვადასხვაგვარი შესრულება სჭირდება, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, ინდივიდუალობა და ორიგინალობა უნდა იგრძნობოდეს თვით ერთსა და იმავე ცეკვის შესრულებისას სხვადასხვა სოლისტის მიერ. უფრო მეტიც: ერთი და იგივე ცეკვა შეიძლება მოცეკვავემ სხვადასხვანაირად იცეკვოს. ეს ყოველივე დამოკიდებულია შემსრულებლის შემოქმედებით შესაძლებლობებსა და მხატვრულ ფანტაზიაზე."**

ის, რომ უნიკალურია ქართული ცეკვა, გასაგებია, მაგრამ მერე რა ხდება? რატომ იჩინა თავი მისდამი საკმაოდ ზერელე დამოკიდებულებამ? თუ ყველაფერი ვიცით და გვესმის, რატომ მოხდა რამდენიმე ხნის წინ ის, რომ ქართველი ქორეოგრაფიის დიდი თუ პატარა წარმომადგენელი იმ საკონცერტო ნომრებით მოიხიბლა, რასაც პირადად ჩემთვის და, იმედი მაქვს, სხათათვისაც, არანაირი შემოქმედებითი და სულიერი ღირებულება არ ჰქონია. რატომ მოხდა, რომ დიდი ქორეოგრაფიული ტრადიციების ხალხს თვალები გაგვიფართოვდა, როცა ეკრანებზე დავინახეთ ერთი "ხელებდაბმული" ქალი, რომელიც ელვის სისწრაფით შემოიჭროლებდა სცენაზე და გაზუთხულ და უხეშ ფეხის მოძრაობებს ასრულებდა. მისი ხტომიალი უსასრულოდ გრძელდებოდა, სანამ უეცრად ათი და ოცი ადამიანი არ გამოვარდებოდა ზუსტად ისეთები, როგორიც პირველი იყო და ყველაფერი ხელახლა იწყებოდა. გამაოგნებელი სისწრაფე, ვირტუოზულობა, და ამავდროულად დამქანცველი გაშეშებულობა, უემოციო სახეები, ერთი და იგივე მოტივები იყო ის, რამაც უნიკალური ქორეოგრაფიული ფოლკლორის მქონე ერი გაგვაოგნა, და ფეხების ბაკუნი დაგვაწყებინა. ნამდვილად არ ვიცი, რამდენად ემთხვეოდა რივერდანსის რეპერტუარი ირლანდიური ცეკვის ხასიათს, სულ სხვა საქმეა მოძრაობებს თუ იმეორებდა, მაგრამ ჩვენ მისით ისე აღვფრთოვანდით, რომ მისნაირად გაარანჟირებულმა მუსიკამ, მასიურმა დადგმებმა, რიტმმა და უაზროდ აღტაცებულმა სახეებმა დიდი ხნით გაიდგა ფესვები "მომავლის ქართულ საცეკვაო ხელოვნებაში". თუ მაინცდამაინც მაგალითი გვჭირდება, რატომ არ მივაპყრობთ ყურადღებას ესპანური "ფლამინგოსკენ", როგორ შეისწავლიან, როგორ უფრთხილდებიან მას...

დღეს ბევრს საუბრობენ, მაგალითად, იმაზე, მოსწონთ თუ არა სუხიშვილების ახალი პროგრამა, რომელი უფრო ურჩევნიათ, "ერისიონი", "სუხიშვილები" თუ "რუსთავი". თითქოს პრობლემა დგას და თუ პრობლემა არის, უნდა ვიფიქროთ, რომ მსჯელობენ, ფიქრობენ ზრუნავენ. ყველგან გაიგებთ საჭირბოროტო და მეტად აქტუალურ კითხვას: "დასაშვებია ის, რასაც ქართულ ცეკვას ილუშკა უკეთებს?" და ამ კითხვით ვხვდებით, რომ ეს პოლემიკა საფუძველშივე მცდარია, სულ უბრალო მიზეზის გამო: უნდა ყველას გვესმოდეს, რომ ჭეშმარიტი ხელოვანისთვის დასაშვები და აკრძალული არ არსებობს. მათთვის უმთავრესი ხომ თავისუფალი შემოქმედებითი ნება უნდა იყოს და არა საზოგადოების მითითებები, თუ როგორ იმოქმედოს. მით უფრო იმ საზოგადოებისა, რომელსაც თავად ვერ გაგვირკვევია, რა გვსურს, რისი დაკარგვისა გვეშინია, იმისა, რაც ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა შექმნეს, თუ ქართული ფოლკლორული ცეკვის სცენიდან სრული გაქრობისა? თუ ოდნავ მაინც დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ეს აბსოლუტურად სხვადასხვა რამაა. სუხიშვილების ანსამბლისთვის ნოვაციები ახალი არაა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მათ "ნაციონალური ბალეტი" დაირქვეს და ეს სახელწოდება მათ ფართოდ "უხსნის ფრთებს". მეორე საკითხია, მოგვწონს თუ არა ეს ნოვაცია სუფთა ქორეოგრაფიული თვალსაზრისით... ეს საკითხი სხვა სტატიას უფრო მოუხდებოდა, რადგანაც თუ გრიგოლ ხერხეულიძის სტატიას და სხვა მრავალ ლიტერატურას გადავიკითხავთ, არა მხოლოდ ქართულ ხალხურ ცეკვაზე, არამედ ზოგადად ეროვნული ხელოვნების, ფოლკლორის რაობის შესახებ, დამეთანხმებით, ნოვაცია ბევრნაირი შეიძლება იყოს, ამოსული ტრადიციიდან (რაც მხოლოდ მოძრაობების გადმოღებაში არ მდგომარეობს), და მეორე, სიახლე, რომელიც სხვა კულტურიდან უფრო სესხულობს, ვიდრე საკუთარს ავითარებს. აქედან გამომდინარე ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასადგენი და რაც ყველაზე მთავარია, თავად ქორეოგრაფებმა, მაყურებელმა და მით უფრო შემფასებელმა ყველაფერს საკუთარი სახელი უნდა დავარქვათ. გავარკვიოთ, სად ვეძიოთ ფოლკლორული ტრადიციების დაცვა და განვითარება და სად ეროვნულ მოტივებზე შექმნილი სტილიზირებული ცეკვა-ბალეტი.

ანსამბლები, რომლებიც ქართული ცეკვის მედროშეებად შეიძლება წარმოვიდგინოთ, მრავალი გასაგები მიზეზის გამო, საკუთარ რეპერტუარსა და დადგმების იერ-სახეს საგასტროლო პოლიტიკისა და უცხოელი მაყურებლის ეფექტებით მოხიბვლაზე ქმნიან, თუმცა დამეთანხმეთ, რომ ევროპულ საზოგადოებას ყველაზე იოლად ქართული ცეკვის ხასიათით, თავისთავად არსებული ქორეოგრაფიული ფორმით, ცოცხალი საკრავების ხმოვანებით, ემოციური, დახვეწილი და ნატიფი შესრულებით უფრო მოვხიბლავთ, ვიდრე ტრიუკებით, მასიური სინქრონული, სწრაფი მოძრაობების მთელი ნაკადით, რაც, სხვათა შორის, ევროპულმა ქორეოგრაფიამ დიდი ხნის წინ გამოიარა. თავად კლასიკური თუ ავანგარდული ევროპული და ამერიკული ქორეოგრაფია რაც შეიძლება მეტი სისადავისა და სიმარტივისკენ არის მიმართული და მისთვის წამყვანი არა თავბრუდამხვევი მოძრაობებია, არამედ მუსიკის ღრმა შეგრძნება, სიუჟეტი-იდეა, ასოციაცია, განცდა.

ერთიც უნდა ითქვას. მჯერა, ნოვაცია და სიახლე მაშინ იქნება ცოცხალი, ბუნებრივი და მართლა საინტერესო, როცა იგი ფოლკლორიდან, მისი სიღრმიდან მოდის. ფოლკლორი ხომ ყველაზე ცოცხალ, თავისუფალ და მდიდრულ ფორმებს გვთავაზობს. ყველა ზემოთქმულ შენიშვნას ერთ მშვენიერ პასუხს მოუძებნის ოდნავ გათვითცნობიერებული მკითხველი, - სცენა თავისას მოითხოვს, მაყურებლის წინაშე "შიშველი ფოლკლორი" ვერ შექმნის სანახაობას. - ამას არც არავინ ითხოვს, თუმცა არც მისი სრული უგულებელყოფაა მისაღები. ნიჭიერმა და მოაზროვნე ხელოვანმა სცენისა და ფოლკლორის თანხვედრა უნდა მოახერხოს, ხალხური დადგმა ერთდროულად სანახაობრივი და ინფორმაციული უნდა იყოს. ამაშია მისი მთავარი ხიბლი.

იქნებ შესაძლებელი იყოს, სწორედ ქართულ ფოკლკლორში მოიძებნოს ის, რაც თანამედროვეობას, ახალ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას დააკმაყოფილებს და განავითარებს. ამ წერილს, რომელიც თემის სირთულიდან გამომდინარე, მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს მიმოიხილავს, კვლავ ბატონი გრიგოლ ხერხეულიძის სიტყვებით დავასრულებ: **"ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, წმინდად დავიცვათ ქართული ხალხური შემოქმედების ძვირფასი ტრადიციები, განვავითაროთ და სრულვყოთ მისი სცენური წარმოსახვის ფორმები, არ დავაშოროთ იგი ეროვნულ ძირებს. ამით ჩვენი საცეკვაო ხელოვნება მსოფლიო ქორეოგრაფიაში ღირსეულ ადგილს შეინარჩუნებს."**

# ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია

თეონა ჭაფარიძე

პირველი, რაც თვალში მეცა, მატარებელი, უფრო კონკრეტულად კი სიძველისაგან გაყვითლებული პლაკატი გახლდათ: გრაფიკულად გამოსახული მატარებლის ლოკომოტივის საჭეს სტალინი უზის, მატარებელს კი ლენინის, მარქსისა და ენგელსის პორტეტები ამშვენებს მოწოდებით: - "სოციალიზმის სადგურიდან წინ, კომუნიზმის სადგურისაკენ!"

ხელოვნებათმცოდნე ნინო ჭანიშვილის კოლექციაში დიდი ბელადის პორტრეტების უამრავ ფერწერულ ვერსიას შეხვდებთ. კოლექციონერმა ისინი პირდაპირ ოჯახებიდან, პრიმიტიულად მოვარაყებული ჩარჩოებიანად შეიძინა. პორტრეტების გავრცელების არეალი მთელ საქართველოზე მოდის, დაწყებული გორიდან, დამთავრებული გუდამაყრის ხეობით. ჩარჩოების სიჭრელე ბელადისადმი სიყვარულის გამოხატულების პირდაპირპროპორციულად მატულობს. პოლიტიკაში ასეთ საერთო-სახალხო სიყვარულს მძლავრი, მაგრამ პრიმიტიული იდეოლოგია იწვევს, ხელოვნებაში კი ეს პერიოდი სოცრეალიზმის სახელით შევიდა.

"უკან სსრკ"-ში - ასე უწოდა გამოფენას ხელოვნებათმცოდნემ, რომელიც 25 თებერვალს გალერეა TMS-ში გაიხსნება. საკუთარი კოლექციის გარდა ნინო ჭანიშვილი მუზეუმების საარქივო მასალასაც გამოფენს. ის ამ გამოფენაზე, დამოუკიდებელი კურატორის რანგში წარდგება. "გამოფენაზე თითქმის ერთი წელი ვმუშაობდი, გაბნეულ ექსპონატებს ვაგროვებდი. ამ ეპოქის წინაშე ევროპამ თავისებურად მოიხადა ვალი: - ვარშავაში კომუნიზმის მუზეუმი გახსნეს, პრაღაში საკმაოდ პაროდიული მუზეუმი გააკეთეს, მართალია, იქ რუსების მეტი არავინ დადის, მაგრამ მაინც. ჩვენთან კი წარმოუდგენელ ვანდალიზმს გადავაწყდი, უამრავი ძეგლი განადგურდა: გაანადგურეს ქანდაკებები იმელის შენობაზე (იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრები), გუდიაშვილისა და მაღალაშვილის ნამუშევრები. რუსები უფრო ჭკვიანურად მოიქცნენ და 80-იანი წლების ბოლოს, როცა საზღვრები გაიხსნა სოც-რეალიზმის ნარჩენები ბრიტანელ და ამერიკელ კოლექციონერებს მიჰყიდეს, თუმცა როცა მხატვართა კავშირის იუბილე გადაიხადეს, აღმოჩნდა, რომ გამოსაფენი უკვე აღარაფერი დარჩენოდათ." - ამბობს ნინო.



*გამოფენის ორგანიზატორი წარსულს "მისტირის".*

საქართველოში კი გამოსაფენი ჯერ კიდევ არის: ქართველებს უყვართ ბელადები და მათი პორტრეტები უფრო საკულტო დანიშნულებას ასრულებენ, ვიდრე არტბაზრის მოთხოვნებს. ეზოებში ქანდაკებებს და ოჯახებში ფოტოებს დღესაც ბევრგან შეხვდებით. მშრალ ხიდზე კი ძველ ფირფიტებს თითო ლარადაც იშოვის წინდახედული კოლექციონერი. მაგალითად, "სიმღერას ძაფსახვევ ფაბრიკაზე" ან "სიმღერას მანქანა-ტრაქტორთა სადგურზე" სხვადასხვა თვითმომქმედი კოლექტივების შესრულებით.

25 თებერვლის გამოფენას ფონად სწორედ ასეთი მუსიკა გაჰყვება, რომელსაც შიგადაშიგ დიდი ბელადის სიტყვა და ხანგრძლივი ტაში ჩაენაცვლება. გამოფენა მხოლოდ სამ დღეს გასტანს.

# საქართველოს სატელევიზიო ფილმების მცირე ისტორია

## როგორ შევხვდი პირველად და უკანასკნელად საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას

*უპირველეს ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ყველაფერი, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, რეალური ფაქტებია, რომელთა გადამოწმება ყველას შეუძლია - არაფერი არ არის სუბიექტური და გადაჭარბებული.*

"საქართველოს ტელეფილმების" სტუდია 1968 წელს დაარსდა - სწორედ ამ სტატუსით. ცხადია, იგი ცარიელ ადგილზე არ შექმნილა - იყო გარკვეული ცდები ენთუზიასტებისა, რომელთაც კინოს სიყვარული აერთიანებდა. პირველი დირექტორი ქ-ნი ივლიტა მესხიშვილი იყო, სამხატვრო ხელმძღვანელი - ბ-ნი რევაზ ჩხეიძე. დაიწყო მომავალზე გათვლილი, გეგმაზომიერი მუშაობა და შედეგმაც არ დააგვიანა.

1970 წელს მოსკოვის კინოსახლში ქართული მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმები აჩვენეს. პრესა, რადიო, ტელევიზია - ყველა "გრუზინსკი ტელემეტრაჟკებზე" ალაპარაკდა. ეს იყო ქართული კინოხელოვნების დიდი გამარჯვება, ნამდვილი ტრიუმფი. ყველგან ლიანა ელიავას "ბზიანეთზე", ქართლოს ხოტივარის "სერენადაზე", ირაკლი კვირიკაძის "ქვევრზე", ბიძინა რაჭველიშვილის "ხაბაზებზე" და გელა კანდელაკისა და ლერი სიხარულიძის ფილმზე "ფეხბურთი უბურთოდ" ლაპარაკობდნენ... გამოჩნდნენ ისეთებიც, კულისებში რომ უყვართ ლაპარაკი: "კარატკამეტრაჟკებში" მაგრები არიან, მაგრამ სრულმეტრაჟიანებში გამოჩნდება, რა შეუძლიათო"...

1979 წელს, თბილისის კინოსახლში ჩვენი სტუდია (ამჯერად, შემოქმედებითი გაერთიანება "საქტელეფილმის" სტატუსით) მაყურებლის წინაშე წარდგა ახალი ნამუშევრებით, რომელთაგან რეჟისორ სოსო ჩხაიძის სამ სერიანი ფილმი "თუში მეცხვარე" ქართული კინოხელოვნების მორიგი ტრიუმფის მიზეზი გახდა.

"ის, რაც მე ვნახე, ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება, მაგრამ მეცხვარეთა თამაშმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დარწმუნებული ვარ, ისინი შექსპირის გმირების შესრულებასაც შეძლებენ" - თქვა ცნობილმა კინორეჟისორმა სერგეი გერასიმოვმა, რომელიც წლების მანძილზე მხოლოდ პროფესიონალ მსახიობებთან მუშაობდა.

ფილმისთვის "თუში მეცხვარე" სოსო ჩხაიძეს და ოპერატორ ირაკლი ონოფრიშვილს რუსთაველის პრემია მიენიჭათ. მანამდე რუსთაველის პრემიით აღინიშნა გურამ პატარაიას ფილმი - "შორია გურჯისტანამდე". კინემატოგრაფისტებიდან გურამ პატარაიამ პირველმა მოიპოვა ეს წოდება. მისი მხატვრული ფილმები "რეკორდი", "ხანძარი და პომპიერო" და "კუჩხი ბედნიერი" დღემდე არ ჩამოდიან ეკრანიდან. ასევე, დოკუმენტური ფილმები: "რუსთაველის ნაკვალევზე", "პალესტინა, პალესტინა" და სხვა.

ცოტა მოგვიანებით რუსთაველის პრემია მიეკუთვნა აგრეთვე მერაბ კოკოჩაშვილს, რომელიც 30 წელია, ტელეფილმების სამხატვრო ხელმძღვანელია და წარმატებით უძღვება ამ დარგს.

"ქართულ ტელეფილმში" შეიქმნა კინოს ისტორიაში პირველი კინობალეტი "მწირი", "პრომეთეოსი", "მეთორმეტე ღამე ანუ რაც გენებოთ", რომლებმაც რამდენიმე საერთაშორისო უმაღლესი პრიზები დაიმსახურეს, მათ შორის ნიუ იორკსა და ჩიკაგოში.

"მწირი" ერთადერთი ქართული ფილმია, რომელიც ინახება ლოს ანჯელესის ფილმსაცავის ოქროს ფონდში, ნიუ იორკის ლინკოლნის ცენტრში და ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში.

კიდევ ერთ საინტერესო მოვლენაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას - 1988-90 წლებში, სტუდიის მაშინდელი დირექტორის ბ-ნ დავით შალიკაშვილის თაოსნობით ჩატარდა ორი საერთაშორისო კინოფესტივალი "ოქროს საწმისი" გემზე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და უცხოეთის ქვეყნებიდან მოწვეული წამყვანი კინოსპეციალისტების - რეჟისორების, პროდიუსერების, დრამატურგების, მსახიობების და სხვათა, აგრეთვე, პოლიტიკოსების მონაწილეობით. გემი რეისს ასრულებდა შავი ზღვის საქართველოს მონაკვეთზე. ამ ფესტივალებმა დაუდეს საფუძველი ჩვენი სტუდიისა და უცხოელ კინემატოგრაფისტთა ერთობლივ ფილმწარმოებას. ასეთებია: ("პალმერ ფილმზ პროდაქშენთან"), "ელზა" (საარბრიუკენის სატელევიზიო ფილმების სტუდიასთან), "ოსკარი" (ტიმკინოსთან), "ჩვენ ვეძებთ ოლივერ და მარჯორი უორდროპებს" (ლონდონის ტელევიზიის მეოთხე არხთან), "ალიბაბა და 40 ყაჩაღი" (სლოვაკეთის ტელევიზიასა და დასავლეთ გერმანიის სტუდია "TV - 2000" -თან) და სხვა.

მრავალრიცხოვან ჯილდოებს შორის აღსანიშნავია თბილისში ორგანიზებულ საერთაშორისო ტელეფესტივალ "მანა - 96"-ის გრან პრი, რომელიც კომპანია "ქართულმა ტელეფილმმა" დაიმსახურა ფესტივალზე წარდგენილი საუკეთესო პროგრამისათვის.

განვლილი 37 წლის მანძილზე, ჩვენთან 500-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი, 350-მდე მხატვრული და მუსიკალური, 250-მდე საფონდო სიუჟეტი, რამდენიმე ათეული თოჯინური, სამეცნიერო-პოპულარული და კინომატიანის სპეციალური გამოშვება შეიქმნა. "ტელეფილმელები" სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი კოლეგებით, რომელთაგან ოთხს შ. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა, ორ ათეულზე მეტს - სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის და საქართველოს სახალხო არტისტისა. ამ ფილმებმა გაიტანეს საქართველოს სახელი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ გააცნეს და შეაყვარეს ქართული კინო, და აქედან გამომდინარე, ქართული ხელოვნება და კულტურა ფართო მაყურებელს და ათობით პრიზი და დიპლომი მოიპოვეს ნიუ იორკისა და ჩიკაგოს, ბერლინისა და ობერჰაუზენის, მანჰეიმისა და ფლორენციის, კანის, ვენეციის და სხვა მრავალ საერთაშორისო ფესტივალზე...

**"მე მინდა თქვენთან ერთად გავიზიარო ის დიდი სიხარული, რასაც თქვენი ფილმების მსოფლიო ეკრანებზე გასვლა გვანიჭებს - გვწერდა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, ბ-ნი ე. შენგელაია - ის უამრავი პრიზი, პრემია თუ ჯილდო, რომლებიც მათ ჩამოიტანეს სხვადასხვა ფესტივალებიდან თუ ფორუმებიდან, ყველა ჩვენთაგანის სიამაყეს წარმოადგენს. "ქართული ტელეფილმის" ადგილი და წვლილი უდიდესია ქართულ კინემატოგრაფში."**

**"საქართველოს ტელეფილმების სტუდიამ" ჩვენი ხალხის ისტორიისა და სულიერი ცხოვრების ღირსეული მემატიანის სახელი მოიპოვა და ეს მისი კოლექტივის მიერ შექმნილი შესანიშნავი ფილმების კანონზომიერი შედეგია". ეს სიტყვები ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს ეკუთვნის.**

და აი, ასეთი ისტორიისა და ეროვნული ტრადიციების მატარებელ სტუდიას გამოუცხადეს, რომ ის არ არსებობს და აღარ დაფინანსდება. კომპანია "ქართული ტელეფილმების" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ზურაბ ხასია დილიდან საღამომდე ყარაულობს ტელეფილმების სტუდიას, რომ მისის ქონება არ განიავდეს. წელიწადი და ხუთი თვეა, სტუდიის თანამშრომლებს ხელფასი არ აუღიათ, მათ შორის, იმ სამი თვისაც, როდესაც ფილმწარმოება გრძელდებოდა. არადა, ამ არარსებობის წლებში შექმნილი ფილმებიდან (დღესაც გვთხოვენ ეთერში მისაცემად) რამდენიმე პრიზებითაც აღინიშნა საერთაშორისო ფესტივალებზე, ხოლო ორს - "დედაო, ღვთისავ" და "გზა მაცხოვრისა" - 2004 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ამიტომ გადავწყვიტეთ, დახმარებისთვის მთავრობის წევრებისათვის მიგვემართა.

იანვრის თვეში ჩემი ახლობლის გასვენებაში შევხვდი ბ-ნ ზურაბ ჟვანიას. მე ვესაუბრე მას ტელეფილმების სტუდიის საგანგაშო მდგომარეობის შესახებ. ბ-ნი ზურაბი საქმის კურსში იყო. მე ვთხოვე მას, რომ იქნებ მომავალ კვირას გამოენახათ დრო და გადაეწყვიტათ ეს ფრიად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ეროვნული საქმე. ბ-ნი პრემიერ-მინისტრი დამეთანხმა, რომ ეს მართლაც მნიშვნელოვანი საქმეა და აუცილებლად მიიღებდა სათანადო გადაწყვეტილებას.

მეორე კვირის ოთხშაბათს სტუდიაში მთავრობის სხდომის ოქმის ამონაწერი მოიტანეს:

**საქართველოს მთავრობის სხდომის გადაწყვეტილება N 1**

2005 წლის 12 იანვარი

**მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის გ. გაბაშვილის ინფორმაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კომპანია "ქართული ტელეფილმის" შესახებ და ეთხოვოს საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის ხელმძღვანელობას კომპანია "ქართული ტელეფილმის" შემდგომი ფუნქციონირების კონცეფციის შემუშავებამდე უზრუნველყოს "ქართული ტელეფილმის" შენარჩუნება ოპტიმალური დაფინანსებით, როგორც ტელედეპარტამენტის სტრუქტურული ერთეული.**

და აი, ამ გადაწყვეტილებით გამოწვეული სიხარული არ გაგვინელებოდა, პრემიერ-მინისტრის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი რომ გავრცელდა.

ჩვენ მაინც გვჯერა, რომ სტუდიის ბედი დადებითად გადაწყდება: ზურაბ ჟვანიამ, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ მისთვის ჩვეული გულისყურით აწონ-დაწონა სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივის პოტენციალი, მისი შესაძლებლობები და არ დაუშვა კულტურის ამ სახელოვანი კერის გაუქმება. "ტელეფილმელები" მწუხარებით ვხრით თავს ბატონ ზურაბ ჟვანიას ხსოვნის წინაშე.

კომპანია "საქართველოს სატელევიზიო ფილმების" სტუდიის საფონდო განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კინორეჟისორი
კარლო ღლონტი


ისარგებლეთ ჯეო-ჯეო & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ჯეო-ჯეოს სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ჯეო-ჯეოს სრულ სასტარტო პაკეტს (ჯეო-ჯეოს სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)




აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის № 14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ველნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |


სამსონ ლეჟავას სვეტი

# ტრადიციული სათავდაცვო ხუროთმოძღვრება ხევსურეთში



ხევსურეთი საქართველოს ის კუთხეა, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებულად იზიდავდა მკვლევართაც, შემოქმედთაც და მთის ქედუხრელი ცხოვრების წესის თაყვანისმცემელთაც. სახელგანთქმულია ხევსურული პოეზია - შემთხვევით როდი უთქვამს ძალზე ხატოვნად გიორგი ლეონიძეს: "ყველა ხევსური ვიცი დანტეა"-ო. შეუდარებელი სილამაზისაა იქაური სამოსელი, რომელიც ნაქარგობის ფილიგრანული სიფაქიზით, თარგის სიმწყობრითა და ამომწურავი სრულყოფით გვიზიდავს: ხელობის ვირტუოზულობა და სისადავე მასში დიდი დამაჯერებლობითაა შერწყმული.

ხევსურები ცნობილნი იყვნენ მთელ კავკასიაში, როგორც ჩინებული მეომრები. ვასილ ელაშვილმა შეისწავლა ხევსურული ფარიკაობის სრულიად თავისებური, ჩამოყალიბებული სკოლა, რომელიც ფიცხელი სიმარჯვით, ეკონომიურობითა და ეფექტურობით გამოირჩევა. იქაურთა უდიდესი სიმამაცის მაგალითია ცნობილი, ე.წ. "ცხენნიც" - ურთულეს, დაქანებულ რელიეფზე მხედართა თავბრუდამხვევი სისწრაფით დაშვების ხელოვნება, რომელსაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა, ვასილ ელაშვილისავე თქმით, სხვა ქვეყნების ცხენოსნობის აღიარებული ოსტატები - მათ ვერც კი წარმოედგინათ, თუკი არსებობდა ამგვარი, დაუჯერებელი შესაძლებლობა. განსაკუთრებული მოვლენაა სწორფრობა, რომელიც მიჩნეულია მოტრფიალეთა სულიერი წრთობის, თავდაჭერილობისა და ხორციელ ვნებაზე ამაღლების გამოხატულებად, ვაჟას თქმით კი - მისი ანალოგიური წაწლობა, ერთ-ერთი ძლიერი შთამაგონებელიც გახლდათ ხალხური პოეზიისათვის.

ხევსურეთში ურყევად აღიარებული, რელიგიური ცხოვრების წესი, წარმართული ხუცესთა მიერ და სხვადასხვა დანაშრევთა მიუხედავად, ქრისტიანობაზეა ორიენტირებული: ადათის მოთხოვნებზე დაფუძნებული, მოწესრიგებული ყოფა; მკაცრი და სამართლიანი, "ზეპირი" ზნეობრივი კოდექსი მშვენივრად აგვარებდა მრავალ ისეთ პრობლემას, მთის ძალზე რთულსა და მოულოდნელობებით აღსავსე გარემოში, ყოველდღიურად რომ იჩენდა თავს. ფიზიკურად კამერული მასშტაბით გამორჩეული ხევსურეთი, არსებითად დიდ, ძალიან ტევად სამყაროს წარმოადგენდა (როსტომ ჩხეიძე).

ხაზგასასმელია, რომ ხევსურეთის ინტენსიურად რომანტიკული ხილვა, გამოვლენილი ჩვენს დიდ მწერალთა - გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას და გურამ რჩეულიშვილის მიერ, მაინც უკმარისობის განცდას სტოვებს, იმდენად დიდი საიდუმლოებით არის მოცული მისი სივრცე, რომლის ამოცნობისათვის თავის მხრივ, ბევრი ილვაწეს აკაკი შანიძემ, სერგი მაკალათიამ, ვერა ბარდაველიძემ, გიორგი ჩიტაიამ, ალექსი და თინათინ ოჩიაურებმა და მრავალმა სხვამ. საგულისხმოა სახელმოხვეჭილ მისტიკოს გიორგი გურჯიევის ნაწერებიც, რომელზეც იქაურობამ სრულებით წარუშლელი კვალი დასტოვა: გულისხმიერმა ხევსურებმა მას, გზაზე დაგდებულს, ყველასგან მიტოვებულსა და სიკვდილის პირას მყოფს, უანგაროდ მოუარეს, უპატრონეს და უმკურნალეს რაღაც უცნობი საშუალებებით - ძალაუნებურად, აქ გვახსენდება ხევსურეთში ტრადიციულად გავრცელებული, ურთულესი ოპერაციები თავის ტვინზე, ჩატარებული განთქმული დასტაქრის მგელუკა ლიქოკელის მიერ.

ხევსურეთის არსს საუკეთესოდ გამოხატავს იქაური კომპაქტური სათავდაცვო დასახლებები. ალბათ ყველაზე შთამბეჭდავია ხევსურთა ვაჟკაცური სულითა და გმირული "შემართებით" აღსავსე, მტკიცედ ამომართული კოშკები და ციხე-სახლები, რომელნიც მართლაც გამაოგნებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. მუცოცა და შატილიც უბრალოდ ბრწყინვალე, საერთაშორისო ფასეულობის მქონე ძეგლებია.

შატილის მთელი კომპლექსი, შესწავლილი მარიამ ჯანდიერის, გიორგი ლეჟავასა და ვახტანგ დოლიძის მიერ, საკვირველად ორგანულად და მონოლითურად არის ამოზრდილი მთიდან და არსებითად იკრებს მის მთელ ენერგიასა და ძალას. ძალიან მკაფიო აგებულების დროს, იგი ამასთანავე ბუნების თითქმის უშუალო განგრძობადაც აღიქმება. ლანდშაფტი-ნაგებობის ერთობა იმდენად სრულქმნილია, რომ მცხეთის ჯვრის შემდგომ, რისამე უფრო მეტად ხუროთმოძღვრულად დამარწმუნებლის, ფუნქციურად გამართულისა და ხატოვნებით გაჯერებულის წარმოდგენა ჭირს კიდეც. ის მართლაც უაღრესად მთლიანია, ბირთვისებურად თავმოყრილი და "მკვრივი". ცალკეული სათავდაცვო შენობები აქ ურთიერთგამაძლიერებელი და "ურთიერთმხარდამჭერია", როგორც შეფიცული მეომრები ბრძოლის ველზე. შატილის მთელი სათავდაცვო სისტემა დიდი შინაგანი მობილურობითა და ურთიერთშეკავშირებულობითაც გამოირჩევა. საბოლოოდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მისი აღება შეუძლებელია.

ზურაბ კიკნაძე გამოჰკვეთს ხევსურული საზოგადოების საკრალურ ორიენტირებს, რაც შატილის მძლავრი კომპლექსის სულისკვეთებაში ნათლად არის განცხადებული. ის იფარავდა, და ახლაც იფარავს არა მხოლოდ ტერიტორიას, სამკვიდროს, სამშობლოს თავის ფიზიკურ განზომილებაში, არამედ მისი სულიერი სივრცის ფორპოსტადაც აღიქმება.

აქ წარმოდგენილი შატილის ხედი ეკუთვნის ქართული სპორტის დიდ მოამაგეს, გამორჩეულად რაინდული ბუნების ადამიანს, ბატონ ვახტანგ მარსაგიშვილს, რომელმაც თავისი ტილოებით კავკასიის მთიანეთის მთელი მხატვრული მატიანე შექმნა.

ფეხბურთი

# ტიტანების ბრძოლა

დღეს ევროპის საუკეთესო რვა გუნდი კიდევ გაითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საგზურს. უფრო სწორად გაიმართება ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ოთხი მერვედფინალი. უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს "ბარსელონა" - "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მილანის" დაპირისპირება. ქართველი გულშემატკივრების ყურადღება კი უდავოდ "ოლდ ტრაფორდისკენ" იქნება მიპყრობილი, სადაც კახა კალაძის "მილანი" "მანჩესტერ იუნაიტედს" გაეჯიბრება. ტურნირის კიდევ ორ მატჩში ლიგის შარშანდელი გამარჯვებული "პორტუ" მიიღებს მილანის "ინტერს", ხოლო გერმანიის ჩემპიონი "ვერდერი" საფრანგეთის პირველ გუნდს, "ლიონს" გაუმართავს ბრძოლას.

### "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მილანი"

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ ამ გუნდების ორთაბრძოლა. ეს მატჩი სპეციალისტებმა დღის ერთ-ერთ სუპერბრძოლად შეაფასეს. ეს მატჩი ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც "ბარსელონა" - "ჩელსის" დაპირისპირება. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ამ გუნდებს ის ჰქონდათ საერთო, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ორივე მეორე ადგილზე იყო, მაგრამ დაამარცხა რა "კალიარი," "მილანმა" იტალიის ჩემპიონატის ლიდერის პოზიციაზე გადაინაცვლა. კლუბი ქულების რაოდენობით ტურინის "იუვენტუსს" კი გაუთანაბრდა, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო პირველ ადგილზე სწორედ "როსონიერი" დამკვიდრდა.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ ორივე გუნდი მდევრის როლში იყო. "მანჩესტერ იუნაიტედი" ახლაც ამ როლშია. ორივე კლუბი აღმავლობას განიცდის. უკვე 16 მატჩია, ინგლისელები არ დამარცხებულან. ბოლო მარცხი "ეშმაკუნებმა" 30 ოქტომბერს იწვნიეს. მაშინ სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა "პორტსმუტთან" - 0:2 წააგო. თუმცა, მაშინ "მანჩესტერ იუნაიტედი" საკუთარ თავს არ ჰგავდა. კლუბმა თავისი სახე მხოლოდ 2005 წლის დასაწყისში იპოვა - შთამბეჭდავი სპურტი განახორციელა და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

ინგლისელთა შეტევის ხაზი აგრესიულად გამოიყურება - ჰოლანდიის ნაკრების ტრავმამოშუშებული ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი და ინგლისის საუკეთესო თავდამსხმელი უეინ რუნი. აქვე უნდა გავიხსენოთ პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ, რომელიც ასევე ხშირად აწიოკებს მეტოქის დაცვას. ასე რომ, "მანჩესტერ იუნაიტედს" რეალურად შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება. მოთამაშეების შერჩევის მხრივ გუნდში ყველაფერი რიგზეა.

"მილანის" მთავარი დანაკლისი კი, რა თქმა უნდა, უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკოა. მან იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის მატჩში ტრავმა მიიღო და 15-დან 30 დღემდე არ ითამაშებს. მეტიც, "მილანის" ექიმმა სალამ განაცხადა: "შევჩენკოს რომ ერთი სანტიმეტრით ზემოთ მიეღო ტრავმა, მისი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდებოდა." ახლა "მილანს" მოუწევს, ერნან კრესპოსა და დანიელი იონ დალ ტომასონის ამარა გავიდეს ფონს. მოკლედ, გვარებით თუ ვიმსჯელებთ, "მილანმა" შეტევაში უკვე წააგო.

### "ბარსელონა" - "ჩელსი"

დღის მეორე სუპერმატჩი "ბარსელონა" - "ჩელსის" დაპირისპირებაა. ამ მატჩს სპეციალისტებმა, არც მეტი, არც ნაკლები, "ტიტანების ბრძოლა" უწოდეს. ორივე გუნდი თავისი ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერია. ამასთან, ისინი უბრალოდ პირველ ადგილზე კი არ არიან, არამედ გუნდებმა საკმაოდ საფუძვლიანად მოიპოვეს ლიდერობა. "ბარსა" და "ჩელსი" თავის მდევრებს სოლიდური ფორით უსწრებენ და, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს იქნებიან ლიდერის პოზიციაზე. კატალონიელები "რეალს" 7 ქულით უსწრებენ, ხოლო აბრამოვიჩის გუნდი მთელი 9 ქულით წინაა "მანჩესტერ იუნაიტედზე".

ორთაბრძოლის სერიოზულობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ "ბარსელონას" ბრაზილიელი ფორვარდი, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რონალდინიო "ჩელსის" ძალიან უფრთხის. ამასთან, ის ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ლონდონელებს ბევრი ფეხბურთელი ტრავმირებული ჰყავთ.

"ჩვენ ვფიქრობთ, რომ თამაში ურთულესი იქნება. "ჩელსი" და "ბარსელონა" მსოფლიოს ორი საუკეთესო კლუბია და ამ მატჩს ფავორიტი არ ეყოლება. - ამბობს რონალდინიო. - პირველად ჩემპიონთა ლიგაში ჩემი თამაშის მანძილზე ვგრძნობ, რომ ამ სტადიიდან მოყოლებული ყველა მატჩი ფინალის ტოლფასი იქნება".

"ბარსელონასთან" შეხვედრის წინ "ჩელსიმ" მორიგი ფეხბურთელი დაკარგა. უეინ ბრიჯი სეზონის დარჩენილ ნაწილს კოჭის ორმაგი მოტეხილობის გამო გამოტოვებს. ტრავმა 24 წლის ფეხბურთელმა ინგლისის თასზე "ნიუკასლთან" მატჩში მიიღო. ბრიჯს ორშაბათს ლონდონში ოპერაცია გაუკეთეს.

რონალდინიოს კი ტყუილად არ ეშინია "ჩელსისა." მას შემდეგ, რაც კლუბს პორტუგალიელი ჟოზე მოურინიო ჩაუდგა სათავეში, გუნდმა მხოლოდ სამი მატჩი წააგო. შედეგი მართლაც შთამბეჭდავია.

"ბარსელონას" მწვრთნელი ფრანკ რაიკაარდი, უპირველეს ყოვლისა, ლონდონელთა ნახევარდაცვას უფრთხის. თუმცა, ჰოლანდიელი არიენ რობენის ტრავმის გამო ის შედარებით დასუსტებულია. "ბარსელონას" შემადგენლობაში კი ყველაზე სახიფათო რგოლი თავდასხმაა, სადაც სამუელ ეტო`ო და რონალდინიო თამაშობენ. "ბარსას" კიდევ ერთი კოზირია დეკუ, რომელმაც არაჩვეულებრივად იცის ჟოზე მოურინიოს ყველა ტაქტიკური ჩანაფიქრი. თუმცა, სავარაუდოა, რომ სპეციალურად ამ მატჩისთვის მოურინიოს რაიმე განსაკუთრებული სიახლე ექნება შემონახული. ყველა შემთხვევაში გამარჯვებული დარჩება გულშემატკივარი, რომელიც "ნოუ კამპის" სტადიონს შეავსებს ან ტელეეკრანთან მოიკალათებს.

სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე "ბარსელონამ" მხოლოდ ერთხელ - 1992 წელს მოიგო ტიტული. "ჩელსის" კი მსგავსი გამარჯვება არასოდეს მოუპოვებია. ამ მატჩს შვედი არბიტრი ანდერს ფრისკი განსჯის.

### "პორტუ" - "ინტერი"

ეს წყვილი გამოუცნობია. მან გულშემატკივარს შეიძლება გოლების ფოიერვერკი მოუწყოს და შეიძლება საერთოდ მიაძინოს. წლევანდელ სეზონში "პორტუს" გოლების გატანა ძალიან უჭირს. პორტუგალიის ჩემპიონატში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა 23 მატჩში მხოლოდ 29 გოლი გაიტანა. ლიგის ჯგუფური ეტაპიდანაც პორტუგალიელები ფორტუნის წყალობით გავიდნენ.

"ინტერი" ნამდვილი გამოცანაა. "ინტერი" ერთადერთი გუნდია იტალიის ჩემპიონატში, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა. მილანელთა ანგარიშზე 9 გამარჯვება და 16 ფრეა. მოდი და ამის შემდეგ თავი იმტვრიე იმაზე, თუ რა შეუძლია ამ გუნდს.

სხვათა შორის, "ინტერი" არც ლიგის ჯგუფურ ტურნირში დამარცხებულა. თუმცა, არც მეტოქეები იყვნენ საფეხბურთო გრანდები - "ვალენსია", "ვერდერი" და "ანდერლეხტი". ამის მიუხედავად, მილანელთა შედეგი პატივისცემას იმსახურებს.

### "ვერდერი" - "ლიონი"

კაცმა რომ თქვას, კენჭისყრისას ორივე გუნდს გაუმართლა. მაგალითად, "ვერდერი" "ჩელსიზე" რომ გასულიყო, ფავორიტის ვინაობას ამ წყვილში დიდი ხნის წინ გვეცოდინებოდა. ახლა კი ამ გუნდების შეხვედრა თანაბარი ძალისა და შესაძლებლობების მეტოქეთა დაპირისპირებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, მცირე უპირატესობა მაინც "ლიონის" მხარესაა, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია და განმეორებით მატჩსაც საკუთარ მინდორზე ატარებს.

# დუელი "დელე ალპიზე" დასრულდება

მადრიდის "სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გათამაშების, ალბათ, საუკეთესო და სანახაობრივად ულამაზესი მატჩი ვიხილეთ. "სამეფო კლუბმა" ტურინის "იუვენტუსი" მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წყვილში გამარჯვებული ორი კვირის შემდეგ ტურინში გამოვლინდება.

ლუშემბურგომ ტაქტიკურად აჯობა კაპელოს - ასე შეფასდა "ბერნაბეუზე" "რეალის" უპირატესობა, მაგრამ რეალურად თუ შევხედავთ საქმეს, "სამეფო კლუბი უაღრესად რთულ მდგომარეობაში იმყოფება. ორი კვირის შემდეგ მან ტურინში საპასუხო მატჩი უნდა გამართოს და მარაგში მხოლოდ ერთი ბურთი აქვს, რაც არცთუ ისე საიმედო ფორაა.

"რეალმა" ითამაშა ისე, როგორც ვარსკვლავებით დახუნძლულ კლუბს ეკადრებოდა. უნდა შეეტია და შეუტია კიდეც. "იუვენტუსმა" კი ტრადიციულად პრაგმატული თამაში დაუპირისპირა ამბიციურ ესპანელებს. კაპელომ, როგორც სჩვევია, მთავარი აქცენტი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთა და ამან შედეგი გამოიღო, რადგან "იუვეს" იმ მატჩში რამდენიმე წამყვანი ფიგურა აკლდა - ტრეზეგე, მონტერო, კაპო და თამაშის დებიუტში ტრავმირებული ნედვედი, რომელიც მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. ასეთ პირობებში კაპელოს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, თუ არა იმ ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი, რომელიც პირველ ტაიმში დაფიქსირდა - 1:0.

მაშ ასე, ინტრიგა შენარჩუნდა. რაულმა და ვალტერ სამუელმა ორი უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს. ორივე შემთხვევაში ბურთი ძელმა აისხლიტა. ტურინელთა მხრიდან კი ზლატან იბრაგიმოვიჩს ჰქონდა თავის გამოჩენის




*"რეალი" - "იუვენტუსის" მატჩი უაღრესად ხისტი თამაშით გამოირჩეოდა*

შანსი, მაგრამ კასილასმა გადაარჩინა გუნდი. განმეორებითი მატჩის წინ "რეალს" გარკვეული უპირატესობა აქვს. გუნდმა თამაში მოიგო, მაგრამ, თუ ტურინელთა შემადგენლობაში ტრავმირებულმა ფეხბურთელებმა რეაბილიტაცია მოასწრეს, "დელე ალპიზეც" უაღრესად საინტერესო მატჩის მოწმენი გავხდებით.

ვიდრე მადრიდში უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა, მიუნხენში "ბაიერნი" ლონდონის "არსენალს" უმკლავდებოდა. გერმანელებმა თამაშის დებიუტშივე აჩვენეს მეტოქეს, თუ ვინ არის "ოლიმპიაშტადიონზე" მასპინძელი. უკვე მე-4 წუთზე პისარომ გახსნა ანგარიში. მეორე ნახევარში მან მეორედ აიღო ლონდონელთა კარი, რასაც ჰასან სალიჰამიჯიჩმა მესამე გოლიც დაუმატა და რომ არა თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ტურეს გოლი, "არსენალი" გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. საბოლოოდ - 3:1 "ბაიერნის" სასარგებლოდ და გერმანელებმა მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი მოიპოვეს.

ასეთივე ანგარიშით დასრულდა მატჩი ლივერპულში, სადაც "ლივერპული" ლევერკუზენის "ბაიერს" მასპინძლობდა. მიუნხენელების არ იყოს, მერსისაიდელებიც - 3:0-ს უგებდნენ მეტოქეს, მაგრამ მატჩის უკანასკნელ წუთზე ფრანკამ დაუბრუნა კლაუს აუგენტალერის შეგირდებს შანსი. მან ერთი გოლი გაქვითა - 3:1.

ჰოლანდიაში კი "პსვ ეინდჰოვენმა" მინიმალური ანგარიშით - 1:0 სძლია "მონაკოს". ამ მატჩში ერთადერთი გოლი შეხვედრის მე-8 წუთზე ალექსმა გაიტანა. ეჭვგარეშეა, რომ წყვილის გამარჯვებული მონაკოში გამოვლინდება.

ლეგიონი

# კახა კალაძე: „შევჩენკო ჩემი მეგობარია!"

*კახა კალაძე*
***დაიბადა** 1978 წლის 27 თებერვალს*
***სიმაღლე:** 186 სმ*
***წონა:** 76კგ*
*მცველი*
***კლუბები:** "დინამო" (თბილისი, საქართველო, 1994-97), "დინამო" (კიევი, უკრაინა, 1998-2000), "მილანი" (მილანი, იტალია, 2001-)*
***ტიტულები:** საქართველოს ჩემპიონი - 1994, 1995, 1996, 1997, საქართველოს თასი - 1994, 1995, 1996, 1997, საქართველოს სუპერთასი - 1996, 1997, უკრაინის ჩემპიონი - 1998, 1999, 2000, უკრაინის თასი - 1998, 2000, იტალიის ჩემპიონი - 2004, იტალიის თასი - 2003, იტალიის სუპერთასი - 2004, ჩემპიონთა თასი - 2003, ევროპის სუპერთასი - 2003, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი - 2001, 2002, 2003*
*საქართველოს ნაკრებში ჩაატარა 40 მატჩი*

რამდენიმე დღის წინ რუსულმა სპორტულმა გაზეთმა "სპორტ-ექსპრესმა" დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის და ბალტიის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი გამოავლინა. უკრაინის ნაკრებისა და იტალიის "მილანის" ფორვარდი ანდრეი შევჩენკო საუკეთესოდ დასახელდა.

გამარჯვებულთან ინტერვიუს უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ, დღეს კი ხსენებულ გაზეთში გამოქვეყნებულ კახა კალაძის ინტერვიუს გთავაზობთ - კალაძე, რომელიც "სან-სიროზე" მოწყობილ ცერემონიალსაც ესწრებოდა, თითქმის ათი წელია, ანდრეი შევჩენკოს მხარდამხარ თამაშობს.

**- ელოდით ანდრეის გამარჯვებას?**

- თქვენ როგორ ფიქრობთ? გასულ წელს შევჩენკო საუკეთესო იყო და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ საუკეთესოდ მას დაასახელებდნენ. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ შევჩენკომ შარშან ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი "ოქროს ბურთიც" მოიგო!

**- ანდრეის მსგავსად, თქვენც "მილანში" თამაშობთ. შესაბამისად, გამარჯვების მშვენიერი შანსი გაქვთ, მაგრამ საოცარია - რეფერენდუმში ქულაც ვერ მოიპოვეთ. გული დაგწყდათ?**

- არა, რატომ? პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ 2004 წელი ჩემთვის არცთუ კარგი გამოდგა - ცუდ ფორმაში ვიყავი, რასაც ტრავმებიც დაერთო. ამასთან, კარგად ვერ ითამაშა საქართველოს ნაკრებმა, ყოველ შემთხვევაში, უკრაინასთან შედარებით ცუდად გამოიყურებოდა. რაც არანაკლებ ხაზგასასმელია, მცველი ვარ, უკანა ხაზის მოთამაშეებს კი, თავდამსხმელებთან და ნახევარმცველებთან შედარებით, ინდივიდუალური პრიზების მოგება უჭირთ.

**- მიუხედავად ამისა, თქვენ ზედიზედ სამჯერ დაგასახელეს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად...**

- ეს სხვა შემთხვევაა - ქართველ ფეხბურთელთაგან მე ვთამაშობდი საუკეთესო კლუბში, ამავდროულად, კარგ ფორმაში ვიყავი და ჯილდოებსაც ვიგებდი, მაშინ როცა თავდამსხმელები ან კარგად ვერ ირჯებოდნენ, ან ტიტულის გარეშე რჩებოდნენ... ამ სამი გამარჯვების მიუხედავად, ვთვლი, რომ ინდივიდუალური პრიზების მოგება თავდამსხმელებს და ნახევარმცველებს უფრო უადვილდებათ.

**- საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი რეფერენდუმის პარალელურად, ჩვენმა გაზეთმა დსთ-ის და ბალტიის ქვეყნების სიმბოლური ნაკრებიც შეადგინა. გუნდში, თქვენი და მალხაზ ასათიანის გარდა, ხუთი რუსი: ოვჩინიკოვი, სმერტინი, ალენიჩევი, სიჩოვი და კერჟაკოვი, სამი უკრაინელი: ტიმოშჩუკი, ვორონინი და შევჩენკო, ასევე ბელორუსი გლები მოხვდნენ. ითამაშებდით ასეთ ნაკრებში?**

- რა თქმა უნდა! თუმცა, ვშიშობ, ამ იდეის განხორციელება ძალიან ძნელი იქნება. მიმაჩნია, რომ ასეთი ნაკრების თამაშების გამართვა ყოველმხრივ სასარგებლოა, მაგრამ საამისოდ ჩვენი ქვეყნების საფეხბურთო ფუნქციონერთა მონდომებაა საჭირო. სხვანაირად არაფერი გამოვა და სურვილიც სურვილად დარჩება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სიამოვნებით ვითამაშებდი ასეთ გუნდში!

**- როგორ ფიქრობთ, სიმბოლურ ნაკრებში სხვაც ხომ არ იმსახურებდა მოხვედრას?**

- ის მოთამაშეები, ვინც ჩამოთვალეთ, უდავოდ იმსახურებენ ძირითად შემადგენლობაში თამაშს, მაგრამ მიმაჩნია, რომ არანაკლებ ნიჭიერი ფეხბურთელებიც არიან, რომელთაც ასეთ ნაკრებში მოხვედრა არ გაუჭირდებათ. არ მინდა კონკრეტული გვარები ჩამოვთვალო, მაგრამ ფაქტია - კადრების პრობლემა ნამდვილად არ იქნებოდა.

**- თუ მოხდა და ასეთი ნაკრები შეიქმნა, მწვრთნელად ვის ისურვებდით?**

- რამდენიმე კარგი მწვრთნელის ჩამოთვლა შემიძლია, მაგრამ არჩევანს ვალერი გაზაევზე შევაჩერებდი. ვფიქრობ, ყველასთან შეძლებდა საერთო ენის გამონახვას.

**- უცხოელ სპეციალისტზე რას იტყოდით?**

- მთავარია, საქმეს წაადგეს და ცუდი არც ესაა. მაგალითისთვის საქართველოს ნაკრებიც გამოდგება - ჩვენ ფრანგი ალენ ჟირესი გვწვრთნის და ვთვლი, რომ ნაკრები მის ხელში პროგრესირებს. პირველ რიგში გუნდის ინტერესებია გასათვალისწინებელი. ფეხბურთი ხომ გუნდური თამაშია?!

**- დსთ-ის და ბალტიის ქვეყნების ნაკრები მართლაც რომ შექმნილიყო, თქვენი აზრით, სად უკეთესი იქნებოდა თამაში?**

- მხოლოდ ერთი მატჩის გამართვა დიდი შეცდომა იქნებოდა. ვფიქრობ, ამ გუნდს სიამოვნებით უმასპინძლებდა მოსკოვი, კიევი, თბილისი... მხოლოდ დედაქალაქებით შემოფარგვლაც არ შეიძლება - ფეხბურთი სახალხო თამაშია და ხშირად პერიფერიებში უფრო მხურვალედ ქომაგობენ. რაც შეეხება მეტოქეებს, კარგი იქნებოდა მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან და წამყვან კლუბთან თამაში. უდავოდ საინტერესო დაპირისპირებები შედგებოდა... თუ გავითვალისწინებთ, რომ გულშემატკივარი სსრკ-ის ჩემპიონატს ტკბილად იხსენებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი მატჩები სავსე ტრიბუნების თანხლებით ჩატარდებოდა...

**- ერთი კვირის წინ თქვენ დაახლოებით მსგავს მატჩში მიიღეთ მონაწილეობა - ბარსელონაში, "კამპ ნოუზე", ანდრეი შევჩენკოს ნაკრებში 45 წუთი ითამაშეთ რონალდინიოს რჩეულების წინააღმდეგ. კარგი იყო?**

- ძალიან მესიამოვნა ასეთ ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად თამაში. მატჩის სტატუსი სანახაობრივ ფეხბურთს გულისხმობდა და მეც ყველანაირად ვცდილობდი, ტემპი შემენარჩუნებინა, თამაში გამემწვავებინა, სანახაობრივად მეთამაშა... ვფიქრობ, გულშემატკივრებმა დიდად ისიამოვნეს. გარდა იმისა, რომ ასეთ შეხვედრაში მონაწილეობა ჩემთვის სასიხარულო იყო, ძალიან მესიამოვნა, რომ ცუნამით დაზარალებულ ხალხს გარკვეულწილად დავეხმარე.

**- ანდრეი შევჩენკო, რომელმაც ამ ნაკრებში მიგიწვიათ, თქვენი მეგობარია?**

- რა თქმა უნდა! მე და ანდრეი 1997 წლიდან ერთად ვთამაშობთ და, ბუნებრივია, ვმეგობრობთ კიდეც. მგონი ჩემზე დიდხანს მის გვერდით არც ერთ ფეხბურთელს არ უთამაშია.

**- შევჩენკო თქვენთან სტუმრად ყოფილა?**

- 1997 წელს, როცა უკრაინის ნაკრები თბილისში ჩამოვიდა ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად, მაშინ მეწვია. იმედი მაქვს, ეს მისი ბოლო სტუმრობა არაა.

**- კიევში ხშირად ჩადიხართ?**

- საკმაოდ. ხანდახან ანდრეისთან ერთად, ზოგჯერ მარტოც... ეს ქალაქი ძალიან მიყვარს - კიევში დიდ ფეხბურთს ვეზიარე. კიევი ჩემთვის "დინამოსთან" და ვალერი ლობანოვსკისთან ასოცირდება.

**- იტალიის ჩემპიონატში თქვენი გუნდი ლიდერობს, თუმცა, ტურინის "იუვენტუსს" მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებთ. შეძლებთ თუ არა უპირატესობის შენარჩუნებას?**

- ერთი რამის თქმა დანამდვილებით შემიძლია - ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სკუდეტო შევინარჩუნოთ! მთავარია ტრავმებმა არ შეგვიშალოს ხელი. სხვა პრობლემებს ნამდვილად გავუმკლავდებით. თუ ჯანმრთელად ვიქნებით, მერწმუნეთ, "იუვენტუსს" ძალიან გაუჭირდება!

**- ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში "მანჩესტერ იუნაიტედს" ხვდებით. მზად ხართ სათამაშოდ?**

- ვფიქრობ, კითხვა არასწორადაა დასმული - ასეთი დაპირისპირებებისთვის არათუ ნაადრევად ვემზადები, ყოველთვის მზად ვარ! მუდამ მხიბლავს დიდ გუნდებთან პაექრობა, საოცარი განცდაა!

**- თვლით თუ არა, რომ "მილანს" მერვედფინალში უძლიერესი მეტოქე ერგო?**

- ამ ეტაპზე ისეთი კლუბები შემორჩნენ გათამაშებას, რომ მათგან სუსტის და ძლიერის გარჩევა ძნელია. ტურნირის სისტემა დამშვიდების საშუალებას არ იძლევა - ორ მატჩში დიდ წინააღმდეგობას არათუ "მანჩესტერ იუნაიტედი", უსუსტესი კლუბიც გაგიწევს. მოდუნება, როგორც წესი, დამღუპველია...

**- ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "მილანს" არგენტინელი თავდამსხმელის ერნან კრესპოს შენარჩუნება სურს. მის სანაცვლოდ "ჩელსისთვის" თანხაა გადასახდელი, "მილანმა" კი გადაწყვიტა, ლონდონელებს თქვენი თავი დაუთმოს. თქვენი კომენტარი.**

- მსმენია ამის შესახებ, მაგრამ რაიმე კონკრეტულის თქმა გამიჭირდება. ჯერჯერობით "მილანის" ფეხბურთელი ვარ, კლუბის მწვრთნელ კარლო ანჩელოტისთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, მენდობა, ვთამაშობ და ჩემთვის ეს უმნიშვნელოვანესია. ეგეც არ იყოს, "მილანი" ტიტულებს იხვეჭს, მიმდინარე სეზონში კარგად ასპარეზობს და განა ასეთ შემთხვევაში აქვს ზრი ადგილსამყოფელის შეცვლას? თუ "მილანის" ხელმძღვანელობა კონკრეტული წინადადებით მომმართავს, აუცილებლად ვიფიქრებ. ერთიც უნდა აღვნიშნო: "ჩელსის" პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში!

**- რომან აბრამოვიჩს თუ იცნობთ?**

- დიახ, მაგრამ უფრო გავიცანი, ვიდრე ვიცნობ. ანდრეი შევჩენკოს დაჯილდოების ცერემონიალზეც შევხვდით ერთმანეთს...

**- ბოლო დროს ხშირად ამბობენ, რომ საფეხბურთო ევროპის ცენტრი იტალია და ესპანეთი კი არა, ინგლისია. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?**

- გარკვეულწილად ასეა - ინგლისში ფეხბურთში უდიდესი თანხები ჩაიდო, ბევრი ვარსკვლავი თამაშობს პრემიერლიგაში, ანაზღაურება დიდია, ყურადღება მატულობს... მაგრამ მიმაჩნია, რომ ფეხბურთში შედეგი უმთავრესია, საერთაშორისო ასპარეზზე კი ინგლისელები დიდი გამარჯვებებით ბოლო ხანებში ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან.

**- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა კარიერის მიწურულს თქვენი გამოჩენა საქართველოს, რუსეთის ან უკრაინის რომელიმე კლუბში?**

- არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ ახლა ამაზე არ ვფიქრობ.**- ევროპის ბოლო ჩემპიონატზე რუსეთთან ერთად ლატვიის ნაკრებმა ითამაშა. როდის ვიხილავთ დიდ საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინის და საქართველოს ნაკრებებს?**

- უკრაინის შესახებ ვერაფერს გეტყვით, სჯობს ანდრეის ჰკითხოთ. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ. ჩვენს ჯგუფში ვითარება ძალიან დაძაბულია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ გაცილებით სახელოვანი გუნდები ჩამოვიტოვოთ. თუმცა, ჯობს, ამაზე წინასწარ არ ვილაპარაკო.

**- მარტის მიწურულს საქართველოს ნაკრებს ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელის: ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს და თურქეთს მასპინძლობთ...**

- ორივე ჩვენი კონკურენტია და ყველაფერს ვიღონებთ, რომ თბილისიდან ორივე უქულოდ გავუშვათ. ისეთ ჯგუფში მოვხვდით, საშინაო მატჩებში თუ არ იმარჯვე, მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა ძალიან გაგიჭირდება. თუ ამ ორ მატჩში ექვსი ქულა მოვიპოვეთ, საქართველოს ნაკრებისთვის ეს ძალიან კარგი იქნება!

**მოამზადა ლაშა გოდუაძემ**



ინფოთეკა

### გოგობერიშვილი "ბაქოში" გადავიდა

აზერბაიჯანულმა კლუბმა "ბაქომ" მე-11 ლეგიონერი შეიძინა. ეს გახლავთ ალექსანდრე გოგობერიშვილი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში ბოლოს თებერვალში ლიტვის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე გოგობერიშვილს სხვადასხვა წლებში უთამაშია თბილისურ კლუბებში "ვიტ ჯორჯია" და "დინამო," რომლის რიგებშიც დსთ-ის თასი მოიგო.

### "ჩელსიმ" აპელაცია გამოითხოვა

ლონდონის "ჩელსის" მეკარე კარლო კუდიჩინი "ნიუკასლის" წინააღმდეგ ინგლისის თასის მატჩში მინდვრიდან გააძევეს, რის გამოც მან დისკვალიფიკაცია მიიღო. ამის გამო მეკარე გამოტოვებს ლიგის თასის ფინალურ მატჩს "ლივერპულის" წინააღმდეგ. "ჩელსიმ" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში აპელაცია შეიტანა, მაგრამ თავისივე განცხადება მოგვიანებით გამოითხოვა. კლუბის ხელმძღვანელობამ ვიდეოკასეტის ნახვის შემდეგ გადადგა ეს ნაბიჯი.

### დეკუ: "ბარსელონა" მირჩევნია"

კატალონიური "ბარსელონას" ნახევარმცველმა დეკუმ კომენტარი გაუკეთა ლონდონის "ჩელსიში" მის შესაძლო გადასვლას. "ვიცი, რომ "ჩელსის" ჩემს მიმართ ინტერესი ამოძრავებს, მაგრამ მე "ბარსელონა" მირჩევნია. ჟოზე მოურინიოს თავისი გზა აქვს, მაგრამ არ გამოვრიცხავ შესაძლებლობას, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ხელმძღვანელობით ვითამაშებ. ის დიდი მწვრთნელია, რომელიც თავის გუნდთან ერთად სერიოზულად მუშაობს. ეს "პორტუს" ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებამ დაადასტურა. ჩვენ მეგობრებად ვრჩებით. ეს ადამიანი ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნება," - განაცხადა დეკუმ.

### ტოტი შეიძლება "ინტერში" აღმოჩნდეს

იტალიური "ინტერის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ სენსაციური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ თავისი გუნდისთვის სურს, "რომასა" და იტალიის ნაკრების ფორვარდი ფრანჩესკო ტოტი შეიძინოს. მანჩინის თქმით, გუნდს უკვე ზაფხულში შეუძლია ესოდენ ძვირფასი შენაძენი მიითვალოს. "ტოტი ექსტრაორდინარული ფეხბურთელია, მაგრამ მისი გადაბირება ძნელი იქნება. ის "რომასთვის" უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. თუმცა, ტოტის შეუძლია, ნებისმიერი გუნდი შეცვალოს," - განაცხადა მანჩინიმ.

### "ბორუსიას" კორუფციაში ადანაშაულებენ

ფინანსური დარღვევების ბრალდებით დორტმუნდის "ბორუსიას" ხელმძღვანელობა შეიძლება სასამართლოში დაიბარონ. მიუნხენელი ადვოკატი კლაუს როტერი ამბობს, რომ სურს, სარჩელი აღძრას კლუბის მმართველი დირექტორის მიხაელ მაიერისა და გუნდის ყოფილი პრეზიდენტის გერდ ნიბაუმის წინააღმდეგ. მათ ბრალად ედებათ კლუბის ხაზინიდან 20 მილიონი ევროს მითვისება.

### ჟარდელმა "ალავესთან" კონტრაქტი გაწყვიტა

ბრაზილიელმა ფორვარდმა ჟარდელმა ესპანურ "ალავესთან" კონტრაქტი გაწყვიტა. არადა, მას ერთი თვის მოწერილი ჰქონდა ხელი. პირადი კონტრაქტი 2007 წლამდე იყო გათვალისწინებული. ჟარდელს "ალავესის" შემადგენლობაში თამაშის უფლება ამ წლის ივნისამდე არ ჰქონდა, რადგან იგი მოქმედი კონტრაქტით იყო დაკავშირებული არგენტინულ "ნიუელს ოლდ ბოიზთან". ფეხბურთელი ცდილობდა, ამ კონტრაქტის ანულირება მოეხდინა და ავანსის გაცემას "ალავესისგან" ითხოვდა. ჟარდელმა თანხა ვერ მიიღო, ამიტომ კონტრაქტი გაწყვიტა და სამშობლოში გაემგზავრა.

### შვედებმა პირველი ჩოგანი დაკარგეს

მხრის ტრავმის გამო დევისის თასის გათამაშებაში ფრანგების წინააღმდეგ თავის გუნდს ვერ დაეხმარება შვედეთის ნაკრების პირველი ჩოგანი იოაჰიმ იოჰანსონი. მატჩი 4-6 მარტს სტრასბურში გაიმართება. შვედების კაპიტანმა მატს ვილანდერმა კი დაასახელა იმ ჩოგბურთელთა გვარები, რომლებიც ფრანგებს გაეჯიბრებიან - ტომას იუჰანსონი, რობინ სოდერლინგი, იონას ბიორკმანი, სიმონ ასპელინი და მიქაელ რიდერშტადტი.

რაგბი

# ნაკრები საუკრაინოდ შეივსო

## ეროვნულ გუნდს ძველი მოთამაშეები და ძველი მწვრთნელი დაუბრუნდნენ

პაატა თოთაძე

შაბათს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ევროპის წლევანდელ ერთა თასზე თავის მესამე მატჩს გამართავს. ქართველთა მეტოქე უკრაინის ნაკრები იქნება. ჩვენი მორაგბეები სასტუმრო "ბატესტაში" არიან დაბინავებულნი. მატჩისთვის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ემზადებიან. ახლა ამაზე უკეთესი ვარიანტი არც არისო, - გვითხრა რაგბის კავშირის პრესსამსახურმა.

ვარჯიშზე მისული გაკვირვებული დავრჩი - მალხაზ ჭეიშვილისა და დავით ჩავლეიშვილის გვერდით პაატა ნარიმანაშვილი დავინახე. ნარიმანაშვილი ადრეც წვრთნიდა ნაკრებს, მაგრამ კავშირის სათავეში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ გადაწყვიტა, მთელი ყურადღება კლუბისთვის დაეთმო. "დამიძახეს, დახმარება მთხოვეს და დავთანხმდი. დაცვას უნდა მივხედო," - თქვა ახალმა მწვრთნელმა. როგორც კავშირში მითხრეს, ნარიმანაშვილი ოფიციალურად არ დაუნიშნავთ, ასე ვთქვათ, არაფორმალია. ისიც თქვეს, კარგი მწვრთნელია, გამოცდილი და თავადაც უნდოდა, ნაკრებს დახმარებოდაო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რაღა უკრაინასთან მატჩის წინ გადაწყდა მისი მიწვევა? თანაც, როგორც ამბობენ, მხოლოდ ამ მატჩისთვისო. არაა გამორიცხული, ნარიმანაშვილმა მომავალშიც გააგრძელოს მუშაობა ნაკრებთან. უფრო სწორად, ალბათ ასეც მოხდება, რადგან მხოლოდ უკრაინასთან მატჩისთვის გუნდის მოსამზადებლად მისი მიწვევა ცოტა უცნაურად მეჩვენება - უკრაინის ნაკრების დონიდან გამომდინარე.

ახლა კი უშუალოდ ნაკრებზე. სრული შემადგენლობით ვარჯიშს გუნდი დღეიდან დაიწყებს. გუშინ ეროვნულ გუნდს სამი მორაგბე აკლდა - ავქსენტი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე და ავთო კოპალიანი. ისინი ქუთაისში იყვნენ და გუშინ საღამოს შეუერთდნენ ნაკრებს. ლეგიონერები თბილისში ორშაბათს ჩამოვიდნენ და ნაკრების ხელმძღვანელებმა ნება დართეს, ახლობლები მოენახულებინათ.

პირველივე ვარჯიშზე ნარიმანაშვილი აქტიურად ჩაერთო საქმეში. უმეტესად სწორედ მისი მითითებები ისმოდა. ამან საათნახევარს გასტანა, მერე კი მოედანი ფეხბურთელებმა დაიკავეს. ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება ვერც ამჯერად მოხერხდა, თუმცა, ამ მატჩისთვის ამის აუცილებლობა არც იყო. უკრაინა არ არის ის გუნდი, რომლის დამარცხებასაც საქართველოს ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობა სჭირდება. ზოგიერთ მოთამაშეს ტრავმა ჰქონდა და, ბუნებრივია, ვერ მოახერხებდა თამაშს, ზოგიც მწვრთნელებმა დაასვენეს სარუმინეთოდ. ორი კვირის შემდეგ საქართველოს ნაკრებს უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს და მწვრთნელებმა მორაგბეები იმ მატჩისთვის "შემოინახეს." შემადგენლობაში დაბრუნდნენ დავით ზერაქაშვილი და ზვიად მაისურაძე. ზერაქაშვილმა პორტუგალიაში თამაში პირადი პრობლემების გამო ვერ შეძლო - ახალი გადასული იყო "კლერმონში" და მეორე დღესვე ვერ ვთხოვ გუნდს, გამათავისუფლოსო. ახლა კი ჩვენი მორკინალი ნაკრებშია. "კლერმონთან" ექვსთვიანი კონტრაქტი გავაფორმე, ანუ გუნდში სეზონის ბოლომდე დავრჩები. მერე კი ვნახოთ, იმედი მაქვს, კლუბში კიდევ ორ წელიწადს ვითამაშებ. ამის წინაპირობა არსებობს. რაც შეეხება მომავალ მატჩს, აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ქულების დაკარგვა არ შეიძლება, თუ მსოფლიოზე გასვლა გვინდა. არც ერთი მოგება იოლად არ მოდის. არც უკრაინის დამარცხება იქნება ადვილი. თუმცა, ეს უნდა შევძლოთ," - "24 საათთან" საუბარში აღნიშნა დავით ზერაქაშვილმა.

შესვენების შემდეგ ნაკრებში უხმეს ვასილ კაცაძეს, ლევან ჯაველიძეს და ლაშა ფირფილაშვილს. სამაგიეროდ უკრაინასთან ვერ ითამაშებს მახო ურჯუკაშვილი. ფირფილაშვილმა სწორედ ის უნდა შეცვალოს. ასევე უთამაშებელი დარჩა ირაკლი გიორგაძეც. მის შემცვლელად მწვრთნელებმა ლოკომოტიველი ლუკა ხაჩირიშვილი შეიგულეს. ნაკრების სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**შერკინების პირველი ხაზი** - *ავთო კოპალიანი, ლევან ჯაველიძე, დავით ზერაქაშვილი, ავქსენტი გიორგაძე, მიხეილ სუჯაშვილი.*

**მეორე ხაზი** - *ილია ზედგინიძე, ლევან დათუნაშვილი, მამუკა გორგოძე.*

**მესამე ხაზი** - *ბესიკ უდესიანი, ვასილ კაცაძე, ზვიად მაისურაძე, რატი ურუშაძე.*

**შერკინების ნახევარმცველი** - *ირაკლი აბუსერიძე, გიორგი კაჭარავა*

**თავისუფალი ნახევარმცველი** - *დათო კიკნაძე, ოთარ ბარკალაია*

**ბეკები** - *თედო ზიბზიბაძე, ლუკა ხაჩირიშვილი, ირაკლი მაჩხანელი, ლექსო გუგავა, ბესიკ ხამაშურიძე, ლაშა ფირფილაშვილი.*

ახლა კი უკრაინის შესახებ, რომელსაც დიდი პრობლემები აქვს. უფულობის გამო ნაკრებმა საქართველოსთან მატჩის წინ შეკრება ვერ მოახერხა. მორაგბეები თავიანთ კლუბებში ემზადებოდნენ როგორც შეეძლოთ. გუნდი სრული შემადგენლობით მხოლოდ თბილისში ივარჯიშებს, რადგან უფულობის გამო მორაგბეების კიევში მიწვევა სხვადასხვა ქალაქებიდან ვერ მოხერხდა. არადა, უკრაინის ნაკრებში კიეველებთან ერთად ხმელნიცკის, ხარკოვისა და ოდესის წარმომადგენლები თამაშობენ.

"რა უნდა ითქვას მომავალ მატჩზე, როცა ერთი ვარჯიშიც ვერ ჩავატარეთ ერთად. 10 მორაგბეს აეროპორტში ვნახავ, რადგან მათი ჩამოყვანა ადრე ვერ მოხერხდა. მოკლევადიანი შეკრება მაინც რომ მოგვეხერხებინა, კიდევ შეიძლებოდა მეტ-ნაკლებად ტოლსწორად გვეთამაშა მეტოქესთან. არის რამდენიმე მოთამაშე, რომელიც კარგ ფორმაშია, მაგრამ გუნდისთვის ეს ბევრი არაფერია. უფულობის გამო უარი ვთქვით ლეგიონერთა გამოძახებაზე. ასე რომ, თბილისში მხოლოდ ადგილობრივ მოთამაშეებს წავიყვანთ. რამდენიმე დებიუტანტს ვუხმეთ ნაკრებში. ახლა და ამ გუნდებთან თუ არა, სხვაგან სად უნდა გამოიცადონ ისინი", - უკრაინელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმირ მუხამ.

უკრაინის ნაკრებმა ერთა თასის A ჯგუფში თამაშის უფლება შარშან მოიპოვა, როცა B ჯგუფში რვიდან შვიდი მატჩი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა სტუმრად გერმანიასთან. წლეულს უკრაინამ მხოლოდ ერთხელ ითამაშა, შინ პორტუგალიასთან და 6:36 დამარცხდა. საერთოდ, უკრაინის ნაკრების მთავარი ამოცანა ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა. ამას მომავალ წელს ჩეხეთის დამარცხებით თუ მოახერხებენ, რადგან წლეულს, მთავარი მწვრთნელის თქმით, ლეგიონერთა გამოძახებას არც ჩეხებთან აპირებენ და, მით უმეტეს, არც რუმინელებთან.

უკრაინელები თბილისში ბოლოს 1991 იყვნენ (შვიდკაცას თუ არ ჩავთვლით). იქიდან მოყოლებული, სანაკრებო დონეზე ქართველები ხუთჯერ ეთამაშნენ უკრაინელებს და უკლებლივ ყველა მატჩში დაჯაბნეს.

ქართველთა და უკრაინელთა მეტოქეობა საბჭოთა პერიოდიდან მოდის. ერთი ჩემი კოლეგის ცნობების თანახმად, პირველი დაპირისპირება 1963 წელს შემდგარა თბილისში, სადაც "განთიადმა" 27:6 მოუგო ოდესის "ავანგარდს." კიეველებთან პირველი მატჩი კი 1965 წლის აგვისტოში ხერსონში თბილისელებმა ფრედ ითამაშეს. ამის შემდეგ უკრაინელები მოძლიერდნენ და კიევის "დინამომ" თბილისის "დინამო" უმაღლესი ლიგიდან გააგდო, მერე კი "ლოკომოტივიც" დაგვიმარცხა თბილისში 19:3. რევანში ქუთაისელებმა აიღეს - 1987-88 წლებში ორჯერ დაამარცხეს უკრაინული რაგბის ფლაგმანი კიევის "ავიატორი" და ჩემპიონებიც გახდნენ. საერთოდ, ქართულ კლუბებს უკრანულებთან უარყოფითი ბალანსი აქვთ, თუმცა, სანაკრებო დონეზე ყველაფერი პირიქითაა და, წესით, არც ახლო მომავალში უნდა შეიცვალოს რამე.

ამ თამაშის გარდა, შაბათს კიდევ ორი მატჩი გაიმართება. გათამაშების ლიდერი პორტუგალიის ნაკრები ჩეხეთს დაუხვდება, რუმინეთი კი რუსეთს მიიღებს. ძნელი მისახვედრი არ არის, როგორ დასრულდება მატჩები. სათამაშო დონით ჩეხები საგრძნობლად ჩამორჩებიან პორტუგალიელებს და წარმატების მოპოვების შანსი თითქმის არა აქვთ. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში არიან რუსებიც, რომლებიც დონით რუმინელებზე დაბლა დგანან და მეტოქესაც შესუსტებული შემადგენლობით უნდა ეთამაშონ. ამის მიზეზი შვიდკაცა ნაკრებია. ცოტა ხანში ჰონკონგში მსოფლიო თასი დაიწყება და რუსებმაც ამ ტურნირზე გააკეთეს აქცენტი. ნაკრების ყველა წამყვანი უკანახაზელი შვიდკაცაში იხმეს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"ბორჯღალოსნებს" მოულოდნელად პაატა ნარიმანიძე დაუბრუნდა.

ჭიდაობა

# თბილისური ახალგაზრდული პირველობა

ბიბა ბურასაშვილი

*დსთ-სა და ბალტიისპირეთის საერთაშორისო ახალგაზრდული თამაშები, რომელსაც 16-25 ივნისს მოსკოვი უმასპინძლებს, რაღაცით საბჭოთა კავშირის ოდინდელი თამაშობების - "სპარტაკიადის" მაგვარია. ახლა, როდესაც აღარც საბჭოთა კავშირია და სპარტაკიადებსაც კარგა ხნის წინ გაუვიდა ყავლი, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა გადაწყვიტეს, ძველი თამაშობანი აღედგინათ, რა თქმა უნდა, განახლებული და სახეშეცვლილი ფორმით. მონაწილეობისთვის კვლავაც "მოძმე რესპუბლიკებს" უხმეს:* Милости просим!

როგორც ცნობილია, მიწვევა ყველას მიუღია, მათ შორის საქართველოს. ასე რომ, ახლა ნაკრების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს. მანამდე კი ამა თუ იმ სახეობაში პირველობები მოეწყობა და შედეგების მიხედვით მოსკოვში წამსვლელთა გუნდიც ჩამოყალიბდება. მასპინძლებმა ახალგაზრდული თამაშების ოფიციალურ პროგრამაში ის სახეობები ჩასვეს, რომელშიც მედლების მოპოვების ყველაზე მეტი შანსი აქვთ. მერე კი დასაპატიჟებელ ქვეყნებს აცნობეს, ამა და ამ სახეობებისთვის გუნდების ჩამოყალიბებას შეუდექითო, თან იმ სახეობათა ნუსხა გაუგზავნეს, რომელშიც სხვებთან ერთად საქართველოს ნაკრებმაც უნდა იასპარეზოს.



იური ლობოდინის ფოტო

თბილისის პირველობაზე ახალგაზრდებმა დიდი ორთაბრძოლები გააჩაღეს.

გუშინ, როდესაც თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა (1986-1988 წლებში დაბადებულ) შორის დაწყებულ თბილისის პირველობაზე მივედი, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის სპორტულმა დირექტორმა მერაბ ჩიქობავამ მითხრა, რომ საქართველოს ნაკრები დაკომპლექტდება ფეხბურთელებით, კალათბურთელებით, ხელბურთელებით, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებით, სამბისტებით, ძიუდოისტებით (ვაჟთა და გოგონათა), მძლეოსნებით, მოფარიკავეებით, მხატვრული ტანმოვარჯიშეებით და მოცურავეებით. ეს, რაც გადაწყვეტილი და გარკვეულია. მერიის სპორტის სამსახურს მოსკოვში წყალბურთელების, წყალში მხტომელებისა და ბერძენ-რომაელების წაყვანაც სურს. ამ საკითხზე, ჩიქობავას თქმით, ჯერ კიდევ მიმდინარეობს მასპინძლებთან მოლაპარაკებაო.

მსგავს თამაშობებზე საქართველოდან წარგზავნილებმა პირველად 2002 წელს იასპარეზეს და მედლებიც მოიხვეჭეს. ქართველი სპორტსმენები ამჯერად მეორედ მიდიან ახალგაზრდულ თამაშებზე და იმედია, ხელცარიელი არც ახლა დაბრუნდებიან.

რაც შეეხება ოლიმპიური მზადების ცენტრში მიმდინარე ბერძენ-რომაელთა თბილისის პირველობას, მასში რვა წინითი კატეგორიის 70-მდე ფალავანი ასპარეზობს. აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრების მონაწილეებიც ახალი წესებით ერკინებიან ერთმანეთს, იმ წესებით, რომლის თაობაზეც თავის დროზე ვიუწყებოდით ოლიმპიური მზადების ცენტრში ცოტა ხნის წინათ გამართული დიდების ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატის დროს. თუ ახალგაზრდული თამაშების მასპინძლები სპორტის ამ სახეობასაც ჩასვამენ ოფიციალურ პროგრამაში, სავსებით შესაძლებელია, თბილისის პირველობის მონაწილეებიდან რამდენიმეს მოსკოვში მოუწიოს გამოსვლა.

ბერძენ-რომაელთა თბილისის პირველობა დღეს დასრულდება, ხვალ კი ესტაფეტას თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაიბარებენ.

ინფოთეკა

### ტაისონმა 300 ათასი მიიღო

ცნობილი ამერიკელი მოკრივე მაიკ ტაისონი საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობას მიიღებს სან-რემოს 55-ე მუსიკალურ ფესტივალში. ამის შესახებ რომაული პრესა იტყობინება.

ფესტივალი პირველ მარტს იხსნება და ვარაუდობენ, რომ წამყვანი მოკრივისგან დეტალურ ინტერვიუს აიღებენ. ფესტივალში მონაწილეობისთვის ტაისონი 300 ათას დოლარს მიიღებს, მაგრამ იტალიაში ორთაბრძოლის გამართვას "რკინის მაიკი" არ აპირებს.

### "ჯორდანმა" ტესტ-პილოტის ვინაობა დაასახელა

ჰოლანდიელი ავტომრბოლი ნიკი პასტორელი ფორმულა 1-ის გუნდ "ჯორდანის" ახალ ტესტ-პილოტად დაასახელეს. "ევრო 3000"-ში შარშანდელი სეზონის 21 წლის გამარჯვებული ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭეს "მინარდის" გუნდში პირველად იანვარში მიუჯდა.

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 23 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "რეალი" - "იუვენტუსი"
14:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ბავარია" - "არსენალი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:20 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
17:50 "FUTBOL MUNDIAL"
18:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ლივერპული" - "ბაიერი"
20:15 თავისუფალი დარტყმა
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პსვ - "მონაკო"
22:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ბარსელონა" - "ჩელსი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ვერდერი" - "ლიონი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 19:15, 21:15 პრესცენტრი
10:20, 21:30 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "ჰოკეი - პლუს"
11:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
12:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
12:30 "ბილიარდის მეუფენი"
13:15 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
13:50 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Festival on Ice"
14:50 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. "მეტალურგი" - "ხიმიკი". პირდაპირი ტრანსლაცია
17:20 ბილიარდი "US Open". მე-8 ნაწილი
18:30 სუპერკროსი. პარიზის სპორტის სასახლე "ბერსი"
19:30 "ვატერპოლე"
20:00 "სპორტისიმო"
20:45 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:40 სინქრონული ცურვა. რუსეთის ღია თასი. კომბინირებული პროგრამა. სოლო. საჩვენებელი პროგრამა
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მილანი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები
00:50 "ვატერპოლე"
01:20 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი - ევროგოლები
12:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. სპრინტი
13:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ყატარში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
17:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. გუნდური ესტაფეტა 4X5 კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ყატარში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 შვედეთის რალი
22:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
22:30 გოლფი. სპეციალური მიმოხილვა
00:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
00:15 მულტისპორტი. იტალია-2006
00:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
01:45 ახალი ამბები
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ზურაბიშვილი

## აფხაზეთის მთავრობის მიერ შემუშავებული, კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი პრინციპები

*საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები ორ მოძმე ხალხს შორის კონსენსუსის გზით მიღწეულ შეთანხმებაშია, რომელიც მათი თანაცხოვრების და თანასწორობის პრინციპს ეფუძნება. საქართველოს ხელისუფლება მზად არის, შეიმუშაოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ აფხაზეთის განსაკუთრებულ პოლიტიკურ სამართლებრივ სტატუსს, მის კულტურულ, ეთნიკურ, ენობრივ და ეკონომიკურ ავტონომიურობას.*

■ ქართული სახელმწიფო იქნება აფხაზი ერის კულტურული თვითმყოფადობის, ენის, ისტორიის, ეროვნული იდენტურობის დაცვის, აგრეთვე, აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების და პოლიტიკური უსაფრთხოების გარანტი.

■ კონფლიქტის მოწესრიგების და ნდობის აღდგენის ქვაკუთხედს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესის განხორციელება ეტაპობრივად, შემჭიდროებულ ვადებში და შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფით, პარიტეტულ საწყისებზე შერეული ადმინისტრაციების შექმნით და საერთაშორისო ზედამხედველობით.

■ მიზანშეწონილია, შეიქმნას ქართულ-აფხაზური საინფორმაციო ცენტრი სოხუმსა და თბილისში, რომელიც ნდობის განმტკიცების, სამართლიანი თანაცხოვრების, მოლაპარაკებების პროცესის მიმდინარეობის საინფორმაციო უზრუნველყოფას განახორციელებს.

■ საქართველოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნების პირობებში, განახორციელოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა, სოციალური დაცვის პროექტების რეალიზაცია, ბიზნესის განვითარება და არსებული ეკონომიკური სანქციების მოხსნა.

■ გარდამავალი პერიოდი განისაზღვროს ოთხი წლით, სადაც წლების მიხედვით იქნება გაწერილი საქართველოს ხელისუფლების, აფხაზური მხარის და კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართული საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან გადასადგმელი ნაბიჯები.

■ საქართველო უზრუნველყოფს აფხაზეთის ფართო მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო ხელისუფლებაში.

■ აფხაზეთს ექნება სრული მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების უფლება (თავიდან არ ვახსენებთ ფედერალიზმს).

■ საქართველო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას (გაერო, ევროკავშირი, აშშ, უკრაინა, რუსეთი), შეასრულოს აფხაზეთის განსაკუთრებული პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის გარანტის ფუნქცია.

## შეხვედრა ზუგდიდში

ლელა მარგიანი

*18 თებერვალს, ზუგდიდში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილიალში ჩატარდა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისიდან ჩასული სტუმრები და ზუგდიდის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის აფხაზური ენის შემსწავლელი ჯგუფის სტუდენტები.*

შეხვედრის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები", რომელიც დაფუძნდა 2003 წელს თბილისში და რომლის დამფუძნებლები არიან ბატონი რეზო ბენდელიანი და ოთხი აფხაზი ქალბატონი. ორგანიზაცია მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოში მაცხოვრებელ სამი ათასამდე შერეულ ქართულ-აფხაზურ ოჯახს, აღადგინოს კონფლიქტის შედეგად შეწყვეტილი ნათესაური კავშირები. ამავე დროს, მოამზადოს შერეული ოჯახების წევრები იმისთვის, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შემთხვევაში, ღირსეული მონაწილეობა მიიღონ აფხაზეთში სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესებში. ორგანიზაციის წევრების აზრით, აღნიშნულ საკითხში დიდი როლი უნდა ითამაშოს შერეული ოჯახებიდან გამოსულმა ახალგაზრდობამ, კერძოდ, სტუდენტობამ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ზუგდიდის ფილიალში გამართული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 150-მა სტუდენტმა, რომელთა უმეტესობა შერეული ოჯახების შვილები არიან. სწორედ მათ მიერ დაფუძნდა ახალგაზრდული ორგანიზაცია. ენგურის ხიდთან ახლოს ცხოვრობს აფხაზეთიდან დევნილი ათასობით ახალგაზრდა, რომელთაც ჰყავთ მეორე მხარეს დარჩენილი აფხაზი ნათესავები, ხოლო ზუგდიდის შემდეგ მსგავსი შეხვედრები ჩატარდება ქუთაისსა და თბილისში.

**"მათ ჩვენს ორგანიზაციაში გაერთიანების შემდეგ ჩაუტარდებათ ტრენინგები კონფლიქტოლოგიაში. გვინდა შერეული ოჯახების წარმომადგენელი ქართველი და აფხაზი სტუდენტები ზაფხულში ერთმანეთს შევახვედროთ. ეს საკითხი უკვე შეთანხმებულია აფხაზურ მხარესთან და ისინი ასეთ თანამშრომლობაზე თანახმა არიან. წინასწარ საუბარი გვქონდა ერთ-ერთ თანამდებობის პირთან, რომლის გვარსაც, გასაგები მიზეზების გამო, ვერ დავასახელებ. მან გვითხრა, რომ ისინი მიესალმებიან ყველა იმ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც ორივე მხარისთვის იქნება მისაღები,"** - გვითხრა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა რეზო ბენდელიანმა.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები სწავლობენ აფხაზურ ენას, რომელიც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. სახალხო დიპლომატიის კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ აფხაზური ენის შესწავლა აფხაზ თანატოლებთან ურთიერთობას გააადვილებს. ამავე დროს, **"კიდევ ერთხელ გვინდა, აფხაზურ მხარეს ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ მხოლოდ მშვიდობა გვინდა და მხოლოდ მშვიდობიანი გზით ვაპირებთ აფხაზეთში დაბრუნებას,"** - აღნიშნა რეზო ბენდელიანმა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელსაც კონფლიქტის მოგვარების საქმეში ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების არსებობა სერიოზულ რესურსად მიაჩნია, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით უკვე დაიწყო სამთვიანი პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებში მოხდება დევნილი შერეული ოჯახების სოციოლოგიური გამოკითხვა. ორგანიზაციის წევრებმა შეადგინეს სპეციალური კითხვარი, რომლის მონაცემების გათვალისწინება შერეული ოჯახების მოძიებას ძალიან შეუწყობს ხელს და მათ დაკარგულ ნათესავებთან შეხვედრაში დაეხმარება.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**
**პროექტი "თქვენი აფხაზეთი" უკვე ვირტუალურ სივრცეშია!**
**www.yourabkhazia.ge; forum.yourabkhazia.ge**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# კონსტრუქციული დიალოგის მოლოდინში

ზაზა ფაჩუაშვილი

*ქართული მხარე იმედოვნებს, რომ მალე აფხაზურ მხარესთან კონსტრუქციული დიალოგის გამართვა შესაძლებელი იქნება, თუმცა მანამდე თავად უნდა ჩამოვყალიბდეთ - რა გვინდა და რა უნდა შევთავაზოთ აფხაზურ მხარეს. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს დევნილი მოსახლეობის მძიმე სოციალური ვითარება, თორემ, მათი მხარდაჭერის გარეშე, სახელმწიფო მოწყობაზე და აფხაზეთის განსაკუთრებულ სტატუსზე საუბარს, უბრალოდ, აზრი ეკარგება. ამ საკითხებთან დაკავშირებით დიალოგში მონაწილეობენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ჩიქოვანი და აფხაზეთიდან დევნილი, იურისტი კობა ჩოფლიანი.*



გიორგი ჩიქოვანი



კობა ჩოფლიანი

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

**გია ჩიქოვანი:** "კონცეფციაზე მუშაობა მიმდინარეობს. თქვენ იცით, რომ წარმოდგენილია რამდენიმე კონცეფცია. მათ შორის ყველაზე საფუძვლიანი ნაშრომია ზაქარეიშვილი-კუბლაშვილისა და ავტორთა ჯგუფის კონცეფცია, თუმცა ბევრ რამეს არ ვეთანხმები და მთელი რიგი საკითხებისა დასახვეწია. ამის გარდა, ჩვენ გვაქვს ბატონი გიორგი ხუბუას, ბატონი ვახტანგ თორდიას, ბატონი ნოდარ ნათაძისა და სხვა კონცეფციები. აფხაზეთის მთავრობამაც განვსაზღვრეთ პრინციპები.

ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებაში დავიწყეთ აქტიური მუშაობა. უმაღლეს საბჭოსთან შექმნილია სპეციალური კომისია, სადაც შედიან ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. პირველი სხდომა უკვე ჩატარდა.

აფხაზეთის მთავრობაში ჩავატარეთ თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი სტრუქტურების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უნივერსიტეტის, აკადემიისა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები. ყველას დავურიგეთ არსებული კონცეფციები და დაიწყო აქტიური მუშაობა. მიგვაჩნია, რომ ის, რასაც საბოლოოდ სახელმწიფო შეიმუშავებს, ერთი კაცის, ან ჯგუფის ნააზრევი არ უნდა იყოს. ეს ხალხის ნება უნდა იყოს."

**- სავარაუდოდ, როდის დამთავრდება მუშაობა კონცეფციაზე?**

- ამასთან დაკავშირებით, თუ ბატონი პრეზიდენტის დავალებას გავიხსენებთ, ეს საკმაოდ ჩქარა უნდა მოხდეს. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე სიჩქარე არ გვმართებს.

მეორე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ჯერ ჩვენ, ქართული მხარე უნდა შევთანხმდეთ, თუ რა უნდა შევთავაზოთ აფხაზურ მხარეს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ეტაპზე აფხაზურ მხარეს რაც არ უნდა შევთავაზოთ, ყველაფერზე უარს გვეტყვის. ამიტომ, შეთანხმება უნდა მოხდეს აფხაზურ მხარესთანაც. ამისთვის კი სულ სხვა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ (რომ აფხაზური მხარე წამოვიდეს განხილვაზე), რასაც შეძლებისდაგვარად ვაკეთებთ კიდეც. ვიმედოვნებთ, რომ აფხაზურ მხარესთან ახლო მომავალში შეგვეძლება კონსტრუქციული დიალოგის გამართვა.

**- ცნობილია, რომ ჩვენ აფხაზური მხარისგან ველოდებით ადამიანს, რომელსაც აფხაზეთის ახალი ხელისუფლება ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების გამართვის უფლებამოსილებას მიანიჭებს.**

- დიახ, ჩვენ ველოდებით ასეთ ადამიანს და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ იქნება იგი. რა თქმა უნდა, ის პიროვნება ჩვენი კონცეფციის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს.

**- თქვენი აზრით, როგორი სახელმწიფოებრივი მოწყობა შეიძლება შევთავაზოთ აფხაზურ მხარეს?**

**გია ჩიქოვანი:** "ამასთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში კარგა ხანია, მსჯელობა მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, რომ არიან ფედერალისტები და არიან უნიტარისტები.

მე კი მიმაჩნია, რომ ცალსახად არ უნდა განვსაზღვროთ, უნიტარისტული იქნება ჩვენი სახელმწიფო თუ არა. ვინაიდან არაორდინარულ ვითარებაში ვიმყოფებით, საუბარი უნდა იყოს აფხაზეთის განსაკუთრებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსზე საქართველოს შემადგენლობაში. და აქ შეიძლება იყოს ელემენტები უნიტარისტული, ან ფედერალური სახელმწიფოსი. ამიტომ ვფიქრობ, რომ წინასწარ ყველაფრის განსაზღვრა არ გვმართებს. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, შექმნილ ვითარებაში რისი შეთავაზება შეიძლება, რომ საერთო ჯამში, ქართველებსა და აფხაზებს შორის შეთანხმება შედგეს.

აქვე უნდა ითქვას შემდეგი: არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ აფხაზებს ვთავაზობთ და აფხაზებს ვაძლევთ რაღაცას. უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთში ქართველებმაც უნდა ვიცხოვროთ და ეს შეთავაზება აფხაზებთან ერთად ქართველებსაც შეეხება და ყველა იმ ეროვნებას, რომელიც აფხაზეთში იცხოვრებს."

**კობა ჩოფლიანი:** "პირველ ყოვლისა, უნდა ვიკითხოთ, ჩვენ რას ვთავაზობთ საკუთარ თავს. როგორ ვხედავთ საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას და აფხაზების ადგილს ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, საუბრები ფედერალიზმზე და უნიტარიზმზე ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ, პირველ ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რაზეც უნდა აეწყოს ჩვენი მომავალი - კონცეფცია ტერიტორიული მოწყობის შესახებ და კონცეფცია აფხაზეთის სტატუსის შესახებ.

პირველი და უმთავრესი არის ის, რომ ამ კონცეფციებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მეორე მოთხოვნა, რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს, არის ის, რომ კონცეფცია ხელს უნდა უწყობდეს არსებული ვითარების გაუმჯობესებას და ქმნიდეს საამისო სისტემას, რომელიც გრძელვადიანი იქნება.

მესამე, ეს კონცეფციები ძალიან მკაფიოდ და მყარად უნდა იცავდეს ადამიანის უფლებებს. დისკრიმინაცია არც ერთი ნიშნით არ უნდა ხდებოდეს. აი, ამ ხერხემალზე უნდა აიგოს ყველა კონცეფცია.

ასევე გასათვალისწინებელია ის, თუ ვინ იქნება ამ კონცეფციის მომხმარებელი. სამწუხაროდ, აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება, გარდა მათი დამოუკიდებლობის აღიარებისა, დღეს ჩვენგან არაფერს მიიღებს. ამიტომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ რიგით აფხაზზე. ჯერ უნდა შევქმნათ მათდამი კეთილგანწყობილი კონცეფცია და შემდეგ ამ კონცეფციის აფხაზების ყურამდე მიტანა უზრუნველვყოთ. ჩვენ უნდა გავაგებინოთ რიგით აფხაზებს, თუ როგორი გულწრფელი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გვაქვს მათდამი. თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ აფხაზ მოსახლეობაში ნდობას მოვიპოვებთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ის ფართო ავტონომია, რომელსაც ჩვენ აფხაზებს შევთავაზებთ, პროპაგანდირებული უნდა იყოს, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიაშიც, ვინაიდან მათ გაცილებით ნაკლები უფლებები აქვთ იმასთან დაკავშირებით, რასაც ჩვენ აფხაზებს ვთავაზობთ. ჩემი აზრით, საქმისადმი ასეთი მიდგომა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაზე დადებითად იმოქმედებს."

**- ჩვენ ყველამ ვნახეთ ბაგაფშის ინაუგურაცია, რამდენად იძლევა ეს ოპტიმიზმის საფუძველს?**

**გია ჩიქოვანი:** "ამდაგვარი განცხადებების მოსმენისას ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, შეიძლება თუ არა რაიმე კონსტრუქციული თანამშრომლობის მიღწევა, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ყველაფრის მიუხედავად, აფხაზურ მხარესთან კონსტრუქციული დიალოგის მიღწევა მაინც შესაძლებელია. რა თქმა უნდა, აფხაზები საქართველოდან, ჯერჯერობით, მხოლოდ საშიშროებას ელიან და ამის გამო რუსეთს ეკედლებიან, მაგრამ აფხაზთა უმრავლესობამ ძალიან კარგად იცის, რომ აფხაზეთს რუსეთთან მომავალი არ გააჩნია. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ისეთი პირობები შექმნილი, რომ აფხაზებს თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ და საქართველოსკენ გადმოხრილიყვნენ. აფხაზები ჯერ არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენ რევანშისტები არ ვართ. სინამდვილეში, დღეს სულ სხვა მიდგომაა, ჩვენ ვფიქრობთ მშვიდობიან თანაცხოვრებაზე. მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია და ჩვენ უნდა ვაგრძნობინოთ აფხაზებს, რომ გულწრფელად ვამბობთ ამას.

**კობა ჩოფლიანი**: "ყოველ ისტორიულ ეპოქას გააჩნია თავისი სულისკვეთება და მახასიათებელი ნიშნები. ინაუგურაციის ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დარბაზში ისხდნენ წარსული ეპოქის, საბჭოთა სულისკვეთების ადამიანები, რომელთა ერთადერთი ოცნება სსრკ-ს აღდგენაა. ამ ინაუგურაციამ კიდევ უფრო დამარწმუნა იმაში, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდება და იმაზე ადრე, ვიდრე გვეგონა. ისტორიას ვერავინ შეაჩერებს, მით უმეტეს, ასეთი ხალხი, რომელიც ისტორიის წინაშე მარცხისთვის არის განწირული.

**- ინაუგურაციაზე ომახიანად გამოვიდნენ რუსეთის ოფიციალური პირებიც, რომლებიც, რა თქმა უნდა, პუტინის დაუკითხავად ამას ვერ გაბედავდნენ.**

**გია ჩიქოვანი:** "უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა. ადრე ვლაპარაკობდით ორი რუსეთის არსებობაზე - დემოკრატიული და რეაქციული, მაგრამ ახლა უკვე ნათელია, რომ რუსული პოლიტიკა არის ერთი. თავიდან, ვითომ ინილბებოდნენ კომერციული სტრუქტურებით, ახლა ყველაფერი გამოააშკარავეს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია და ჩვენ ხმამაღლა უნდა ვთქვათ, რომ რუსეთის ფაქტორი როცა განეიტრალდება, ჩვენ და აფხაზები უპრობლემოდ შევრიგდებით.

**კობა ჩოფლიანი:** "დიდად გასაკვირი არაფერი მომხდარა, რუსეთი დღეს, ისევე როგორც ბოლო 200 წლის განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიების მიტაცებას ცდილობს. ისინი ჩუქნიან აფხაზებს 1000 ტონა ხორბალს, მაგრამ ართმევენ მიწას. ინაუგურაციის დღესაც კი სამეტყველო ენა რუსული იყო. აშკარაა, რომ თვითგამოცხადებული აფხაზეთის დამოუკიდებლობისგან არაფერი დარჩა.

**- რუსლან ქიშმარიას ინტერვიუში გაიჟღერა ფრაზამ, რომ თუ საქართველო გახდება მიმზიდველი, აფხაზები თავად წამოვლენ ჩვენსკენ. თქვენი აზრით, რამდენად მართებული მოსაზრებაა?**

**გია ჩიქოვანი:** "საქართველო მართლა არ არის მიმზიდველი, მაგრამ პროცესები იქითკენ მიდის. ამის გარეშე სხვადასხვა კონცეფციების განხილვასა და სტატუსებზე საუბარს აზრიც არ ექნება.

**კობა ჩოფლიანი:** "ბუნებრივია, როცა საქართველო მიმზიდველი გახდება, ხალხის გადინების ნაცვლად, დაიწყება შრომითი მიგრანტების შემოსვლა. ცხადია, ასეთი ვითარება ჩვენს აფხაზ მოქალაქეებზეც დადებითად იმოქმედებს.

**გია ჩიქოვანი:** "ბოლოს ერთი ფაქტის აღნიშვნაც მინდა. როდესაც ვსაუბრობთ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზებზე, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია, აფხაზეთის განსაკუთრებულ სტატუსზე და ა.შ. გვავიწყდება, რომ საქართველოში 250 ათასამდე დევნილი გვყავს. ეს უმწვავესი პრობლემაა. ყოველგვარი ემოციების გარეშე მინდა ვთქვა, რომ ხალხი უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ძალიან არასასურველი შედეგი მივიღოთ. ჯერჯერობით, ახალი ხელისუფლების მიმართ ნდობის მანდატი ისევ დიდია და ამ ეტაპზე არასასურველი პროცესების განვითარებისაგან დაზღვეულები ვართ, მაგრამ ხალხის მოთმინება უსაზღვრო არ არის და ეს უნდა გვახსოვდეს. სახელმწიფომ უნდა გამონახოს საშუალება, რომ დევნილებს მძიმე სოციალური პირობები რამენაირად შეუცვალოს. ქვეყანაში ხელფასებისა და პენსიების გაზრდის ფონზე დევნილთა მიზერული შემწეობების იგივე ოდენობით დატოვება, უბრალოდ, გაუმართლებელია. დევნილთა საცხოვრებელი პირობები კი თანდათან უარესდება. მაგალითად, ადრე ჯანდაცვის პროგრამები გვქონდა და, ასე თუ ისე, დევნილთა მკურნალობას ვახერხებდით. ახლა ასე აღარ არის. მხოლოდ თბილისის მერია აფინანსებს შესაბამის პროგრამებს. თბილისის გარეთ მცხოვრები დევნილები კი შეღავათიან სამედიცინო მომსახურებას მოკლებულნი არიან. ასე თუ გაგრძელდა, დევნილების ნდობას დავკარგავთ.

**კობა ჩოფლიანი:** "მე, როგორც დევნილს, შემიძლია ვთქვა, რომ სასოწარკვეთილების გრძნობა ამ ბოლო დროს იმედით შეიცვალა და არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს ილუზორული იქნება. დევნილები გაჭირვებას გაგებით ეკიდებიან და ყველაფერს პატიოსნად იტანენ, მაგრამ პატიოსნება ორმხრივი უნდა იყოს.

აფხაზური ისტორიები

# არჩევანი

რემონტი იმ სახლში უნდა გაგვეკეთებინა, სადაც მათ საარჩევნო შტაბი ჰქონდათ.

მათი საარჩევნო შტაბის შესასვლელი ქუჩის მხრიდან იყო, ხოლო ჩვენ შიდა ეზოს მხარეს ვმუშაობდით. ვტვირთავდით ნაგავს - ფიცრებს, ძველ პარკეტს, მოკლედ, ყველაფერს, რაც შეშად გამოგვადგებოდა. ამავე დროს, სამშენებლო ნაგავს ტომრებში ვყრიდით. აი, ასე ვშრომობდით...

მუშაობაში გართულები, ნაგავში წავაწყდით...უნიტაზს. ამოვათრიეთ ნაგვიდან. არა უშავდა, კარგად იყო შენახული, ჯერ კიდევ გამოდგებოდა. მაინც სახლის პატრონს დავეკითხეთ და როდესაც დავადგინეთ, რომ უნიტაზი მას არაფერში არ სჭირდებოდა, წამოღება დავუპირეთ.

ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რომ თურმე რომელიღაც მეზობელს მასზე თვალი ეჭირა. მოკლედ, გამოგვივარდა ის მეზობელი ქალი, აგვიტეხა ყვირილი. სანამ ჩემი მეწყვილე მასთან საქმის ვითარებას არკვევდა, მე უნიტაზი მხარზე შემოვიგდე და იქაურობას სასწრაფოდ გავეცალე.

ეზოდან გასული კი, ქუჩაში, ხალხის ბრბოში აღმოვჩნდი. ისინი იდგნენ, "მიტინგობდნენ". რაღაცას გამწარებულები ყვიროდნენ და ჩხუბობდნენ. ხალხი სერიოზული საკითხებით იყო დაკავებული - იყო საქმის გარჩევა, ყვირილი, გმინვა. მე კი, მხარზე შემოგდებული უნიტაზით, შუაგულში აღმოვჩნდი.

მათ ჩემი თავი სულაც არ ჰქონდათ: არავის არაფერი უკითხავს - ხალხი სერიოზული საკითხებით იყო დაკავებული, ჩემთვის არ ეცალათ...(ირგვლივ ისმოდა შეძახილები: "ბაგაფში გვინდა!" "ჩვენ გავიმარჯვებთ!")

...მე არჩევნებზე არ წავსულვარ. რა თქმა უნდა, შემეძლო წასვლა, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, სულაც არ მაინტერესებდა...დარწმუნებული ვარ, რომ ამით ჩემი ცხოვრება არ შეიცვლება. ვინც არ უნდა მოვიდეს, ისევ ისე იქნება ყველაფერი...აი, მხოლოდ ესაა მიზეზი. ჩემი ცხოვრება ამით არ შე-იც-ვლე-ბა!

შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც არა მგონია, რამე შეიცვალოს. აი, ასე.

...აი, გამოვათრიეთ სამშვიდობოს ეს უნიტაზი, თან ვიღაცის "ლუსტრაც" წამოვაყოლეთ.

გავყიდეთ ორივე - ფული ძმურად გავიყავით. აი, ასე - იმის ნაცვლად, რომ ხმის მისაცემად წავსულიყავი, ცოტა ფული ვიშოვე! ეს უფრო სასარგებლო აღმოჩნდა ჩემთვის, ვიდრე არჩევნები!

***რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი***

***პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.***

## TV პროგრამა

23 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "სიყვარულის ფორმულა" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი"-"არსენალი" **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.30** ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა"-"ჩელსი" **03.45** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. ბენ ჯონსონი. **07.05** მოგზაურობა ჩაადში. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** გადაცემა: რეპორტაჟი ბუნებრივი და ინდუსტრიული კატასტროფების შესახებ. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** "ოტპიერი" მხ. ფილმი. რეჟისორი ჟან-ივ პიტუნი. 2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** ფილმის პორტრეტი. დოკ. ფილმი. **23.00** ერთი ფილმის ბედისწერა. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **04.20** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

### [logo]

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დიდი გამყინვარება" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - ნაირა გელაშვილი **16.30** დოკ. ფილმი "საიდუმლო ადგილები" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ნოეს კიდობანი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ქარალის დაკარგული პირამიდები" **23.00** ახალი პროექტი - "განზომილება სადღეგრძელო" **23.30** კინოსამყარო "გაქცევა" (გ) **02.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "დიდი პრიზი" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "საშიში პირები" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "იტირე საყვარელო ქვეყანავ" (12) (ჯეიმს ერლ ჯონსი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. ფილმი "დიზაინი" **20.55** დოკ. ფილმი "სისი დედოფლობისთვის დაბადებული" **21.45** ექსცენტრიკოსები **22.10** კინოსეანსი "წითური"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ორი ბედი" **12.40, 16.25, 02.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მუსოლინი და მე" მე-2ნ. **14.25, 17.10, 02.35** იმედის მელოდიები **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "უცნობი საქართველო" **23.45** მხ. ფილმი "პან თადეუში" (გ) (რეჟ. ა. ვაიდა)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.30** სათავგ. ფილმი "განძი" **11.00** მუსიკა **11.30** ფანტასტიკა "გატაკა" **13.15** მუსიკა **13.30** თრილერი "თოვლით დაბრმავება" **15.40** მუსიკა **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** კომედია "საქორწილო წვეულება" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** თრილერი "სისხლიანი სამუშაო" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მხ. ფილმი "ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"

### ОРТ

**06.00, 10.00, 15.00, 18.00** Новости. **06.10** "Кривое зеркало". **07.10** Георгий Жженов в фильме **"ЧЕЛОВЕК НА СДАЕТСЯ"** **08.50** Телесериал **"КАВАЛЕРЫ МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ". 10.10** Михаил Пуговкин в комедии **"ГОДЕН К НЕСТРОЕВОЙ" 11.40** Михаил Ульянов в фильме **"ВЕЛИКИЙ ПОЛКОВОДЕЦ ГЕОРГИЙ ЖУКОВ" 14.10** Лев Лещенко, Валерия в праздничном концерте **16.10** Леонид Быков в боевой комедии **"МАКСИМ ПЕРЕПЕЛИЦА". 18.10** "Смешные люди". Праздничный выпуск. **19.50** Телесериал **"КАВАЛЕРЫ МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ". 21.00** Время. **21.20** Александр Балуев в боевике **"МАРШ-БРОСОК" 23.30** 15 лет группе "Любэ". Юбилейный концерт. **01.10** Влодзимеж Голачинський в фильме **"ПОХИЩЕНИЕ "САВОЙИ". 02.50** Шэкил О'Нил в приключенческом фильме **"КАЗААМ"**. Маленький Макс Коннор очень одинок. Отец с матерью развелись, когда ему было 2 года, а он все мечтает, что они помирятся. У мамы новый друг, который малышу совсем не по душе. Мальчишки в школе и на улицах все время его бьют и обижают. Однажды, убегая от хулиганов, Макс проваливается в подвал какого-то старого дома. Тут-то и происходит чудо: ото сна пробуждается настоящий джин Казаам, и, как водится предлагает Максу загадать три желания... **04.20** Приключенческий сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 05.10** Новые чудеса света. "Дом культуры для аборигенов".

### НТВ

**06.00** Бурвиль в комедии **"БОЛЬШАЯ ПРОГУЛКА" 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Валентина Серова в комедии **"СЕРДЦА ЧЕТЫРЕХ". 10.20** Премьера. "В.С. Возлюбленная солдата". **11.25** Василий Шлыков в боевике **"ЧЕРНЫЕ БЕРЕТЫ". 13.15** Анатолий Кузнецов в фильме **"БЕЛОЕ СОЛНЦЕ ПУСТЫНИ" 14.55** "Юбилей". 35 лет кинофильму "Белое солнце пустыни". **16.15** Премьера. "Зато мы делаем ракеты". Фильм Алексея Поборцева. **16.50** Светлана Ходченкова в фильме **"БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ" 21.50** "Операция "Праздник". Праздничный концерт в День защитника Отечества с участием. **23.40** Юрий Берднинков в детективе **"КРИМИНАЛЬНЫЙ ОТДЕЛ"**. Похитили девочку Женю, взволнованная мать обращается к старому милицейскому другу, полковнику Кравцову, с просьбой о помощи, тот присылает двух толковых оперативников Грибова и Григорьева, только что получивших выволочку от своего начальника за превышение полномочий. Полковник же, объясняет задачу: расследование провести незаметно, так как в письме от похитителей сказано, что девочка будет убита, если вмешается милиция, и дает им десять суток отпуска. Отчим Жени, крупный бизнесмен, категорически против сотрудничества с милицией, он подготовил требуемый миллион долларов и готов встретиться с похитителями... **01.20 Футбол. Лига чемпионов. "БАРСЕЛОНА" - "ЧЕЛСИ". 03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Остросюжетный сериал **"БЕЗ СЛЕДА-II". 05.35** Профессия - репортер.

---


სახელი ______ მისამართი
გვარი ______
ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______
სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს [illegible], თამამ, მონდომებულ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ იქნებით გამოსახული, [illegible]. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. [illegible]


---

## სკანვორდი



ვაშლის ღვინო

- წინადადების მთავარი წევრი
- ახალი ზელანდიის დედაქალაქი
- "მილანის" კაპიტანი
- მადონა ***
- II ნოტი
- დაავადების უმაღლესი სტადია
- მოზრდილი თევზი
- ევროპის ნახევარკუნძული
- საჭადრაკო კომპოზიციის ავტორი
- ესე იგი
- V ასო
- ფეხბურთელი ტიერი ***
- ბაშკირეთის დედაქალაქი
- ბოსტნეული მცენარე
- მიმართვა ფრანგი მამაკაცისადმი
- ფრანგი მსახიობი მორის ***
- აშშ-ს პირველი ლედი
- მდინარე სამხრეთ ამერიკაში
- ლამაზად წერის ხელოვნება
- მდინარე საფრანგეთში
- ამირანის დედა
- V ნოტი
- *** კასკადი
- ლარი ანუ

საკანვორდის პასუხები: [illegible]



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
“ნუგზარი და მეფისტოფელი”
რეჟისორი: გიორგი თავაძე
ფასი: 2-5 ლარამდე.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ფრანგული ფილმების რეტროსპექტივა
დას: 19:00 სთ.

**რუსთაველი**
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 11:30; 14:00; 16:30; 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

## გალერეები

**ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
რუსუდან ბერიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (მხატვრული ქსოვილები)

**TMS**
ხუტა ირემაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა (ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ეროვნული გალერეა**
იზა მღებრიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზი**
პლაკატებისა და მხატვრული ფოტოს გამოფენა
(პროექტ - "აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების
პრევენცია ახალგაზრდებს შორის" - ფარგლებში)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# გასტროლებზე მოსკოვში

გუშინ თავისუფალი თეატრის დასი საგასტროლოდ მოსკოვში გაემგზავრა. 23 და 24 თებერვალს ქართველი მსახიობები "თეატრ-კლოუნადას" სცენაზე ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლს "კომედიანტებს" ითამაშებენ. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: რამაზ იოსელიანი, ნიკო გომელაური, სლავა ნათენაძე, ირა მეღვინეთუხუცესი და მაია დობორჯგინიძე.

"თავისუფალი თეატრი" "თეატრ-კლოუნადას" სცენაზე სპექტაკლებს ყოველთვიურად გამართავს. მარტში თბილისელი მსახიობები ამავე სცენაზე სპექტაკლ "აჩრდილებს" წარადგენენ.

***ინტერ-პრესი***

# პირველი ჯაზური აუქციონი ნიუ იორკში



სალი ბოკერია

ლეგენდარული ჯაზმენის, ჩარლი პარკერის ალტ-საქსოფონი ნიუ იორკის აუქციონზე 261 ათას დოლარად გაიყიდა. მუსიკოსის გარდაცვალების შემდეგ ინსტრუმენტი 50 წელი მის ქვრივთან ინახებოდა, ნახევარი საუკუნის შემდეგ კი აუქციონზეც გაიტანეს. თუმცა საქსოფონი ერთადერთი ნივთი არ ყოფილა, რომელიც აუქციონზე იქნა გატანილი. სხვა ლოტებს შორის იყო ლუი არმსტრონგის, დიზი გილესპისა და ჯონი კოლტრეინის ნივთებიც.

აუქციონის სახლის Guernsey-ის წარმომადგენლის სიტყვებით, რომელიც ღონისძიების ორგანიზატორი გახლავთ, ეს იყო პირველი შემთხვევა, ამერიკის აუქციონების ისტორიაში, რომელიც მთლიანად ჯაზს მიეძღვნა.

გასაყიდად გამოტანილ სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებსაც უკვე საკუთარი მფლობელები ჰყავთ, იყო ბენი გუდმენის კლარნეტი, ლაიონელ ჰემპტონის ვიბრაფონი და დიზი გილესპის საყვირი.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად იმავე აუქციონის კატალოგში ჯონ კოლტრეინის საქსოფონიც იყო მითითებული, მაგრამ ვინაიდან აუქციონზე გატანილმა ნივთმა მინიმალურ ზღვარს - ნახევარ მილიონს ვერ მიაღწია, მისმა მფლობელმა საქსოფონი აუქციონიდან მოხსნა.

მყიდველებს შორის, ასევე, პოპულარობით სარგებლობდა, ცნობილ ჯაზმენთა ხელნაწერები, მათ შორის კოლტრეინის სიმღერის A Love Supreme-ის სამგვერდიანი მუსიკალური ჩანიშვნები, რომელიც 129 ათას დოლარად გაიყიდა. ასევე, გაიყიდა არმსტრონგის მიერ აგენტისადმი მიწერილი წერილი - დაახლოებით 30 ათას დოლარად. გამოიფინა ტანისამოსის აქსესუარები და სხვა პირადი ნივთებიც. მაგალითად, ჩარლი პარკერის ოქროს ჯიბის საათი, რომელიც თითქმის 13 ათას დოლარად გაიყიდა და პიანისტ თელონიუს მონკის სმოკინგი.

მონკის ვაჟის თქმით, აუქციონი “კურთხეულ რიტუალს” ჰგავდა. “ისინი ჩვენს გულებში დღემდე ცოცხლები არიან”, - იმ მუსიკოსთა თაობაზე აცხადებს მონკის ვაჟი, რომელთა ნივთებიც აუქციონზე იყო გამოტანილი.

კომპანია Guernsey-ის პრეზიდენტის, არლან ეტინგერის თქმით, ჯაზ-აუქციონის იდეის განხორციელება ფირმაში ჯერ კიდევ ათი წლის წინათ გასჩენიათ, თუმცა იდეისთვის ხორცშესხმა მხოლოდ დღეს გახდა შესაძლებელი, ანუ მაშინ, როდესაც მათ წამოწყებას თავად მუსიკოსთა ახლობლებმა აუბეს მხარი. მისივე თქმით, ბევრ მათგანს განზრახული აქვს აუქციონიდან შემოსული თანხა საქველმოქმედო საქმიანობას მოახმაროს.

საგულისხმოა ისიც, რომ აუქციონზე გატანილი ნივთების უმრავლესობა საზოგადოების წინაშე აქამდე არასდროს გამოეფინათ. მუსიკოსთა ოჯახებმა მათთვის წმინდა ნივთებზე მხოლოდ იმიტომ თქვეს უარი, რომ წარსულის ნივთები ვიღაცას მომავალში დაეხმარება!

# პრემიერ-მინისტრი მელომანების სამსახურში



ირლანდიური როკ-ჯგუფის U2-ს კანადელმა თაყვანისმცემლებმა, აღშფოთებულებმა იმით, რომ ჯგუფის საკონცერტო ტურნეში ვერ ამოიკითხეს მშობლიური ქალაქის - ოტავას სახელი, დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება. მელომანთა ერთადერთი მოთხოვნა ქალაქში U2-ს დამატებითი კონცერტის ორგანიზებაა. მელომანებმა ამ ყველაფრით ჯერჯერობით ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოლ მარტინის მხარდაჭერას მიაღწიეს.

ხელმოწერების ინიციატორად ოტავას ადგილობრივი რადიოსადგური BOB-FM გამოვიდა. მოთხოვნას რამდენიმე ათასი ხელმომწერი ჰყავს; პრემიერი მათ ჰპირდებათ, რომ მოახერხებს ბონოსთან შეხვედრას, რათა უამბოს, თუ როგორი განსაკუთრებული ადამიანები ცხოვრობენ ოტავაში. თუკი ქვეყნის პრემიერი ამ მისიას შეასრულებს, რადიოსადგური ერთი დღით შეიცვლის სახელწოდებას და გახდება PAUL FM.

რაც შეეხება ოტაველებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ირლანდიური ჯგუფი მათ ქალაქში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში არ ჩასულა, შეიძლება ვთქვათ, რომ მათი განაწყენება საფუძველს მოკლებული არაა. ირლანდიელი მუსიკოსების წლევანდელ საკონცერტო ტურნეში ერთადერთი კანადური ქალაქი - ვანკუვერია შეტანილი.

# Analord - კიდევ ერთი ფსევდონიმი



ელექტრონული მუსიკის ოსტატი აპექს ტვინი ცნობილია თავისი ფსევდონიმების რაოდენობით; ქართველ მსმენელს კი თავი დამატებით იმითაც დაამახსოვრა, რომ აღარ ჩამოვიდა ბათუმში 2002 წელს გამართულ ფესტივალზე "სუბტროპიკი". ამიერიდან მის ფსევდონიმებს (ის არის: რიჩარდ დი ჯეიმსიც - ნამდვილი სახელი და გვარი, AFX-იც და Polygon Window-იც), კიდევ ერთი - Analord შეემატება. სწორედ ამ სახელწოდებით გამოუშვებს "ინტელექტუალური ტექნოს" მამამთავარი თავის ახალ ნამუშევრებს. რასაკვირველია, საუბარია არაერთ ალბომზე; აპექს ტვინი ცნობილია თავისი შრომისმოყვარეობით. დისკების სერიას გახსნის Analord 10 - შთამბეჭდავად გაფორმებული ვინილის ფირფიტა, სადაც ორი ახალი 13 წუთიანი თრეკები შევა. ჩანაწერები უკვე გავრცელებულია ინტერნეტში. აპექს ტვინი ხომ ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც ახალი ტექნოლოგიების დახმარებით საკუთარი ჩანაწერების გაყიდვა დაიწყო. 2005 წლის პირველ ნახევარში ცხრა დისკის გამოშვება აქვს ჩაფიქრებული.




საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- ... MS Word,
- ... MS Excel,
- ... Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ჭ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.